საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№031
(12 101)
8 თებერვალი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

# გოგუა სირაძე შედევრი



გუშინ ეროვნულზე. დავით სირაძის თავური გოგიტა გოგუას ვირტუოზული სოლოს შემდეგ. საქართველო-თურქეთი 1:0

ნუგზარ სუარიძის ფოტოები





75-ე წუთი. გოგუას პასით კარგ პოზიციაზე დარჩენილმა სირაძემ ერთი მოძრაობით ჩამოიცილა მცველი, მაგრამ თურქმა წააქცია. ჯარიმის დარტყმა 25 მეტრიდან გოგუამ ითავა, ცხრიანში გაუშვა და ვოლქანს რომ არ ეყოჩალა, ანგარიში აქვე გაიხსნებოდა. კუთხურიდან დემეტრაძემ საჯარიმოში დაუგორა გოგუას და ამან გაიბრწყინა: ჯერ ფინტი გააკეთა, მცველი დააბნია, ჩამოიტოვა და ზედ კარის ხაზიდან ჩააწოდა. ჩაწოდებამდე კი იყო ვირტუოზული პაუზა - პასი და ხუთი თურქი უსაქმოდ დარჩა, ბურთი კი სირაძეს დააჯდა თავზე – 1:0!

## იტალია კვირას კი განახლდება, მაგრამ... 6

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველო-თურქეთი**

**1:0**

07.02. თბილისი. მ. მესხი. 60 000 მაყურებელი

**ეროვნული ნაკრებები**

1:0 სირაძე (75)

საქართველო: რევიშვილი (46. ლომაია) - შაშიაშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ელიავა - მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ბურდული (79. აშვეთია), კვირკველია (66. გოგუა) - დემეტრაძე (87. ბენაშვილი), სირაძე (77. მუჯირი) / სათადარიგოი: ლვინიანიძე, მერებაშვილი

თურქეთი: ვოლქანი – ჰალილ ალტინტოპი, გეთინი, აიდინი, უზულმეზი – თუგაი (79. გოკჰანი), საბრი (63. თოფუზი), აურელიო, არდა (63. მეთინი) – თუნჩაი (46. კარადენიზი), ჰამიტ ალტინტოპი (46. თექე) / სათადარიგოი: სერქანი, არათი, ჩიმშირი, ნური, ტორამანი, სელჩუკი

გაფრთხილება: ჰალილ ალტინტოპი (12), თუგაი (26), საბრი (50), მენთეშაშვილი (59), ცქიტიშვილი (84), გეთინი (89), მეთინი (90), ლომაია (90)

არბიტრი: რ. ლაიუკსი (ლატვია)



# ბრძოლა და მოგება ვისწავლეთ

კარგიც ბევრი იყო გუშინ და ცუდიც გამოერია. სტადიონზე შექმნილ ვითარებაზე ვამბობ და კონკრეტულად მატჩში კი - დადებითიც და უარყოფითიც. საერთო ჯამში, მოგება ყოველთვის კარგია, მაგრამ იმ უარყოფითზეც უნდა ვთქვათ, ჩვენების თამაშში რომ შეიმჩნეოდა - არაა გამართლებული, მხოლოდ ნაგებული თამაშის შემდეგ ილაპარაკო ხარვეზებზე.

პირველად არ ხდება ასე, საქართველოს ნაკრები ვერ ფლობს უპირატესობას, თითქოს ვერც საგოლე მომენტებს ქმნის მეტოქის კართან, თამაშს კი იგებს. პირველად ეს ურუგვაისთან იყო. საგოლე მომენტების შეუქმნელობაში, შეტევის თანმიმდევრულ განვითარებას და ამგვარად შექმნილ მომენტს ვგულისხმობთ და არა ერთი-ორ გაელვებას.

თანმიმდევრული რაც გუშინ იყო, მცველების მიერ ბურთის ამოტანაა და არა უმისამართო მოგერიება. ანუ მცველებიდან ბურთი მიდიოდა ნახევარმცველებამდე, აი მერე კი იქმნებოდა პრობლემები. ამის მთავარი მიზეზი ნახევარდაცვის ცენტრში **ლევან ცქიტიშვილის** არაეფექტური ქმედება იყო. დიდი ხნის უთამაშებლობა ნებისმიერ ფეხბურთელზე უარყოფითად მოქმედებს და ეს გუშინ ნათლად გამოჩნდა ცქიტიშვილის მაგალითზე. გარდა იმისა, რომ თითქმის არც ერთი შეტევა არ განვითარებულა ცენტრიდან, ბურთიც არაერთხელ დაკარგა და ვერც მეტოქის შეტევებს უმკლავდებოდა სათანადოდ. მისი მეწყვილე **მენთეშაშვილი** ბევრს იბრძოდა, მეტოქის შეტევებიც არაერთხელ ჩაშალა, მაგრამ ბურთის გაკონტროლებაში, შეტევის წამოწყებაში მოიკოჭლებდა. სწორედ ეს უნდა გაეკეთებინა ცქიტიშვილს და მენთეშაშვილის მუშაობაც უფრო ეფექტური გამოჩნდებოდა. ნახევარდაცვის ცენტრის პრობლემები განსაკუთრებით მეორე ტაიმში გახდა თვალსაჩინო. **აურელიომ** უკან დაიხია, **თუგაის** შეუწყვილდა საყრდენის პოზიციაზე. თავდამსხმელის უკან გამწესებულმა სწრაფმა **კარადენიზმა** კი არაერთხელ მიიტანა ბურთი ჩვენს საჯარიმომდე და თავადაც არაერთხელ დაარტყა ლომაიას კარში. უპირატესობა თურქების ხელში გადავიდა, სტუმრები ცენტრს აკონტროლებდნენ.

ამ მხრივ ფლანგები უკეთ მოქმედებდნენ და მათში მარცხენა უფრო გამოსარჩევი. **ზაალ ელიავას** ბევრი თამაში მაქვს ნანახი-მეთქი, ვერ მოვიტყუები, მაგრამ რაც გუშინ ვნახე, ჩვენი ნაკრების მარცხენა მცველზე დადებითი მეთქმის. თავდაჯერებული იყო, რისკიანიც, საკუთარ საჯარიმოში ორ მეტოქესთან „ფინტაობას" რომ იწყებდა, თუმცა ეს რისკი ალბათ მისი თავდაჯერებულობიდან გამომდინარე იყო. შეტევაშიც კარგად ერთვებოდა და კვირკველიასთან ერთად არაერთი პრობლემა შეუქმნა თურქ მარჯვენაფლანგელებს. მთლად უნაკლოც არ ყოფილა ზაალი, ერთ-ერთ ეპიზოდში კარადენიზი **ლომაისთან** პირისპირ რომ ალმოჩნდა, მას მიუძლვის წვლილი, უკან ჩამოსვლა ვერ მოასწრო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა მისი დაზღვევა. საერთოდ ამაზე ცალკე უნდა ითქვას. ერთი ეპიზოდი ხომ ვახსენეთ და კიდევ ოთხჯერ თუ ხუთჯერ შეიქმნა მომენტი, როცა სხვა ფლანგზე თუ პოზიციაზე გადასული მოთამაშის ადგილი არავინ დაიკავა. ორჯერ ასეთი რამ კვირკველიას შეემთხვა, მარცხნიდან მარჯვნივ გადასული, არავინ დააზღვია.

მარჯვენაფლანგელების ქმედება ისეთი ეფექტური ვერ იყო, განსაკუთრებით დაცვაში. **ბურდული** უკან არ ჩამოდიოდა ხშირად, **შაშიაშვილიც** ვერ უმკლავდებოდა ყოველთვის **არდას** - თურქ ნახევარმცველს არაერთხელ მიეცა საჯარიმოში სახიფათოდ ჩაწოდების შესაძლებლობა. იქ კი **თუნჩაის** და **ალთინთოფს** უპირატესად ქართველი ცენტრალური მცველები ასწრებდნენ, ერთი-ორჯერაც თავად ფორვარდებმა ვერ ითამაშეს კარგად. ყოველივეს შესაძლებელი იყო გოლი მოეტანა. შეტევებისას უკეთესი ვითარება იყო, ბურდულმა ხარიხას რომ გაარტყა 41-ე წუთზე, ბურთი შაშიაშვილისგან მიიღო.

ორჯერ შეცდა **ხიზანიშვილი**. უფრო სწორად ერთხელ არადამაჯერებლად ითამაშა შეხვედრის დასაწყისშივე, მეორედ კი მატჩის მიწურულს პოზიციურად წააგო ბრძოლა და კარადენიზს თავით დარტყმის საშუალება მისცა. სხვა ეპიზოდებში ჩვენი კაპიტანი კაპიტნობდა თამაშშიც და არც გაწევ-გამოწევაში დაუთმო ვინმეს რამე.

მოსაწონი ქართველებში, ერთი შეხებით თამაში იყო. ბურთის თრევას ჩვენებს ეგრე ადვილად ვერ მოაშლევინებ და გუშინაც რამდენიმე ეპიზოდში გაუმართლებლად დიდხანს ათრიეს ბურთი, მაგრამ არც თუ იშვიათად ერთი-ორი შეხებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ბურთის თრევამ კი რამდენიმე ეპიზოდში, სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალება არ მოგვცა, პირველ ტაიმში, თუ არ ვცდები, ორჯერ და ამდენივეჯერ მეორეში. და კიდევ ერთი: რატომღაც ჩვენი ფეხბურთელები, სხვებთან შედარებით, გაცილებით მეტ გადაცემას აკეთებენ უკან, თანაც არც თუ იშვიათად, გაუმართლებლად.

ურუგვაისთან მატჩის მსგავსად, **დავით სირაძე** გუშინაც გამოირჩა. ბევრი იმუშავა შეტევაშიც და დაცვაშიც, კარშიც ურტყა და პასებიც არიგა. პირველ ბურთსაც უმეტესად იგებდა და რაც მნიშვნელოვანია, მაღლებსაც. გრძელმა გადაცემებმა ნაწილობრივ გაამართლა, სიმშვიდე რამდენჯერმე დაერღვა **ვოლქანს**, მაგრამ თამაშის ამაზე აწყობა ვფიქრობ, არ გამოგვადგება. სირაძისგან განსხვავებით **დემეტრაძეს** ფიზიკურად დიდ და ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში პირველი ბურთის აღება უჭირდა.

სირაძის კარგი თამაში ვახსენეთ და ნახევარდაცვას უკეთ რომ ეთამაშა, ამ ბიჭს გოლის გატანის გაცილებით მეტი შანსი მიეცემოდა. გამოჩნდა კიდეც ეს **გოგუას** გამოსვლის მერე. მისი პასით კარგ პოზიციაზე დარჩენილმა სირაძემ, ერთი მოძრაობით ჩამოიცილა მცველი, მაგრამ მცველმა წააქცია. ჯარიმის დარტყმა 25 მეტრიდან გოგუამ ითავა, ცხრიანში გაუშვა და ვოლქანს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში აქვე გაიხსნებოდა. კუთხურიდან დემეტრაძემ საჯარიმოში დაუგორა გოგუას და ამან გაიბრწყინა! ჯერ ფინტი გააკეთა, მცველი დააბნია, ჩამოიტოვა და ზედ კარის ხაზიდან ჩააწოდა. ჩაწოდებამდე კი იყო ვირტუოზული პაუზა - პასი და ხუთი თურქი უსაქმოდ დარჩა, ბურთი კი სირაძეს დააჯდა თავზე – 1:0!

კიდევ ერთი უარყოფითი, რაც ჩვენების თამაშში შეიმჩნევა – გოლის მერე თითქმის მომენტალურად ჩვენს კართან იქმნება სახიფათო მომენტი. ზემოთნახსენები კარადენიზის თავური, სწორედ ჩვენს გოლს მოყვა. ამ ეპიზოდში და მანამდე, თუ მის მერე, ჩინებულად გამოიყურებოდა **გიორგი ლომაია. ნუკრი რევიშვილმაც** არ შეირცხვინა თავი პირველ ტაიმში და ორივე მათგანს თუ ექნა სათამაშო პრაქტიკა, ეგებ მეკარის პრობლემაც გადავჭრათ. თორემ გუნდი ნელ-ნელა რომ დგება, წყალი არ გაუვა. ფეხბურთელებმა იციან, რა უნდა აკეთონ მოედანზე, სხვა საქმეა, როგორ გამოსდით ეს, მაგრამ ერთბაშად არაფერი ხდება და ერთ მშვენიერ დღეს, ამ მხრივაც არ გვექნება ბევრი საწუწუნო.

ცალკე სახსენებელია თურქთა მწვრთნელის, **ფათიჰ თერიმის** ქმედება. მსაჯობას უნაკლოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, მის ყოველ გადაწყვეტილებას პროტესტი, ხელების ქნევა და ყვირილი რომ გამოეწვია. ამან მოთამაშეებზეც უარყოფითად იმოქმედა და მატჩის ბოლოსკენ ემოციების შეკავება უკვე შეუძლებელი გახდა. ორგზის ატყდა დიდი ჩხუბი და თამაშიც ასე ჩამთავრდა.

სტადიონზე მყოფს, ქომაგსა და ფეხბურთელს, ყველას აშკარად ეტყობოდა, გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი რომ იყო. თუმცა გასაკვირი ის იყო, გულშემატკივრობით ცნობილი თურქები ჩვენების აქტიურობამ რომ გაალიზიანა, მეგობრულ ქვეყანაში მეგობრულ დახვედრას ველოდითო, მატჩის მერე თქვეს. თუმცა ბოლომდე გაუგებარი დარჩა, რა იყო არამეგობრული იმაში, რომ ხალხი საკუთარი ქვეყნის ნაკრებს ქომაგობდა.

ნაკრები კი მოგებას ეჩვევა. ნელ-ნელა. ჯერ მხოლოდ ამხანაგურებში და ოფიციალური თამაშებიც კარს მოგვადგა...

**პაატა თოთაძე**

ნუგზარ სუარიძის ფოტოები





მატჩის შემდეგ. პრესკონფერენცია

# ფატიჰ თერიმი: ეს არ იყო მეგობრული მატჩი



ფატიჰ თერიმი

მოედანზე ამოხეთქილი ემოციები ერთი რაუნდი იყო. საპრესკონფერენციო დარბაზში კი ცალკე რაუნდი გაიმართა და ის თურქი ჟურნალისტის არაეთიკურ კითხვას მოჰყვა. მან თურქეთის ნაკრების მწვრთნელ **ფატიჰ თერიმს**, როგორც იტყვიან, კოჭი გაუგორა...

**- ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოვედით მეგობრულ ქვეყანაში. აქ კი არც მეგობრული ხალხი დაგვხვდა და არც მეგობრული ნაკრები...**

- ახლა არაფერს ვიტყვი მსაჯების მოქმედებაზე. თქვენ ხომ ჩაიწერეთ მატჩი (მიმართა ტელეკომპანიის წარმომადგენელს - ავტ)? ფიფა-უეფას ვაცნობებთ და მსაჯებს ისინი განსჯიან. ჩემს ფეხბურთელებს ემოციების მოთოკვა ვთხოვე. სამწუხაროდ, ეს ვერ შეძლეს.

...თურქი ჟურნალისტისა და მწვრთნელის კითხვა-პასუხს ჩვენი კოლეგა **გია გორგოძე** გამოეხმაურა:

**- საინტერესოა, ცუდად დახვედრაში რა იგულისხმეთ? ჩვენ ორი მეგობარი ქვეყანა ვართ და ასეთი კითხვები უადგილოა...**

- ეს არ მითქვამს, მშვენივრად შეგვხვდნენ და მატჩიც ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული. თუმცა კონკრეტულად თამაშს რაც შეეხება, მას ამხანაგურს ვერ ვუწოდებ.

**- მაინც და მაინც უნდა ნაგვეგო, ამხანაგური რომ ყოფილიყო?**

- მე ერზე არაფერი მითქვამს...

...ამ დროს, თურქ ჟურნალისტს გადახედა და მიმართა:

- ძალიან გთხოვთ, პროვოკაციულ კითხვებს ნუ დასვამთ. აქ მეგობრული ხალხი დაგხვდათ.



# კლაუს ტოპმიოლერი: მესმის თერიმის გამწარება

...როგორც ხედავთ, თერიმმა უმალ ფირფიტა ამოაბრუნა:

- საქართველოს ორი წლის წინ შევხვდით და ვულოცავ ტოპმიოლერს იმ პროგრესს, რომელსაც მისმა ნაკრებმა მიაღწია.

**- მეორე ტაიმში აურელიოს რატომ შეუცვალეთ პოზიცია?**

- ნახევარდაცვის გაძლიერება რომ დაგვჭირდა, ცვლილებებიც შესაბამისად, განვახორციელეთ. აურელიო საყრდენად დავაყენეთ, წინ კი სხვები გავამწესეთ. როცა ტრავმირებულები დაგვიბრუნდებიან, საყრდენისა და სხვა პოზიციებზე სხვა ფეხბურთელებსაც გამოვცდით.

კლაუს ტოპმიოლერი: - საქართველო დღევანდელი მოგებით კმაყოფილი უნდა იყოს. ერთი წელია ვმუშაობ და უკვე ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა გამოიკვეთა. აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ ტაქტიკური მონახაზის შესრულებით, განსაკუთრებით, დაცვაში. როგორც იქნა, დავიწყეთ იმ ფეხბურთის თამაში, როგორიც ყველას გვინდა და ეს ძალიან მეამაყება. თავიდან გრძელი პასებით ვთამაშობდით, ახლა უფრო აზრიანად ვიწყებთ იერიშებს, დაცვიდან შეტევაში გააზრებული გადაცემებით გადავდივართ... კმაყოფილი ვარ ორივე მეკარის თამაშით. რევიშვილიც კარგი იყო, ლომაიამ კი მეორე ტაიმში რამდენჯერმე გვიხსნა... ელიავამ შარშან ალბანეთთან ითამაშა და ძალიან მომეწონა. მიხარია, რომ დღესაც თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. ძირითად ბირთვში მოიაზრებიან იაშვილიცა და ხიზანეიშვილიც... აქვე უნდა ვთქვა, რომ ვინც თამაშებსა და ვარჯიშებს თავდადებით არ მოეკიდება, გუნდში იმის ადგილი არ იქნება. ვიდეოანალიზის დროს არაფერი გამოგვეპარება. არც ჩვენი და არც მეტოქის მინუსები. ვაანალიზებთ თითოეული მოთამაშის მოქმედებას, მეტოქის სტანდარტულებს, ტაქტიკას და ა.შ.

**- თურქები ფიფა-უეფაში ჩივილით დაგვემუქრნენ...**

- მესმის, რომ თერიმი განბილებულია. როცა შენი ქვეყანა მეტოქისას მოსახლეობით ბევრად აღემატება, და ნაკრებიც რეიტინგში მნიშვნელოვნად წინაა, ცხადია, მასთან წაგება არ გესიამოვნება. თანაც, ნოემბერში იტალიას სტუმრად 1:1 ეთამაშა და კინალამ მოუგო კიდეც. თუმცა მსაჯს შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

ნოდარ ახალკაცი: - მათი საქმეა, რას იზამენ. უემოციო ფეხბურთი არ არის ფეხბურთი და, ალბათ, ეს ყველაფერიც ემოციურ ფონზე მოხდა. არა მგონია, თურქეთს საქართველოსთან ასეთი მეთოდით მოგება სჭირდებოდეს. უსინდისო მსაჯობაც არ ყოფილა. ჩვენ საწინააღმდეგოდ ჩასტვენები კი უამრავი იყო.

ტოპმიოლერი:- ჩვენ კიევშიც არ გვიგრძვნია მსაჯებისგან დიდი კომფორტი, მაგრამ ესეც ფეხბურთის ნაწილია... სირაძესა და ბურდულს ურუგვაისთან შანსი მივეცით და ის ორივემ კარგად გამოიყენა, დღესაც ძალიან კარგად ითამაშეს. ბიჭებს თამაშამდე ვუთხარი, დიდი ერის დამარცხებით, სამშობლოს უდიდეს სიხარულს მიანიჭებთ-მეთქი. ხალხისთვის ეს მართლაც განსაკუთრებული სტიმულია.

## ნაკრებს პრეზიდენტმაც მიულოცა

თურქეთის ძლიერ ნაკრებთან გამარჯვებით მარტო უბრალო მოკვდავებმა როდი გავიხარეთ, საერთო სიხარულს საქართველოს პრეზიდენტიც შეუერთდა. მატჩის შემდეგ **მიხეილ სააკაშვილი** ჩვენი გუნდის გასახდელში შევიდა და მის თითოეულ წევრს გამარჯვება მიულოცა.

**მერაბ მამულაშვილი**

კომენტარები

**მატჩის შემდეგ გასახდელის წინ ქართველი და თურქი მასმედიელები ერთად ველოდით ფეხბურთელებს. საოცარი ის გახლდათ, რომ სტუმართა გუნდიდან თანამემამულე ჟურნალისტებს მცირედ კომენტარზეც კი, ფატიჰ თერიმის არაერთმა ფეხბურთელმა უთხრა უარი. კლაუს ტოპმიოლერის ბიჭები კი მოგებით გახარებულები იყვნენ და კომენტარებსაც არ დაგვზარდნენ.**

**მიხეილ აშვეთია**: - დაძაბული თამაში იყო და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, მოგება მაინც შევძელით. შოტლანდიასთან მატჩის წინ ეს გენერალური რეპეტიცია იყო და ჩინებულია, რომ შესარჩევი ციკლის განახლებას კარგი განწყობით ვხვდებით".

**ნუკრი რევიშვილი:** - ძალიან გახარებულები ვართ. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი გულშემატკივარი მოვიდა ჩვენს საქომაგოდ. მართალია, ეს ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ მაინც დაძაბული და პრინციპული გამოდგა. ამ გამარჯვებას დიდი ფასი აქვს".

**მათე ღვინიანიძე:** - დაძაბული და საინტერესო თამაში გამოვიდა. ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ახალგაზრდულში თამაშის შემდეგ, ეროვნულშიც მიხმეს, მართალია, თამაშმა არ მომინია, მაგრამ საამისოდაც მზად ვიყავი".

**ლადო ბურდული:** - კარგა ხანია ამდენი ქომაგი სტადიონზე არ მინახავს. ბუნებრივია, ეს მომენტი ჩვენთვის დამატებითი სტიმული იყო და მოედანზე ყველა მაქსიმალურად დავიხარჯეთ. თურქეთს ურუგვაიზე ძლიერი გუნდი ჰყავს, რეიტინგშიც მათზე ზემოთაა. ამას გარდა, თურქეთში ჩემპიონატი უკვე განახლდა, ჩვენ კი მოსამზადებელ პერიოდს გავდივართ. ყველა ამ ფაქტორის მიუხედავად მაინც შევძელით გამარჯვების მოპოვება. გახარებული ვარ, რომ ზედიზედ მეორე თამაში მოვიგეთ და მცირე წარმატებული სერია უკვე გვაქვს, რომელიც უნდა გავაგრძელოთ.

**- გაწევ-გამოწევების გამო თამაში ორჯერ შეწყდა. ამაზე რისი თქმა შეგიძლია?**

- თურქებს თამაშით არაფერი გამოუვიდათ და პროვოკაციას მიმართეს. ჩვენ, ქართველები, ემოციური ხალხი ვართ და თავდაპირველად თავის შეკავება გაგვიჭირდა. თუმცა მერე ნერვები მოვთოკეთ და იმასაც მალე მივხვდით, რომ თავს თუ ვერ შევიკავებდით, ეს ჩვენს წისქვილზე არ დაასხამდა წყალს.

**დავით სირაძე:** - უზომოდ გახარებული ვარ. დაძაბული, შეიძლება ითქვას, რომ დრამატული მატჩი გამოვიდა. ბედნიერი ვარ, რომ ერთადერთი გატანილი გოლის ავტორობა მერგო. წარმატებები უნდა გავაგრძელოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია.

**გიორგი ლომაია:** - მეორე ტაიმიდან დავდექი კარში. საერთოდ, შეცვლაზე შესული ფეხბურთელისთვის თამაშში ჩართვა იოლი არაა. რამდენიმე ეპიზოდში მომიწია თამაშში ჩართვა და ვითარების განმუხტვა. საბოლოოდ, მშრალად შევძელი კარის შენახვა და საბოლოო ჯამში დამსახურებულად გავიმარჯვეთ კიდეც. თუკი ასე გავაგრძელებთ, ნაკრებს უკეთესი შედეგები ექნება.

**გიორგი შაშიაშვილი:** - თურქეთთან აქამდე არასდროს მოგვიგია და მაქსიმალური მობილიზებით გავედით მოედანზე. ეს თამაშიც დაძაბული გამოდგა. დიდი ბრძოლა იყო და ყველამ დაინახა, რომ მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი წამყვანი ფიგურა გვაკლდა, ბედნიერი ვარ, რომ თურქებს მოვუგეთ და ქომაგები გავახარეთ.

**ლაშა სალუქვაძე:** - მხარდაჭერისთვის, პირველ რიგში, გულშემატკივრების მადლიერი ვარ. დღეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ყველა გუნდთან შეგვიძლია თამაში და გამარჯვებაზე ზრუნვა. ნაკრების წამყვანი ფეხბურთელებიც დაგვემატებიან და კიდევ უფრო გავძლიერდებით.

**ლევან ცქიტიშვილი:** - რთული თამაში იყო, მაგრამ მოგება შევძელით. ბედნიერი ვარ, რომ ამ გამარჯვებით მთელმა საქართველომ გაიხარა. ყველას გილოცავთ!

**ზურაბ ხიზანიშვილი:** - ბედნიერი ვარ, რომ მოგება და ამდენი ხალხის გახარება შევძელით. ვფიქრობ, დღეს მთელმა საქართველომ გაიხარა. შედეგი კარგია, მაგრამ, ამას გარდა, ტაქტიკურადაც გამართულად ვითამაშეთ. ასე რომ, შოტლანდიასთან მატჩის წინ, მშვენიერი გენერალური რეპეტიცია გამოგვივიდა.

**- კაპიტნის სამკლაური გერგო და თამაშის მსვლელობაში მომხდარ კინკლაობაშიც გამშველებლის როლი ითავე...**

- თურქები როცა თამაშს აგებენ, მათგან პროვოკაცია მოულოდნელი არ უნდა იყოს. კარგია, რომ საბოლოოდ ყველაფერი მალე ჩაწყნარდა.

**ზაალ ელიავა:** - შარშან, ალბანეთთან გასვლით ამხანაგურ მატჩში, პირველად გამომიძახეს ეროვნულ გუნდში. ახლა მეორედ ვითამაშე. ამავე დროს, პირველად ვიყავი სასტარტო შემადგენლობაში. თბილისში, საკუთარ კედლებში, ჩვენი ქომაგების წინაშე მომიწია თამაშმა და ჩემთვის ეს მატჩი ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, კარგად ვითამაშე და იმედები გავამართლე. მოხარული ვარ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ჩემით კმაყოფილი დარჩა.

**დავით ცაბაძე**



## მეტოქეები

**მალი-ლიტვა 3:1**

მალი: მ. სიბიდე, ტამბურა, დიავარა, დიამუტენი, ა. კულიბალი, ჯ. სიბიდე (46. ჯ. ტრაორე), ს. კულიბალი (55. დიაკიტი), კეიტა, დიარა, დიალო (68. კანუტე).

ლიტვა: მალინაუსკასი, შემბერასი, სკერლა, ძიაუკსტასი (78. პაულაუსკასი), სტანკევიჩუსი, მიცეიკა, კალონასი (80. კავალიაუსკასი), რაძინევიჩუსი (46. მორინასი), დანილევიჩუსი, იანკაუსკასი (87. ბენიუშისი), ველიჩკა (46. სავენასი).

გოლები: 1:0 ტამბურა (25), 1:1 იანკაუსკასი (28), 2:1 დიარა (31), 3:1 დიარა (45)

**ისრაელი-უკრაინა 1:1**

ისრაელი: ავატე, შპონგინი, ბენ ჰაიმი, ბენადო, გერშონი, ზივი, ბადირი, ტოემა (81. კატანი), ბენაიოუნი, ბენ საარი (69. ბალილი), ბენ შუშანი.

უკრაინა: შუსტი, რომანჩუკი (63. სვიდერსკი), ტიმოშჩუკი (46. მიხალიკი), იეზერსკი, რუსოლი, შევჩენკო (60. ბელიკი), ლევჩენკო, გუსევი (60. როტანი), ვორონინი (46. მილევსკი), ჩიგრინსკი, კალინიჩენკო.

გოლები: 1:0 ბადირი (38), 1:1 კალინიჩენკო (74)

**საფრანგეთი-არგენტინა 0:1**

საფრანგეთი: კუპე, აბიდალი, ესკუდე, სანიოლი (46. კლერკი), სკილაჩი, მაკელელე (89. ჯ. სისე), მალუდა (46. გოვუ), ვიეირა, ანრი, რიბერი, ტრეზეგე (72. ანელკა).

არგენტინა: აბონდანსიერი, აიალა, ბურდისო, ჰაინცე, გ. მილიტო, ძანეტი, კამბიასო, გახო, ლუჩო გონსალესი (79. გუტიერესი), კრესპო (79. დ. მილიტო), სავიოლა (84. აგუერო).

გოლი: 0:1 სავიოლა (15)

მაყურებელი: 79 000

**შოტლანდია B-ფინეთი B 2:2**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ დაგვიინიშნავთ ქართველ მსაჯებს

**საქართველო-თურქეთი**

**1:2**

07.02. თბილისი. მ. მესხი. 4 000 მაყურებელი

**ახალგაზრდული ნაკრებები**

0:1 ერდინქი (35. ქურთულუსის პასით), 1:1 ხუბუტია (60. ბენაშვილის პასით), 1:2 ბათალი (90. ათაოღლუს პასით)

საქართველო: თევდორაძე – მჭედლიშვილი (86. დვალიშვილი), ღვინიანიძე, ხუბუტია, ფოფხაძე (85. ელბაქიძე) – მერებაშვილი, გრიგალაშვილი (72. კახელიშვილი), ბჟალავა, ნავალოვსკი – ჟღენტი (48. ბენაშვილი), ჭელიძე (89. გვაძაბია)

*სათადარიგოები: რ. კვახსვაძე, თომაშვილი*

თურქეთი: ბაბაქანი – უჩარი, ბახტიაროღლუ (84. ოზთურუნი), გულზელამი (74. შამი), ოზთურუნი (62. ათაოღლუ) – ქურთულუსი (74. ათასი), იელენი (76. იანიკდემირი), ჰურმაჩი – პარლაკი (74. გიუზედალი), ერდინქი (76. ბათალი), შაჰინი (76. ქაში)

*სათადარიგო: ჩეილანი*

გაფრთხილება: ბახტიაროღლუ (15), უჩარი (68), შამი (69), გრიგალაშვილი (71), ბჟალავა (90)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (საქართველო)



მოვლენათა ეპიცენტრში შეხვედრის არბიტრი ლევან ფანიაშვილი მოექცა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...მსაჯის მიერ დამატებული დრო იწურებოდა, ანგარიში საყაიმო იყო და ჩვენი ნაკრების სათადარიგოთა სკამიდან არბიტრის მისამართით ერთადერთი შეძახილი გაისმოდა: "დაამთავრე, დაამთავრეო". ამ დროს კი **ათაოღლუმ** მარცხენა ფლანგიდან ჩვენს საჯარიმოში ბურთი ჩააწოდა, საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველებმა მორიგი შეცდომა დაუშვეს და შეცვლაზე შემოსულმა **მეჰმეთ ბატალმა** ახლო მანძილიდან გოლი გაიტანა. ძალიან მალე თამაშიც დამთავრდა და ნამდვილად არასასიამოვნოდ ჩანდა ტრიბუნიდან ყოველივე ის, რაც მოედნის შუაგულში ხდებოდა. წარმოიდგინეთ: შეხვედრის მთავარი მსაჯი ქართველი ფეხბურთელების ალყაში მოექცა და, ალბათ, არაერთი უსიამოვნო ფრაზასაც მოისმენდა. მაგრამ, ეგ არ არის მთავარი - უარესი მერე მოხდა, როცა ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებისგან არნახული აგრესია დავინახეთ მსაჯის მიმართ. კი, უცნაური იყო ის ფაქტი, რომ მსაჯი ქართველი იყო, მაგრამ არანაკლებ უცნაური, მოულოდნელი და ულამაზო იყო ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა ასეთი საქციელი. ერთი რამ ვერ გაგვიგია - თუკი მთელი კვირის განმავლობაში ქომაგებს იმას მოვუწოდებთ, რომ სტადიონზე წესრიგი უნდა დაიცვან და სანიმუშოდ მოიქცნენ, ასეთი მოქცევით ხომ ადვილი შესაძლებელია პროცესები სულაც უმართავი გამხდარიყო? კიდევ კარგი, რომ მატჩი ამხანაგური იყო და, რაც ყველაზე მთავარია, თუკი ვინმეს ეკუთვნოდა ამ შეხვედრაში გამარჯვება, ეს თურქეთის ნაკრები იყო. ჰოდა, ჩვენი მეკარის - **რევაზ თევდორაძის** თავგანწირულ თამაშსა და სტუმართა ფორვარდების უზუსტობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ კატასტროფული ანგარიშით არ დავმარცხდით...

აი, ასეთი გამოუვიდა დებიუტი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატ მწვრთნელს **პეტარ სეგრტს**. სეგრტი, მოგეხსენებათ, **კლაუს ტოპმიოლერის** რეკომენდაციით ჩამოვიდა საქართველოში. რა თქმა უნდა, ერთი მატჩით ძნელია მის შესაძლებლობაზე საუბარი, ერთს კი ვურჩევდით - მთელი შეხვედრის განმავლობაში მსაჯის ნებისმიერი გადაწყვეტილებების ემოციურად გამოხატვა-გაპროტესტება ნამდვილად არ უხდებოდა...

...ახლა კი უშუალოდ მატჩზეც, რომლის პირველი ტაიმი პირწმინდად დავთმეთ! თავად განსაჯეთ - სტუმართა კარის მიმართულებით ჩვენებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს; თანაც, **გიორგი ნავალოვსკის** ეს დარტყმაც საკმაოდ არაზუსტი აღმოჩნდა. მოკლედ, თამაშის პირველმა ნახევარმა თურქი ახალგაზრდების სრული უპირატესობით ჩაიარა. სტუმართა სული და გული დორტმუნდის "ბორუსიას" 18 წლის ვარსკვლავი **ნური შაჰინი** იყო. ეს ახალგზარდა ბიჭი უკვე მეორე წელია ბუნდესლიგაში ბრწყინავს და რა გასაკვირი იქნებოდა, ქართველ თანატოლებთანაც რომ წარმოეჩინა შესაძლებლობები. მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებში გუშინ ოთხი-ხუთი ფეხბურთელი მაინც იყო, ვისაც სათამაშო პრაქტიკა აკლია ან სულაც უკლუბოდაა. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ იყო გასაკვირი ჩვენი ფეხბურთელების თამაშში არსებული წუნი. კიდევ ვიმეორებთ, რომ არა თევდორაძე, შესვენებაზე სტუმრები, სულ ცოტა, სამბურთიანი უპირატესობით გავიდოდნენ. თუმცა, ერთ ეპიზოდში ჩვენი მეკარეც უძლური იყო - ფრანგული "სოშოს" ფორვარდმა **ერდინჯმა** ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. სტუმრები ყველაფერს ჩვენზე სწრაფად და, რაც მთავარია, ჩვენზე უკეთ ასრულებდნენ. მოკლედ, ჩვენების თამაშში უამრავი წუნი შეინიშნებოდა და, არ დაგიმალავთ, მეორე ტაიმსაც ერთობ პესიმისტურად ველოდით. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი შეტევითი პოტენციალის გამო - **ჟღენტიცა** და **ჭელიძეც** ინერტულები იყვნენ. ნამდვილად არ ვაპირებთ ხორვატი მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას, მაგრამ ჩვენ აზრს მაინც ვიტყვით: ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო სათადარიგოთა სკამზე "ოლიმპის" ორი ფორვარდის - **გიორგი კახელიშვილისა** და **ლადო დვალიშვილის** გამწესება; სხვა თუ არაფერი, ამ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა ნამდვილად არ აკლიათ...

... მეორე ტაიმის დასაწყისიც სტუმრების იყო, მაგრამ მალე მოედანზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. თანაც, ჩვენები ჯერ თამაშის რიტმში ჩაჯდნენ, მერე კი სულაც ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს. ყველაფერი კი შეცვლაზე შემოსული **ალექსი ბენაშვილის** დამსახურება იყო - "ზესტაფონის" 17 წლის მარჯვენაფლანგელი თამაშში მართლაც ჩინებულად ჩაერთო! ბენაშვილის გამოსვლით ჩვენი ნაკრების ტაქტიკური განლაგებაც შეიცვალა: წინ მხოლოდ ჭელიძე დარჩა, **გიორგი მერებაშვილმა** ცენტრში გადმოინაცვლა და, ბოლოს და ბოლოს, სახიფათო მომენტიც შევქმენით. სამწუხაროდ, გიორგი ჭელიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა. სამაგიეროდ, **აკაკი ხუბუტიამ** იყოჩაღა და ბენაშვილის ჩინებული პასის შემდეგ თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ სტუმართა თავკაცმა ლამის მთელი გუნდი გამოცვალა და შეცვლაზე შემოსულმა თურქმა ახალგაზრდებმაც ნამეტანი მოინდომეს, მაგრამ ილბალი აშკარად ჩვენს მხარეს იყო. ყოველ შემთხვევაში, ორ-სამ ეპიზოდში სტუმრებმა ისეთი მომენტები გააცუდეს, აი, ასპროცენტიან საგოლეს რომ ვეძახით ხოლმე.

ბოლოს კი ის ეპიზოდი იყო, რაც დასაწყისშივე ვახსენეთ: სტუმართა გოლი, ჩვენი ფეხბურთელებისა და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელთა აგრესია მსაჯის მიმართ და ასე შემდეგ. არა, მთავარია, რომ წესრიგის დამცველებმა იყოჩაღეს და ქართველი მსაჯი საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებისგან დაიცვეს!..

**გია ტუხაშვილი**

**P.S. შარშანაც თებერვალი იყო, თბილისში, "ავლაბრის" სტადიონზე საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანელი თანატოლები დიდი ანგარიშით (5:0) რომ დაამარცხა. კარგად გვახსოვს, როგორი გამწარებული იყვნენ თამაშის მერე სტუმრები - ასეთი მიკერძოებული მსაჯობა არსად გვინახავსო. ბევრ რამეში მართლებიც იყვნენ - ჩვენი აზრით, მატჩის ქართველმა არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ სტუმართა სასარგებლოდ სამი (!) პენალტი არ დადო. ახლა კი, როლები შეიცვალა - თანამემამულე არბიტრს ტენდენციურობაში უკვე მასპინძლები ადანაშაულებენ.**

## მატჩის შემდეგ

**პეტარ სეგრტი (მთავარი მწვრთნელი): „სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, 4-5 ფეხბურთელი გვაკლდა და დარჩენილი კონტინგენტით წაგებას ვერ ავცდით. მეტოქე კარგად იყო შეთამაშებული. ეს უბრალოდ ფაქტს ვაფიქსირებ. ჩემმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეორე გოლი ბოლო წუთზე მივიღეთ და მათთვის კომპლიმენტები არ მენანება. თუმცა შედეგით განბილებული ვარ. მსაჯზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი, ეს ჩემი საქმე არაა. ჩვენ კი ამ თამაშს ფეხბურთელებთან ერთად გავარჩევთ და გავაანალიზებთ. ამ თამაშში ჩემმა ფეხბურთელებმა დიდი ემოცია ჩადეს და დასანანია, რომ 94-ე წუთზე გაშვებული გოლით დავმარცხდით. ეს გუნდი ახლახანს ჩავიბარე, 21 წლამდე ასაკის ჭაბუკებით ჩვენ ახალ და ძლიერ გუნდს ჩამოვაყალიბებთ და მჯერა, ახალ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით ვიასპარეზებთ".**

**მათე ღვინიანიძე: "შეუთამაშებლობა დაგვეტყო. ბევრი იყო შედარებით გამოუცდელი და ამის მიუხედავად, მიხარია, რომ მეორე ტაიმში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. თურქეთს არაფრით ჩამოვუვარდებოდით. გაცილებით მონდომებით დავიწყეთ თამაში შესვენების შემდეგ. დავინახეთ, რომ მათთან ბრძოლა შეიძლებოდა და უფრო გავიხსენით. საწყენია, რომ ასეთი დასანანი ბურთი გავუშვით. იმედია, დროთა განმავლობაში გუნდი უფრო დაიხვეწება და უკეთესად ვითამაშებთ."**

**გიორგი მერებაშვილი: "რთული მეტოქე რომ იყო, ეს თავიდანვე ვიცოდით. შეძლებისდაგვარად ვიბრძოლეთ, მაგრამ ორი დღის ნავარჯიშები რომ ვიყავით, ეს გამოჩნდა. თანაც, არც ერთი არ ვიყავით საუკეთესო ფორმაში, სეზონი ახლა იწყება და ესაა მიზეზი."**

**ალექსი ბენაშვილი: "წასაგები თამაში არ იყო. მეორე ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით. გულდასაწყვეტია, რომ ფრე ვერ შევინარჩუნეთ."**

**გიორგი ჭელიძე: "თურქებმა გვაჯობეს. ჩვენზე გაცილებით უკეთ იყვნენ შეთამაშებულები. ჩვენ კი ამ შემადგენლობით პირველად შევიკრიბეთ და დაგვეტყო. ისიც აშკარა იყო, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვიყავით და ამგვარად თურქებთან თამაში ძალიან ძნელია. მეც ვერ ვისარგებლე მომენტით."**

**გიორგი ფოფხაძე: "იმით დავიწყოთ, რომ ბიჭები ძალიან მონდომებით ვთამაშობდით, თუმცა ბალახის საფარი არ იყო სასურველ მდგომარეობაში და ეს სასიამოვნო არ იყო. რაც შეეხება თამაშს, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტი შეგვიძლია და შეთამაშების შემთხვევაში, ჩვენი გუნდის პოტენციალი გაცილებით უკეთ გამოჩნდება."**



ბურთით გიორგი ნავალოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა


გარღვევაზეა ლევან კორღალიძე

კლუბები. სიონი

# კორღალიძეც ბოლნისში

ბოლნისის "სიონმა" გუშინ გურჯაანში ორი საკონტროლო მატჩი გამართა. ორივე შეხვედრაში მისი მეტოქე დედაქალაქური "მერანი" იყო. ორივე გუნდმა პირველი თამაშის შემდეგ შემადგენლობები მთლიანად შეცვალა.

"სიონის" ბანაკიდან მთავარი სიახლე ისაა, რომ მის რიგებში **ლევან კორღალიძემ** ითამაშა და სავარაუდოდ, სეზონის მეორე ნახევარს იქვე გაატარებს. უდავოა, რომ ლატვიამოვლილი ნახევარმცველი ბოლნისელთა ისედაც მძლავრ შუა ხაზს კიდევ უფრო გააძლიერებს.

გურჯაანში გამართული ორივე მატჩი "სიონის" გამარჯვებით დასრულდა, 2:1 და 2:0. პირველ დაპირისპირებაში ჩემპიონთა ღირსება შემდეგმა ფეხბურთელებმა დაიცვეს:

**ბობღიაშვილი, ექონია, ბოიომო, ლ. ჭელიძე, კობაური, ოქროპირიძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, კორღალიძე, ალავიძე, ჩასემი.**

სიონელთა პირველი გოლი **ერიკ რომეო ჩასემის** ანგარიშზეა, შემდეგ კი "მერანის" კარი თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა **შოთა ბაბუნაშვილმა** დალაშქრა.

მეორე ამხანაგურში თავის გამოჩენის საშუალება "სიონის" დანარჩენ წევრებს მიეცათ. "მერანს" **სვანიძემ** და **გიგინეიშვილმა** გაუტანეს. მატჩის ბოლო 20 წუთი "სიონმა" ათი კაცის შემადგენლობით ჩაატარა, დაშავებული **ბაჩანა ცხადაძის** ნაცვლად მოედანზე არავინ შესულა.

ორივე მატჩმა **ლევან სილაგაძის** გარეშე ჩაიარა. იგი მხოლოდ ძუნძულით შემოიფარგლა. საქმე ისაა, რომ მას მსუბუქი ტრავმა აქვს, სილაგაძე სავარაუდოდ, 18 თებერვლისთვის მწყობრში იქნება. შეგახსენებთ, ამ დღეს ბოლნისელები საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში საჩხერის "ჩიხურას" დაუპირისპირდებიან.

*"გურჯაანში გამართულ ორივე მატჩში გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი ეგ იყო, ანგარიშში დაწინაურების შემდეგ, ფეხბურთელები მოდუნდნენ და მეტოქეს გოლის გატანაში შეუწყვეს ხელი. ძლიერი ახალწვეულები გვყავს, ყველა მათგანის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის ძალა რეალურად შეგვწევს,"* – გვითხრა "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ**.

საბოლოოდ, გამოირიცხა ბოლნისელთა ბაქოში სტუმრობა. "სიონი" გურჯაანიდან თბილისში გუშინვე დაბრუნდა. გუნდი სასტუმრო "ლიზიშია" შეკრებილი, ვარჯიშებს კი 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე ატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დილაში

# შემიძლია, მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრო

გაჭირვებაში ჩავარდნილ „დილას" ახალმოსულმა ინვესტორმა, შეიძლება ითქვას, „სულზე მიუსწრო". სავალალო მდგომარეობის გამოსწორება დიდ ოფლისღვრას მოითხოვს და როგორც გორის სტადიონზე, ისე თავად გუნდში გამალებული მუშაობა მიდის. გრძელდება სტადიონის რემონტი და გუნდის განახლება-გაძლიერება. ცოტა ხნის წინათ, „დილის" ახალწვეულთა შორის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძეც გამოჩნდა. რა თქმა უნდა, გორელთათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი ამავდროულად, „დილას" კარს დაიცავს. ბოლოს რევაზი უკრაინის ჩემპიონატში ზაპოროჟიეს „მეტალურგში" თამაშობდა და ჩვენი საუბარიც მასთან სწორედ ამ თემით დავიწყო.

**- პირველ ყოვლისა გკითხავთ, რატომ დაბრუნდით უკრაინიდან საქართველოში და კერძოდ „დილაში"?**

- ზაპოროჟიეში გასული წლის ზაფხულს წაველი და ნახევარს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ფაქტობრივად გასინჯვის გარეშე, პირდაპირ ჩამრიცხეს შემადგენლობაში. ჩემს გარდა იქ კიდევ ორი მეკარე იყო, ორივე ასაკიანი (30 და 35 წლის), თუმცა გამოცდილი და რადგანაც „მეტალურგი" გასავარდნ ზონაში იყო, მწვრთნელები არ რისკავდნენ შემადგენლობის შეცვლასა და ჩემს ძირითადში დაყენებასაც ერიდებოდნენ. როცა რთული სატურნირო ვითარებაა, ცხადია ყველა გადაწყვეტილების მიღებისას სიფრთხილეა საჭირო, მით უფრო თუ საქმე მეკარეს ეხება. ამ თვალსაზრისით შეიძლება გაუგო იქაური გუნდის თავკაცებს, მაგრამ მე ჩემის მხრივ ვიცოდი, რომ სათამაშო პრაქტიკის არქონა გვარიანად მაზარალებდა. ამიტომაც გავთავისუფლდი თუ არა, საქართველოს მოვაშურე. ერთხანს „ოლიმპში" ვვარჯიშობდი, რათა ფორმა არ დამეკარგა და ამავდროულად მეფიქრა სამომავლოდ, სავარაუდო გუნდების წინადადებებზე. მაშინ შემეხმიანენ გორიდან და მეც გადავწყვიტე სეზონის ბოლომდე „დილაში" მეთამაშა.

**- კლუბის ხელმძღვანელობასთან პირობებზე იოლად შეთანხმდით?**

- საკმაოდ ნორმალური პირობები შემომთავაზეს, სიტუაცია ისეთია, რომ შეგიძლია მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრო. ხელმძღვანელობა მაქსიმალურად მიწყობს ხელს და ყველაფერში მეხმარება. თავად გუნდის შემადგელობითაც კმაყოფილი ვარ. ბიჭებში აშკარად იგრძნობა ბრძოლის ჟინი და მონდომება.

**- სამაგიეროდ, სატურნირო მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „დილას" გვარიანად უჭირს...**

- მდგომარეობა მართლაც რთულია. ვფიქრობ, გაგვიჭირდება უმაღლეს ლიგაში დარჩენა, მაგრამ ის ატმოსფერო, რაც ფეხბურთელებსა და კლუბის თავკაცებში სუფევს, თითოეულ ჩვენგანს სტიმულს გვაძლევს საბრძოლველად. აქედან გამომდინარე, დიდი იმედი გვაქვს, რომ პრობლემას დადებითად გადავჭრით. ამ ქალაქს კარგი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია და ძალიან ცუდი იქნება, გორს უმაღლეს ლიგაში გუნდი თუ არ ეყოლება.


რევაზ თევდორაძე

**- თუ ყველაფერი თქვენთვის კარგად დასრულდა, მომავალ სეზონშიც ითამაშებთ გორში?**

- გამორიცხული არაა. ერთი, რომ სიტუაცია კარგია და რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, სათამაშო პრაქტიკა უნდა მქონდეს. „დილაში" ჩემს გარდა კიდევ ორი მეკარეა, შესაბამისად კონკურენცია არის და რასაკვირველია, აქ მხოლოდ იმის გამო არავინ გათამაშებს, რომ ახალგაზრდული კარის დარაჯი ხარ.

**- თავად ახალგაზრდულ ნაკრებში თუ შეგექმნათ პრობლემა, თუნდაც უკრაინაში ყოფნისას სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო?**

- არც მაშინ და არც ახლა პრობლემა არ მქონია. მწვრთნელები ახლაც მენდობიან, რაც თავის მხრივ საკმარისი მიზეზია ჩემი სამომავლოდაც თავდაუზოგავი შრომისა. დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი თურქთთან მატჩი იყო, ახლა კი 19-წლამდელთა ნაკრებში გადავინაცვლებ. დღესდღეობით, გუნდში თაობათა ცვლა მიდის და სერიოზულად ვემზადებით ელიტ რაუნდისთვის.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

კოლხეთი

# ფოთში სპონსორი გამოჩნდა

საუბრები ერთ-ერთი თურქული კომპანიის მიერ "კოლხეთი 1913"-ის სპონსორობაზე ჯერ კიდევ ფოთელთა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობისას დაიწყო, მაგრამ მაშინ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მას მერე "კოლხეთ 1913"-ს საქმეები უფრო ცუდად წაუვიდა. საბოლოოდ კი გუნდი დაიშალა და ახალდარეგისტრირებული "კოლხეთი" (1913-ის გარეშე) რეგიონალლიგაში გამოჩნდა. როგორც ახლა ირკვევა ფოთის გუნდის საქმეები კარგად იქნება. ყოველ შემთხვევაში "კოლხეთს" ფინანსურად აღარ უნდა გაუჭირდეს.

როგორც ფოთელთა გუნდის პრესატაშე **გია ეჯიბიამ** გვაცნობა, "კოლხეთსა" და თურქულ კომპანია "პალმალს" შორის მოლაპარაკებები გაიმართა. "კოლხეთი" და "პალმალი" ერთმანეთს კლუბის წარმომადგენელ **ამირან ლომაძის** მეშვეობით დაუკავშირდნენ. მოლაპარაკებებმა შედეგიანად ჩაიარა და გადაწყდა, რომ "პალმალი" "კოლხეთს" სამი წლის განმავლობაში დააფინანსებს. ეჯიბიას თქმით, პარტნიორობის პირობებზე შეთანხმება მიღწეულია და რამდენიმე დღეში ეს დოკუმენტურადაც გაფორმდება.

"პალმალთან" სპონსორობაზე ფორმალობის მოგვარებამდე კი ფოთელები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და ამხანაგური მატჩების ჩატარებაზეც არ ამბობენ უარს. ამას წინათ ფოთელები პირველი ლიგის პირველადგილოსან ზუგდიდის "მგლებს" დაუპირისპირდნენ. გრიგოლეთის საწვრთნელ კომპლექსში გამართული შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. "კოლხეთი" ამ კვირაში კიდევ გეგმავს ტესტმატჩების ჩატარებას.

**დავით ცაბაძე**

ბათუმი

# სომხიშვილი დაბრუნდა

სეზონის მეორე ნახევრისთვის "ბათუმი" მშობლიურ ქალაქში განაგრძობს მზადებას. **ამირან გოგიტიძის** გუნდი ამხანაგურ მატჩებს ქობულეთსა და ურეკში მართავს. საკონტროლო შეხვედრებზე ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი აჭარელთა გუნდის გაძლიერებაზე ვთქვათ.

როგორც ამირან გოგიტიძემ გვითხრა, "ბათუმმა" მეკარე **გიორგი სომხიშვილი** დაიბრუნა. მართალია, ეს გოლკიპერი პირველ წრეში სწორედ აჭარელთა გუნდში გამოდიოდა, მაგრამ ზამთრის პაუზის დაწყებისთანავე დაემშვიდობა მათ. გოგიტიძემ გვითხრა ისიც, რომ 2-3 დღეში "ოლიმპის" მცველ **ლერი ხოხონიშვილს** ელის. "ბათუმს" თბილისის "დინამოდან" ნახევარმცველ **გიორგი ნერგაძის** დამატებაც უნდა. ბათუმელებმა ამ საკითხზე დედაქალაქურ კლუბთან მოლაპარაკებებიც წამოიწყეს და საკითხი მალე უნდა გადაწყდეს.

რაც შეეხება საკონტროლო მატჩებს, ბათუმელები სამი დღის განმავლობაში ორჯერ გაეჯიბრნენ ზუგდიდის "მგლებს". პირველი მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა, მეორე შეხვედრაში კი აჭარლებმა 3:2 მოიგეს. ამ შეხვედრაში კვარაცხელიამ დუბლი მიითვალა, ერთი გოლი კი კერესელიძემ გაიტანა. ბათუმელებმა 3:2 მოგებულ შეხვედრაში შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

ბათუმი: **სომხიშვილი, ჯინჭარაძე, ლობჟანიძე, გალოგრე, ბარამიძე, ცანავა, ბეჟანიძე, ჩარგეიშვილი, კუნჭულია, კერესელიძე, კვარაცხელია.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **შალამბერიძე, დარჩიძე, ფარტენაძე.**

**დავით ცაბაძე**

## ბარაბაძე კვიპროსში ათამაშეს

დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" საწვრთნელ შეკრებაზე კვიპროსში იმყოფება. კლუბთან ერთად არ არის **ჯაბა კანკავა**, სამაგიეროდ **ოლეგ პროტასოვმა** თან იახლა ახალგაზრდა ქართველი ფორვადრი **რევაზ ბარაბაძე**, რომელიც პირველ შეკრებაზე გუნდს არ გაჰყოლია. შეკრების პირველ დღეს კუნძულზე მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ ჩაშალა ვარჯიში და გუნდმაც პროტასოვის დაბადების დღე აღნიშნა - წარსულში ცნობილი ფორვარდი 43 წლის შესრულდა. გუშინწინ "დნეპრმა" საკონტროლო მატჩი გამართა, უკრაინული კლუბის მეტოქე პოლონური "კორონა" იყო. **შახოვის, სამოდინის** და **მოტზის** გოლებით დნეპროპეტროვსკელებმა 3:0 იმარჯვეს. მატჩის 65-ე წუთზე ბარაბაძე მეორე გოლის ავტორ სამოდინის ნაცვლად შევიდა. სეზონის პირველ ნაწილში ბარაბაძემ "დნეპრის" შემადგენლობაში სამი შეხვედრა გამართა.

## მარცხი სამეზობლოში

თბილისის "ლოკომოტივი" 4 თებერვალს მეზობელ აზერბაიჯანს ესტუმრა და საკონტროლო მატჩი გამართა. ქართველების მეტოქე ბაქოს "ოლიმპი" გახლდათ, რომელთანაც შარშან ზაფხულში თბილისში ფრედ (2:2) დაასრულა მატჩი.

ამჯერად აზერბაიჯანელებმა 3:1 გაიმარჯვეს.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოპინგტესტი უკრაინულად

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელ სეზონში შემთხვევითი შერჩევის წესით ჩატარებულ დოპინგტესტებზე 16 (!) ფეხბურთელი ჩავარდა. კიდევ უფრო საინტერესოა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, **ოლექსანდრ ბარდუნკოს** განცხადება: *"ამ ტესტების მიზანი ვინმეს დასჯა არ ყოფილა. შემოწმება ანონიმური იყო. პრემიერლიგის თითოეულ კლუბს მივუთითეთ, რომ საჭიროა, გააძლიერონ საკუთარ მოთამაშეებზე კონტროლი.ამას გარდა, გვინდოდა, დავრწმუნებულიყავით, რომ კლუბების სამედიცინო პერსონალი მზადაა, ტესტირების თანამედროვე მეთოდების ასათვისებლად."*

შარშან, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალის შემდეგ (უკრაინამ ჰოლანდიასთან წააგო) უკრაინელთა მცველ **დმიტრი ნევმივაკა** დოპინგის მოხმარებაში ამხილეს და 12-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამ განაჩენის გამო ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრა.

## ტონი იუვეში, ტრეზეგეს ნაცვლად

**ლუკა ტონის** "იუვენტუსში" გადასვლა სურს. ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა **რობერტო ბეტეგამ** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს თავდამსხმელს საიდუმლოდ შეხვდა. ამის მიუხედავად, გუშინდელმა "ტუტოსპორტმა" გვაუწყა, რომ მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს და ტონი **დავიდ ტრეზეგეს** შემცვლელად განიხილება. ფლორენციელი ვარსკვლავი ამბობს: *"კლუბებმა ჯერ ერთმანეთთან უნდა გამონახონ საერთო ენა."* ტონის უმაღლეს დონეზე თამაში სურს და მიაჩნია, რომ მიზანს "იუვენტუსში" უფრო იოლად მიაღწევს.

ბრაზილია-პორტუგალიის გუშინწინდელ მატჩს "ქალბატონის" ემისარი **მაურო სანდრეანი** დაესწრო. მას პენტაკამპეონების ნახევარმცველ **ჟილბერტო სილვაზე** დაკვირვება ჰქონდა დავალებული. ამ ინფორმაციასაც "ტუტოსპორტი" ავრცელებს.

## ჟილ სუნუ, ახალი ანრი?

იანვრის ტრანსფერების დახურვისას გაუწყეთ, რომ "არსენალმა" "შატორუს" თინეიჯერი თავდამსხმელი **ჟილ სუნუ** შეიძინა. ის ლონდონში მაშინვე გადავა, როგორც კი 16 წელი შეუსრულდება. სუნუ პირველ პროფესიულ კონტრაქტსაც "მეთოფეებთან" გააფორმებს. "შატორუს" ვიცე-თავმჯდომარე **პატრიკ ტროტინიონი** ამბობს, რომ "არსენალმა" ახალი **ტიერი ანრი** დაიბევა. ტროტინიონის აზრს ბევრი ფრანგი მიმომხილველიც ეთანხმება. ჟილი ანრივით დახვეწილი თავდამსხმელია, შეუძლია ფორვარდების უკან თამაში და ფლეიმეიქერის ფუნქციების შესრულებაც. ის ძალიან სწრაფია და საუცხოო ტექნიკას ფლობს. ვარაუდობენ, რომ **არსენ ვენგერი** არც ამ ბიჭის ტრანსფერში შემცდარა.

იტალია

# სერია A და B კვირას განახლდება

## მინისტრთა კაბინეტმა თამაშის ახალი წესები შემოიღო. სან სირო დახურულია?

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომისარმა **ლუკა პანკალიმ** დაადასტურა, რომ სერია A და B კვირას განახლდება. გუშინ იტალიის მინისტრთა კაბინეტში ხელისუფალთა და სპორტის ჩინოსანთა მორიგი სხდომა გაიმართა. მიიღეს 13 პუნქტისგან შემდგარი დოკუმენტი, რომელიც "თამაშის" ახალ წესებზე გადასვლას ნიშნავს. ამაზე უკვე ვწერდით და თავს ბევრს აღარ შეგაწყენთ. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ მოუწყობელ სტადიონებს შორის აღმოჩნდა "სან სიროც". მაგალითად, იქ ბოლომდე არ არის დამთავრებული სატრიალო გამშვები პუნქტების მონტაჟი, ეს კი ახალ წესებში მკაცრ მოთხოვნად ითვლება. გამოდის, რომ "მილანი" და "ინტერი" რისკავენ, მატჩები ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარონ. რაც შეეხება საერთაშორისო შეხვედრებს, უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ "მილანი"-"სელტიკის" საჩემპიონთალიგო დაპირისპირება, შეიძლება, ნეიტრალურ მოედანზე (საფრანგეთში ან შვეიცარიაში) გაიმართოს.

რაც შეეხება ჩემპიონატის განახლებას. კვირას, კალენდრით დაგეგმილი 23-ე ტურის მატჩები გაიმართება. სკანდალური 22-ე ტურის შეხვედრები კი აპრილისთვის გადაიტანეს. გადაწყდა ისიც, რომ თებერვალში ყველა მატჩი შუადღისას ჩატარდება. დღეს გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა, რომლის დროსაც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გაირკვეს, დართავენ თუ არა გულშემატკივრებს "პალერმო"-"ემპოლის", "რომა"-"პარმასა" და "ტორინო"-"რეჯინას" მატჩებზე დასწრების უფლებას. სერია B-შიც სამი თამაში შეიძლება იყოს გახსნილი: "სპეცია"-"ბოლონია", "ლეჩე"-"ვერონა" და "მოდენა"-"ალბინოლეფე".

მატჩების დახურვას კლუბების დიდი ნაწილი სასტიკი პროტესტით ხვდება. მათი პათოსი ასეთია: ჭეშმარიტი ქომაგისთვის თამაშის ცოცხლად ნახვის უფლების წართმევა იმას ნიშნავს, რომ საფეხბურთო სამყარო, და მთლიანად სახელმწიფო, ხულიგნებს დანებდნენ და მათ მძევლებად იქცნენ. ამას გარდა, იმ ფონზე, როცა იტალიის ჩემპიონატებზე მაყურებელთა რაოდენობა ისედაც დაეცა, ხოლო კლუბები ბილეთებისა თუ აბონემენტების რეალიზაციისგან პრაქტიკულად მინიმუმს იღებენ, ტიფოზებისთვის კარის მიხურვა კლუბებს მეტ ფინანსურ პრობლემას მოუტანს. სერია A-სა და B-ს კლუბების პრეზიდენტები დღეისთვის ცალკე შეხვედრის გამართვას გეგმავენ. სხვათა შორის, მთავრობის გუშინდელი გადაწყვეტილების საპასუხოდ, აქა-იქ ბოიკოტიც ახსენეს...

სკანდალი

# ჰიდინკი: 10 თვე ციხეში?

ჰოლანდიის ქალაქ ჰერტოგენბოშის პროკურორმა **გუუს ჰიდინკის** 10 თვით დაპატიმრება მოითხოვა. რუსეთის ნაკრების თავკაცს გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ. სამართალდამცველთა ცნობით, 2002-2003 წლებში ჰიდინკმა ქვეყნის ბიუჯეტს 1.4 მილიონი ევრო დააკლო. ეს ის პერიოდია, როცა მწვრთნელი სამხრეთ კორეიდან ახალი დაბრუნებული იყო. და მისივე განცხადებით, არა ჰოლანდიაში, არამედ ჰოლანდიის მოსაზღვრე ბელგიის პატარა ქალაქში ცხოვრობდა. პროკურატურას ჰიდინკის გულწრფელობაში ეჭვი ეპარება. მათ ხელთ აქვთ დოკუმენტი, რომლის თანახმად, გუუსს ბელგიაში ნამდვილად აქვს პატარა ბინა, მაგრამ იქ ერთი ღამეც კი არ გაუთევია. ჰიდინკი ამბობს, რომ მისი სინდისი სუფთაა: *"აუცილებლად დავამტკიცებ, რომ თაღლითი არა ვარ და წმინდა ადმინისტრაციულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე."*



ჰიდინკი: უდანაშაულო ვარ!



ჯანლუიჯი ბუფონი

ინტერვიუ ჯანლუიჯი ბუფონთან

# ასე ხომ იტალიური ფეხბურთი მოკვდება

## იუვენტუსის მეკარე ძალადობის თემას გამოეხმაურა

**პარასკევს კატანიაში მომხდარი არეულობების შემდეგ, იტალიური სპორტული პრესა ყველაფერზე წერდა ფეხბურთის გარდა. ვგულისხმობთ იმ ფეხბურთს, რომელსაც მინდორზე თამაშობენ და არა იმას, რაც მოედნის ზემოთ, ტრიბუნებზე ან სტადიონების გარეთ ხდება. წამყვანი სპორტული გაზეთების პირველი გვერდები ფეხბურთელების მაგივრად პოლიტიკოსებსა და სპორტულ ჩინოვნიკებს ეკავათ, მაგრამ გუშინ, როგორც იქნა, ერთი ფეხბურთელიც გაახსენდათ - ჯანლუიჯი ბუფონი. თუმცა თემა არ შეცვლილა: ძალადობა სტადიონებზე და მათი მოგვარების გზები. „იუვეს“ მეკარე ერთ დროს თავადაც „ულტრასი“ ყოფილა, ახლა კი მათ „გაძეტა დელო სპორტის“ ფურცლებიდან მიმართა.**

**- გაოცებული ხართ კატანიაში მომხდარი ფაქტებით? თუ ყველაფერი მოსალოდნელი და პროგნოზირებადი იყო?**

- თუკი სიკვდილის ფაქტებითაც აღარ გავოცდით, დამთავრებულა ჩვენი საქმე. მაგრამ იმ საწყალი პოლიციელის სიკვდილი რომ არა, კატანიის ამბები უკვე კარგად დავიწყებული გვექნებოდა –ისე, როგორც წარსულში არაერთხელ მომხდარა, როცა ტრაგედიასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ბეწვზე გადავრჩით.

**- მძიმე სათქმელია, მაგრამ გამოდის, ვიღაცის სიკვდილი ყოფილა საჭირო...**

- ადამიანები ასეთები ვართ, რაღაც ზომებს მაშინ მივმართავთ, როცა უკიდურეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

**- თქვენ პერსონალურად „ულტრასებთან“ ბრწყინვალე ურთიერთობა გაქვთ...**

- მეტიც, სამი წლის განმავლობაში თავად ვიყავი „ულტრასი“, როცა ჩემი დაბის გუნდს ვქომაგობდი დაბალ სერიებში.

**- ესე იგი, მათ კარგად იცნობთ: რა ტრიალებს ამ ხალხის თავში?**

- გააჩნია. „ულტრასებს“ შორის არიან ნორმალური, სხვადასხვა პროფესიით დაკავებული ადამიანები და არიან ზედმეტად ექსპანსიურები, რომლებსაც ჭკუის სწავლება სჭირდებათ.

**- დარწმუნებული ხართ, რომ ამ ექსპანსიურ მასას ფეხბურთი მართლა აინტერესებს?**

- „ულტრასობა“ ყველასთვის ცხოვრების, ურთიერთობის, დანარჩენებისგან გამორჩევის ფორმაა. ჩემს დროსაც ასე იყო, იმ განსხვავებით, რომ მაშინ მიზანს საყვარელი გუნდის გულშემატკივრობა წარმოადგენდა. დღეს „ულტრასების“ ნამდვილი მიზანი პოლიციაზე, ფედერაციაზე, მეტოქის ტიფოზებზე თავდასხმა და პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვაა. ამ ყველაფერმა უკვე ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რაღაც აზრი დამებადა...

**- კერძოდ?**

- კარგი იქნება თუ ისინიც ჰოლანდიელებივით მოიქცევიან. დღეს ინტერნეტის წყალობით, ეს ძალიან ადვილი გასაკეთებელია. „ულტრასებმა“ ადგილი დათქვან, შეხვდნენ და იქ ურტყან ერთმანეთს. თორემ, თუ ჰგონიათ, რომ ვიღაცის ჯგუფურად ჩაქოლვა და ქვების სროლა ვაჟკაცობაა, ძალიან ცდებიან.

**- ბრალი ფეხბურთელებსაც მიუძღვით?**

- ერთ დროს ასე ვფიქრობდი, ახლა კი ვაღიარებ, რომ გარკვეულ ეპიზოდებში უფრო მეტი სპორტულობა უნდა გამოვიჩინოთ. არასპორტულობის პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველგან აქვთ, თუკი უკვე ინგლისშიც შეგნებულად მივარდებიან ხოლმე მსაჯს პენალტი რომ გამოსტყუონ. მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ფეხბურთელები ვიღაცებისთვის თავის მართლების საშუალებას წარმოვადგენთ.

**- რა გაგებით?**

- იმ გაგებით, რომ მდიდრები, პოპულარულები ვართ და ამიტომ ხალხში გაღიზიანებას და ბოღმას ვიწვევთ. მაგრამ მაშინ რატომ ურტყამენ სერია C-ს საწყალ ფეხბურთელებს, ვისი ხელფასიც თვეში ათას ევროს არ ცდება?

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ყველაფრის მიზეზი სტადიონი არ არის. სულ მესმის ტელევიზორიდან: ესა და ეს სტადიონი უსაფრთოების ნორმებს ვერ პასუხობს, ეს კი ნორმაშია... ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ...

**- მაგრამ?**

- კატანიელ ტიფოზებს ზარალის მიყენება გადაწყვეტილი ჰქონდათ და ამის გაკეთება ქალაქის ცენტრშიც შეეძლოთ. ყველაფერს სტადიონს ნუ დავაბრალებთ. სტადიონებს თავს დაანებებენ, მაგრამ წავლენ და რომელიმე მანიფესტაციას შეერევიან, იქ მოაწყობენ აურზაურს. ჩვენს ქვეყანაში სიკვდილის კულტურა ღვივდება, ახალგაზრდებს აღარ აქვთ პატივისცემა ერთ დროს ისეთი ავტორიტეტული ფიგურების მიმართ, როგორებიცაა მამა ან პოლიციელი. სახელმწიფო ამას ვერ მიხვდა.

**- რა?**

- ის რაც დღეს ხდება, სოციალური გაჭირვების გამოხატულებაა. თინეიჯერებს თავი მოსწონთ, როცა ხულიგნობენ, მასწავლებლებს სკოლაში აბუჩად იგდებენ. ბოლო მოვლენებში 15 არასრულწლოვანია გარეული, ასე არ არის?

**- როგორ უნდა ვუშველოთ?**

- სამოქალაქო აღზრდა დაწყებითი კლასებიდანვე უნდა მისცენ - რვა საათი კვირაში. ასეთი გაკვეთილები ჩემს დროსაც იყო, თუმცა გართობისა და აურზაურის მოწყობის საშუალებას წარმოადგენდა, იმიტომ, რომ სერიოზულად არავინ ეკიდებოდა. მაგრამ ჩვენ უფრო გულუბრყვილოები, ნამდვილი ბავშვები ვიყავით. 16 წლისამ პირველად დავინახე, რომ ჩემი მეგობარი სიგარეტს ეწეოდა, ახლა 13 წლის ბიჭები და გოგოები კოკაინს ყნოსავენ. სულ შეიშალა ხალხი.

**- კლუბებს რა პასუხისმგებლობა მიუძღვით?**

- კლუბები ტიფოზებისგან თანამოაზრეობას ითხოვდნენ და ეს ზოგჯერ ამართლებდა კიდეც - მაგალითად, მანჩესტერში „მილანი“-„იუვეს“ ფინალზე. „ულტრასების“ ლიდერები დაიბარეს და უთხრეს: „არაფერი არ უნდა მოხდეს“ და მართლაც არაინარი ინციდენტი არ ყოფილა. მაგრამ ხანდახან აშკარად აჭარბებენ, განსაკუთრებით, კლუბებთან ფინანსური საკითხების შეთანხმებაში, ან კიდევ, როგორც მესინაში მოხდა, როცა მწვრთნელს პოსტიდან უშუალოდ „ულტრასები“ ითხოვენ. ეს დაუშვებელია.

**- ეთანხმებით იმ ზომებს, რომელთა გატარებასაც მთავრობა გეგმავს?**

- მთლიანად არა, მაგრამ მესმის: მკაცრი ზომების შემოღება ამ ემოციური მომენტის შედეგია. პანკალის გადაწყვეტილებასაც ვიზიარებ ფეხბურთის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ ვერაფრით გავიზიარებ იმას, რომ სტუმარი გუნდის ტიფოზებს ბილეთები აღარ მიჰყიდონ.

**- დარწმუნებული ხართ?**

- „რკინის ხელი“ საჭიროა, მაგრამ ნუ დავაზარალებთ მათ, ვინც სტადიონზე ფეხბურთისა და თავისი გუნდის სიყვარულით მიდის. მივცეთ უკანასკნელი შანსი. განვუმარტოთ, რომ კიდევ ერთი შეცდომის შემთხვევაში, ყველაფერი დამთავრდება. მე არ შემიძლია რაღაც სალონური ფეხბურთის წარმოდგენა - სიჩუმეში, ტიფოზების გარეშე.

**- რატომ არის შესაძლებელი ინგლისის სტადიონებზე ბავშვებთან ერთად წასვლა?**

- იმიტომ, რომ იქ უსაფრთხოებაზე მეტი რესურსი იხარჯება და კიდევ იმიტომ, რომ, ვწუხვარ ამას რომ ვამბობ, ხალხმა იცის, თუ დააშავებს, დაისჯება. ინგლისელების მაგალითი იმას გვასწავლის, რომ საჭიროა, სიმკაცრე და, რომ დათმობებზე წასვლას უარესი შედეგი მოაქვს.

**- რას ეტყოდით ულტრასებს?**

- იმას, რომ თუ ასე გაგრძელდა, ფეხბურთი მოკვდება. ეს კი არც თქვენ გინდათ.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მიუნხენური ლაფსუსები

## რეკორდმაისტერის ბოსები ბოლო დროს მხოლოდ შეცდომებს უშვებენ...

**ჰო, რა თქმა უნდა: ეს არ არის ის "ბაიერნი", რომელსაც მთელი გერმანია ტრადიციისამებრ ელოდა. ცხადია, ვერავინ იფიქრებდა, რომ მიუნხენურ გიგანტს 20 ტურის შემდეგ 6 წაგება ექნებოდა. და ვერც იმას წარმოიდგენდა ვინმე, რომ ბავარიული კლუბის ხელმძღვანელები ფელიქს მაგათს, რომელსაც ზაფხულში ახალი ხელშეკრულება გაუფორმეს, ასე მოულოდნელად დაიფრენდნენ. სეზონის წინ უტოპიური იქნებოდა იმის წარმოდგენაც, რომ "ბაიერნში" ოტმარ ჰიტცფელდი დაბრუნდებოდა. ერთი სიტყვით, წელს რეკორდმაისტერში ყველაფერი უკუღმა ხდება.**

"ბაიერნისთვის" უჩვეულოა ის ფაქტი, რომ შუა სეზონში მწვრთნელი შეიცვალა. თანაც, მოვიდა სპეციალისტი, რომელიც გუნდს მხოლოდ ზაფხულამდე უხელმძღვანელებს. ვის ვის და "ბაიერნის" შეფებს მინიმუმ ერთი წელი მაინც ჰქონდათ ხოლმე ზედმიწევნით ზუსტად გათვლილი. მენეჯერი **ული ჰიონესი** ყოველთვის 99-პროცენტიანი დარწმუნებით იტყოდა, თუ ვინ იქნებოდა გუნდის დამრიგებელი 5 თვის შემდეგ. ახლა კი რა ხდება? გერმანიის ყველა დროის ყველაზე წარმატებულ კლუბში სრული გაურკვევლობაა.

ვინ გაწვრთნის მიუნხენურ კლუბს მომავალ სეზონში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია. ჰიონესი ამბობს, რომ ივნისისთვის ჯერ არანაირი გეგმა არა აქვს. როგორც ჩანს, მისი სიტყვები, **ჟოზე მოურინიოსთან** კონტაქტი არ დამიმყარებია და ვინც ეს ინფორმაცია გაავრცელა, უტიფრად ცრუობსო, საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მიმომხილველებს "ბაიერნის" მენეჯერისთვის დაეჯერებინათ. სწორედ ამიტომ, გუშინ ენაჭარტალა ულიკიდევ ერთხელ შეეხო ამ "ამაზრზენ სპეკულაციას", როგორც თვითონ უწოდებს და ისეთი სიტყვები თქვა, რომ ახლა უკვე საბოლოოდ გასაგებია: "ბაიერნში" მოურინიოს ვერ ვიხილავთ.

*"ჟოზე მოურინიო "ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად, რბილად რომ ვთქვათ, ვერ წარმომიდგენია!"* - განაცხადა ჰიონესმა და ახლა უკვე ცხადია, რომ პორტუგალიელ თავკაცთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია. ბარემ აქვე მოვიყვანთ ენაჭარტალა ულის კიდევ ერთ ციტატას, რომელიც "ბაიერნის" ბევრ ქომაგს დასწყვეტს გულს. გეხსომებათ, არაერთხელ ითქვა, რომ მიუნხენელები ზაფხულში 30-მილიონიან ტრანსფერს განახორციელებენ. რეკორდმაისტერში გადასვლის უმთავრეს კანდიდატად კი ფრანგი ნახევარმცველი **ფრანკ რიბერი** მოიაზრებოდა. დიახ, მოიაზრებოდა, რადგან ჰიონესმა თქვა: *"რიბერის ყიდვის შანსი, სამწუხაროდ, ნულის ტოლია."*

საუბრები იმის შესახებ, რომ ზაფხულში "ბაიერნში" გრანდიოზული ცვლილებები მოხდება და ბოსები ახალი გუნდის შენებას დაიწყებენ, ყველას ფარსად ეჩვენება. ჰიონესისა და **რუმენიგეს** სიტყვების უკვე აღარავის სჯერა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავარიელებმა ბოლო 3 შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა მოიპოვეს (დორტმუნდში 2:3, "ბოხუმთან" 0:0, ნიურნბერგში 0:3) და მეორე წრეში ბურთების შეფარდებაც სამარცხვინო აქვთ (2:6). ამრიგად, ისე გამოვიდა, რომ 1975 წლის შემდეგ "ბაიერნმა" ბუნდესლიგის მეორე წრეში ყველაზე საშინელი სტარტი აიღო. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დიდი შანსია, ბოლო 11 წლის განმავლობაში მიუნხენელებმა პირველად ვერ მოიპოვონ ჩემპიონთა ლიგის საგზური.

*"გაბრაზებული ვარ, თუმცა ამას უკვე გაბრაზებაც აღარ ჰქვია. ჩვენს გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ამ სეზონში თუ არა, გაისად მაინც სულ სხვა "ბაიერნს" იხილავენ. დროა, ხელები დავიკაპიწოთ და საქმეს გაათმაგებული ენერგიით შევუდგეთ. ჩემპიონთა ლიგის საგზური აუცილებლად გვჭირდება. პირველ რიგში იმიტომ, რომ იმიჯი არ შეგველახოს და რა თქმა უნდა, ფინანსური თვალსაზრისითაც. მეოთხე ადგილზე ვართ და, განგაშის ატეხვის დროა. დაუშვებელია ის, რომ "ბაიერნმა" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშოს,"* - ამბობს ჰიონესი. ისე, ული კიდევ ბევრ რამეს ამბობს, ექსპერტებს კი სულ უფრო და უფრო ცოტა სჯერათ.

...გამოცემა "ბილდმა" რეკორდმაისტერის შეფების შეცდომებს მოუყარა თავი. მაშ ასე, 6 ყველაზე მძიმე მიუნხენური იალლიში:

1. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, დიდი შეცდომაა ის, რომ ჰიონესი და რუმენიგე **კლაუდიო პისაროს** კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობენ და ჯერ კიდევ სურთ პერუელის გუნდში დატოვება. პისარო, საერთოდ, "ბაიერნისთვის" ყველაზე შეუფერებელ ფეხბურთელადაა მიჩნეული. რატომ? კლაუდიოს უკვე არაერთხელ ჩამოართვეს მართვის მოწმობა იმის გამო, რომ მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ "ბაიერნში" გადასვლის შემდეგ გრანდიოზული შედეგები არ ჰქონია, ბოსებს შემოდგომაზე ხელფასის გაორმაგება (4 მილიონი ევრო წელიწადში) მოსთხოვა. გარდა ამისა, 2006 წლის მიწურულს, თამაშის დროს **როი მაკაის** პენალტის დარტყმა არ დაანება, მოედანზე იჩხუბა, თერთმეტმეტრიანი ჯიუტად თვითონ დაარტყა და რაც მთავარია, ვერ გაიტანა. დაბოლოს: მეორე წრის სამივე შეხვედრაში "ბილდმა" პისაროს თამაში ექვსიანით შეაფასა. ექვსიანს კი, ხსენებულ გამოცემაში ასეთი განმარტება აქვს: "გუნდიდან გასაგდებია!" მიუხედავად ამ ყველაფრისა, მომდევნო კვირაში ჰიონესი მასთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებას გეგმავს. ეს კი ნიშანია მთელი გუნდისთვის, რომ "ბაიერნში" დისციპლინა მნიშვნელოვანი არაა...

2. მიმომხილველები რეკორდმაისტერის ბოსებს შეცდომად უთვლიან **მაგათის** მოულოდნელად გათავისუფლებასაც. ყველა თანხმდება, რომ ეს ქაოტური და გაუაზრებელი გადაწყვეტილება იყო. ბევრისთვის გაუგებარია ისიც, რომ ჰიონესმა და რუმენიგემ გუნდში დააბრუნეს **ჰიტცფელდი**, რომელიც 2004 წელს გააგდეს. ოტმარი მიუნხენში მხოლოდ 4 თვე, ანუ, სეზონის ბოლომდე რჩება. და რაკი ჯერ კიდევ უცნობია, ვინ გაწვრთნის გუნდს მომდევნო სეზონში, ფეხბურთელებთან სერიოზული მოლაპარაკებების დაწყება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან ყველას უნდა, წინასწარ იცოდეს, ვინ იქნება მწვრთნელი.

3. როგორც იცით, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისთვის 30-40 მილიონი ევროა გამზადებული. ჯერჯერობით არავინ იცის, როგორ დახარჯავენ ჰიონესი და რუმენიგე ამ ფულს. არგენტინელი ფლეიმეიქერი **ხუან რომან რიკელმე** "ვილიარეალში" ტრიბუნაზე ზის. როცა **სებასტიან დაისლერმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა, "ბაიერნის" ბოსებს შეეძლოთ, რიკელმე მინიმუმ სეზონის ბოლომდე იჯარით მაინც აეყვანათ... მომავალი სეზონისთვის მიუნხენელებს მხოლოდ ორი ფეხბურთელის გადაბირება აქვთ გარანტირებული. ესენი არიან **იან შლაუდრაფი** (23 წლის, "ალემანიიდან" 1 მილიონად) და **ჰამით ალთინთოპი** (24 წლის, "შალკედან" უფასოდ). ფაქტი კი ის არის, რომ ამ ფეხბურთელებისა არავის ეშინია...



ენაჭარტალა ულის პრობლემები აღარ ელევა

4. როცა **მიხაელ ბალაკის** "ჩელსიში" გადასვლა გადაწყდა, "ბაიერნის" ბოსებს მისი შემცვლელის ძებნა არ დაუწყიათ. ჰიონესმა და რუმენიგემ არც **ზე რობერტოსა და ლიზარაზუს** შეცვლაზე იზრუნეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხვდებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელების დიდი ნაწილი გადაღლილი იქნებოდა.

5. მეორე წრის დაწყებამდე რუმენიგემ თქვა, ჩვენ იძულებულები ვართ, ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილებიო. მაშინ, როცა ჰიონესი ამბობდა, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემადგენლობას წარმატების მიღწევა შეუძლიაო. ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმას, რომ ბოსები (მინიმუმ ოფიციალურად) შეუთანხმებლად მოქმედებენ.

6. არაერთმა ფეხბურთელმა თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა (მაგალითად, **სალიჰამიჯიჩი** და **შოლი**). არიან ისეთებიც, ვისაც შესაძლებლობების გამოვლენა არც კი დაუწყია (**სანტა კრუსი, დემიკელისი**). მიუხედავად ამისა, მათ მაინც ხანგრძლივი კონტრაქტები მიიღეს. როგორც ჰიონესი ამბობს, იმისთვის, რომ **ვილი სანიოლისთვის** ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა, გუნდი თავის თავსა და ბიუჯეტს გადაახტა. ამის მერე რა გასაკვირია, რომ პისაროც ხელფასის გაორმაგებას ითხოვს. სანიოლისთვის ზღაპრული ჯამაგირის დანიშვნა, მინიმუმ არ უნდა გახმაურებულიყო.

**გოტფრიდ ლენცი**

ამხანაგური მატჩები

# სკოლარი: მეორე მარცხი ბრაზილიას

## პენტაკამპეონთა მოუგებელი სერია 18 წელს ითვლის, ნიგერიას ფოგთსის დანიშვნამ ვერ უშველა...



ჟილბერტო კრისტიანო რონალდოს შეჩერებას ცდილობს

**ბრაზილია-პორტუგალია 0:2**

ბრაზილია: ელტონი, მაიკონი (64. დანიელ ალვეში), ლუსიო, ჟუანი (46. ლუიზაო), ჟილბერტო, ელანო, ედმილსონი (64. ტინგა), ჟილბერტო, კაკა, ფრედი (69. დიეგო), სობისი (46. ადრიანო).

პორტუგალია: რიკარდო, მიგელი, რიკარდო კარვალიო (90. ფერნანდო მეირა), ჟორჟე ანდრადე, კანეირა (46. პაულუ ფერეირა), კრისტიანო რონალდო (64. სიმაო), პეტიტი, ტიაგო (69. მოუტინიო), დეკუ (62. უგო ვიანა), კვარეშმა, პოშტიგა (76. ნუნუ გომეში).

გოლები: 0:1 სიმაო (82), 0:2 რიკარდო კარვალიო (90).

მაყურებელი: 59 793

**ნიგერია-განა 1:4**

გოლები: 0:1 კინგსტონი (61), 0:2 მუნტარი (70), 0:3 აგოგო (81), 1:3 ტაივო (85-პენ), 1:4 მუნტარი (90).

**ავსტრალია-დანია 1:3**

გოლები: 0:1 ტომასონი (5), 0:2 იენსენი (28), 0:3 ტომასონი (38), 1:3 ემერტონი (85).

**საბერძნეთი-სამხ.კორეა 0:1**

გოლი: 0:1 ლი (78).

**ბულგარეთი-ლატვია 2:0**

გოლები: 1:0 სურნინსი (14-საკ.კარში), 2:0 იოვოვი (33).

**კვიპროსი-უნგრეთი 2:1**

გოლები: 1:0 იასუმი (18), 2:0 ოკასი (72), 2:1 პრისკინი (89).

**ჩრ.ირლანდია-უელსი 0:0**

ლონდონის "ემირიტს სთედიუმზე" პორტუგალიამ ბრაზილიას **სიმაო საბროსასა** და **რიკარდო კარვალიოს** გოლებით მოუგო. 82-ე წუთზე **რიკარდო კვარეშმამ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, საბროსამ **ლუიზაოს** დაასწრო და დაბალ კუთხეში გაიტანა. თამაშის მიწურულს კარვალიოს გოლიც ფლანგურ ჩაწოდებას მოჰყვა. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** თავისი ყოფილი გუნდი მეორედ დაამარცხა (პირველად 2003 წელს, პორტუში ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში, 2:1). **დუნგამ** ბრაზილიელთა მწვრთნელის რანგში პირველად წააგო. აქამდე მას ხუთმატჩიანი დაუმარცხებელი სერია ჰქონდა. საინტერესო სტატისტიკა: ბრაზილიას პორტუგალია შორეული 1989 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია.

ნამატჩევს სკოლარი კმაყოფილებას ვერ მალავდა: *"გამარჯვება იმ გუნდთან, რომელიც სათავეში უდგას ნაკრებთა რეიტინგს და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია, საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს. კარგი თამაში იყო. გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო. მეტოქემ მეტი მომენტი შექმნა, მაგრამ ჩვენ უფრო გაგვიმართლა. ტიპურ სამხრეთამერიკულ სტილში ვითამაშეთ. პორტუგალიაც ხომ ამ საფეხბურთო კულტურის ნაწილია. იმედია, ინგლისელმა მაყურებელმა ისიამოვნა."*

ცივი ლონდონური საღამოს მიუხედავად, **დუნგა** პერანგში იყო გამოწყობილი და თამაშს ისე ადევნებდა თვალს. მისმა ჩაცმულობამ უმალ მიმომხილველთა ყურადღება მიიპყრო: *"სულაც არ შემცივნია. ისეთი თამაში გამოვიდა და იმდენი ადრენალინი დავხარჯე, რომ გვარიანად გავხურდი. რა თქმა უნდა, დამარცხება არასოდეს არ არის სასიამოვნო. ასეთი თამაშების წაგების შემდეგ, სრული სასოწარკვეთა მეუფლება ხოლმე."*

თამაშის მოკლედ აღწერა ასე შეიძლება: მეორე ტაიმში ბრაზილიელ ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ. **კაკასა** და სხვა ლიდერებს მჭიდროდ მეურვეობდნენ. მილანელ ფლეიმეიქერს **არმანდო პეტიტი** მიუჩინეს, პორტუგალიელთაგან ბურთის გათამაშება კი **ტიაგოს** დაეკისრა. დუნგამ აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა ფლანგები სათანადოდ ვერ გამოიყენა. ახალგაზრდა მწვრთნელმა **რონალდინიოსა** და **რობინიოს** არყოფნას (მცირე ტრავმები ჰქონდათ) განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა. მან მარცხის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო.

აღსანიშნავია, რომ სამშაბათს გამართული ამხანაგური მატჩებიდან ოთხს ლონდონმა უმასპინძლა. ბრაზილია-პორტუგალიის გარდა, ინგლისის დედაქალაქში ჩატარდა განა-ნიგერიის (ბრენტფორდის გრიფინ პარკზე), საბერძნეთი-სამხრეთ კორეისა (ფულჰემის ქრევენ კოტიჯზე) და ავსტრალია-დანიის (ქუინზ პარკის ლოფტუს როუდზე) შეხვედრები.

განელებმა ნიგერიასთან 15-მატჩიან მოუგებელ სერიას შთამბეჭდავი გამარჯვებით დაუსვეს წერტილი (4:1). ჩელსელმა **ჯონ ობი მიკელმა** ძირითადში ითამაშა. **ჟოზე მოურინიო** ამტკიცებდა, ფეხბურთელი დაშავებულია და მისი გამოძახება არ შეიძლებაო, მაგრამ ნიგერიის ფედერაცია ფიფაში საქმის აღძვრით დაემუქრა. აფრიკელებს ასეთივე ბრძოლა გადახდათ "ნიუკასლთან", რათა ამ უკანასკნელს **ობა მარტინსი** გაეშვა. თამაშის წინ ნიგერიელებმა სამწლინახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს **ბერტი ფოგთსს**, მაგრამ გერმანელი სპეციალისტის დანიშვნამ (ის მუშაობას დღეიდან შეუდგება) "არწივებს" ოდნავადაც ვერ უშველა.

დანიელებმა "სოკერუები" ათასობით ავსტრალიელი ფანის წინაშე დაამარცხეს. ოკეანელებს თამაშგარის გამო ორი გოლი გაუუქმდათ. დუბლი შეასრულა **იონ დალ ტომასონმა**, რომელმაც იანვრის ტრანსფერებისას "შტუტგარტიდან" "ვილიარეალს" მიაშურა. **მორტენ ოლსენის** დანიას შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს: მხოლოდ ერთი მარცხი ბოლო 20 შეხვედრაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამბურგი. ინტერვიუ ჰუუბ სტევენსთან

# წინ ჯერ დიდი გზაა, უნდა გადავრჩეთ!

## გულშემატკივრები ჰამბურგის ფეხბურთელებს მოკვლით ემუქრებიან, მწვრთნელი ფანებს ამის გამო არ საყვედურობს...

"ჰამბურგი", ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო, გუნდი, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში არასდროს დაქვეითებულა, 20 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში უკანასკნელ ადგილზეა და სამშვიდობო ზონას უკვე 4 ქულით ჩამორჩება. ცოტაც და ერთი წელი შესრულდება მას მერე, რაც HSV-მ გერმანიის ჩემპიონატში, საკუთარ მოედანზე უკანასკნელი მატჩი მოიგო. 20 ტურში მხოლოდ 1 გამარჯვება და დაუსრულებელი უიღბლობა - ამ ყველაფერს გასულ კვირას ის შედეგი მოჰყვა, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა თომას დოლი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. პარასკევის შემდეგ "ჰამბურგის", ამ უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდის გადარჩენა ჰუუბ სტევენსს ევალება. პარასკევს დანიშნულ ჰოლანდიელ სპეციალისტს დებიუტი შაბათს ჰქონდა. HSV-მ, რა თქმა უნდა, ისევ უკანასკნელ წუთზე გაშვებული გოლით წააგო (ბერლინში 1:2). ახლა სტევენსს სამი ურთულესი მატჩი ელის: "დორტმუნდთან", "ვერდერთან" და ლიდერ "შალკესთან". ამაზე უარესი პროგრამის წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, "შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში სტევენსი მაინც ოპტიმისტურად საუბრობს.



ჰუუბ სტევენსის ჰამბურგული დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა

**- ჰერ სტევენს, პირველ რიგში ბუნდესლიგაში დაბრუნებას გილოცავთ და ამასთანავე, ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ჩამწარებული დებიუტის გამო. ბერლინში განცდილი მარცხი როგორ გადაიტანეთ?**

- სიმართლე გითხრათ, სხვა გზა არც მქონია - ეს წაგება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამევიწყებინა და ასეც მოხდა. ეს პირველი თამაში იყო და არცერთ მწვრთნელს არ სიამოვნებს დებიუტში მარცხი, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ გუნდის მოსამზადებლად დრო ფაქტობრივად არ მქონია. ფეხბურთელები პარასკევს გავიცანი, შაბათს კი უკვე თამაში იყო. ახლა მთავარია, რომ "ჰერტასთან" განცდილი მარცხისგან სწორი დასკვნები გავაკეთოთ და მომდევნო შეხვედრაზე ვიფიქროთ. "ჰამბურგისთვის" ყველა მატჩი გადამწყვეტია.

**- ორი-სამი წაგებაც და ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება...**

- ეს არ უნდა მოხდეს, "ჰამბურგის" გავარდნა წარმოუდგენელი და დაუშვებელია!

**- არადა, იგებდით. როგორ ახსნით იმას, რომ HSV-მ სამი ქულა ისევ მატჩის მიწურულს გაშვებული ორი გოლის გამო დაკარგა?**

- დავიწყოთ იმით, რომ ფეხბურთელებს თავდაჯერება საერთოდ აღარ აქვთ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ სეზონში "ჰამბურგი" წარმოუდგენლად უიღბლო გუნდია. ბოლო წუთებზე გოლების გაშვება, ლამისაა, ტრადიციად იქცეს. ესეც არ იყოს, ბერლინში განცდილი მარცხი იმის ბრალიც იყო, რომ ფეხბურთელების დიდ ნაწილს ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა აკლია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ან ტრავმირებულები იყვნენ და ახლახან გამოჯანმრთელდნენ, ანაც დისკვალიფიკაცია ჰქონდათ. "ჰერტასთან" პირველ ტაიმში ორგანიზებული და დალაგებული ფეხბურთი ვითამაშეთ, მეორე ნახევარში კი ავირიეთ. ვიცი, რომ ეს "ჰამბურგის" სენია, რომელიც ამ გუნდს ამ სეზონში შეეყარა.

**- ე.ი. თქვენს გუნდს უფრო კონდიციური პრობლემები აქვს, ვიდრე მენტალური?**

- მენტალური პრობლემებიც მრავლადაა. კვირას ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ ვაჩვენე "ჰერტასთან" მატჩის ვიდეოჩანაწერი, სადაც აშკარად ჩანდა, რომ მიუხედავად ჩვენი დავრდომისა, მეორე ტაიმში ბერლინელებმა ჩვენს კართან მხოლოდ და მხოლოდ ერთი რეალური მომენტი შექმნეს და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ორი გოლი გაგვიტანეს. თუკი "ჰერტამ" პირველი გოლი ასე თუ ისე დაიმსახურა, მეორე ბურთი არაფრისგან მივიღეთ. ასეთ დეტალებს ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**- წაგების შემდეგ ფეხბურთელებს იმედგაცრუება ეტყობოდათ?**

- ვიცი, რასაც გულისხმობთ. ამ შემადგენლობამ გულშემატკივრებს უკვე იმდენჯერ გაუცრუა იმედები, რომ არ გამიკვირდებოდა, მოთამაშეებს ეს წაგება საერთოდ რომ არ სწყენოდათ, მაგრამ ასე არ ყოფილა. საფინალო სასტვენის შემდეგ ყველანი გულდაწყვეტილები იყვნენ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მხოლოდ თავის ჩაქინდვრა და წუხილი არაფერს მოგვიტანს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ სრული კონცენტრაცია მოახდინონ. ყველა ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგეს. გასავარდნ ზონას მხოლოდ ასე თუ დავაღწევთ თავს.

**- ყველაზე მეტად რის გამო ემდურით შეგირდებს?**

- ფეხბურთელებს ჯერჯერობით ვერაფერზე დავემდურები, რადგან "ჰერტასთან" შეხვედრამდე მხოლოდ ერთი დღე მქონდა და შესაბამისად, ვერც ვერაფერი მოვასწარი. აი, მომდევნო მატჩისთვის უკვე საფუძვლიანად ვემზადებით და თუ დორტმუნდის "ბორუსიასთან" ჩემს დავალებებს არ შეასრულებენ, მაშინ უკვე მექნება სასაყვედურო. ისე კი, ჩვენ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ფეხბურთელები ადამიანები არიან. "ჰამბურგი" ამ სეზონში ყველაზე გაწამებული გუნდია და არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბიჭები შეცდომებს უშვებენ. ეს აბსოლუტურად ადამიანური და ასე ვთქვათ, ნორმალური რეაქციაა იმ სიტუაციაში, რომელშიც მთლიანად გუნდი აღმოჩნდა.

**- ისე, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ პირველ რიგში კარგი ფსიქოლოგი უნდა იყოთ და მხოლოდ ამის შემდეგ კარგი მწვრთნელი. "ჰამბურგს" ახლა ფსიქოლოგი უფრო სჭირდება...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით. მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ გუნდს ახლა ყველაზე მეტად საკუთარი თავის რწმენა სჭირდება და მეც ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ფეხბურთელებს თავდაჯერება დავუბრუნო. მხოლოდ ამის შემდეგ მივხედავ სამწვრთნელო საკითხებს.

**- კვირას, ვარჯიშის დროს, ფეხბურთელებს ფანები მიადგნენ და დაემუქრნენ, თუ მეორე ბუნდესლიგაში გავარდებით, ყველას მოგკლავთო. რამდენად კრიტიკული იყო სიტუაცია?**

- ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია არც ისე დრამატული იყო, როგორც ეს პრესაში დაიწერა. სულ 8-9 ფანი მოგვადგა, რომელთაგანაც ერთი ძალიან ხმამაღლა ყვიროდა და ბიჭებს მართლაც მოკვლით ემუქრებოდა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის იმ გულშემატკივრის ასეთი რეაქცია სავსებით გასაგებია. ფანებიც ისევე არიან იმედგაცრუებულები, როგორც ჩვენ. არ მიმაჩნია, რომ ეს სერიოზული პრობლემაა.

**- მომდევნო ტურებში "ჰამბურგის" მეტოქეები "ვერდერი" და "შალკე" იქნებიან. თქვენი გუნდისთვის ახლა თითოეულ ქულას სისხლის ფასი აქვს. მაგრამ განა ვინმე დაიჯერებს, რომ გუნდს, რომელმაც "კოტბუსს" და სხვა აუტსაიდერებს ვერ მოუგო, "შალკეს" ან "ვერდერის" დამარცხება შეუძლია?**

- წინ კიდევ 14 ტურია და როგორც ხედავთ, გვაქვს შანსი, რომ ელიტაში ადგილი შევინარჩუნოთ. შესაბამისად, დანებებას აზრი არა აქვს. უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იოლი არ იქნება. ფეხბურთელებმაც იციან, თუ რაოდენ რთული ამოცანის წინაშე დგანან. მაგრამ შეუძლებელი არაფერია: ჩვენ შეგვიძლია "ვერდერისა" და "შალკეს" დამარცხება.

**- ზამთარში ბოსებმა მხოლოდ ივიცა ოლიჩი და მათიას აბელი იყიდეს. იმ დროს "ჰამბურგის" მწვრთნელი ჯერ კიდევ თომას დოლი იყო. თქვენ რომ ყოფილიყავით, რა მხრივ შეცვლიდით შემადგენლობას?**

- ამ კითხვას ამომწურავ პასუხს ჯერ ვერ გავცემ, რადგან გუნდი მხოლოდ რამდენჯერმე ვავარჯიშე. სასწაულმოქმედი უნდა ვიყო, სამი-ოთხი ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებზე ამომწურავად რომ ვისაუბრო. მე ვფიქრობ, რომ გუნდს ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ ამ სეზონში მინიმუმ უეფას თასის საგზურისთვის ებრძოლა. მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე გვემუქრება. ხომ ხედავთ, მხოლოდ პოტენციალი საკმარისი არ არის.

**- როცა თქვენი "ჰამბურგში" დანიშვნა გადაწყდა, ამბობდით, მუშაობას მხოლოდ კვირას ან ორშაბათს დავიწყებო. "ჰერტასთან" მატჩის დროს სკამზე ჯდომა არ გსურდათ, მაგრამ მერე მაინც დანებდით და შაბათს გუნდი მოედანზე გაიყვანეთ. რატომ?**

- საქმე სხვაგვარად იყო. მინდოდა, ხელმძღვანელებთან მესაუბრა და მათთვის მეკითხა, რამდენად აზრიანი იქნებოდა ის, რომ პარასკევს გაცნობილი გუნდი შაბათს სათამაშოდ გამეყვანა. მათ მითხრეს, რომ ეს უბრალოდ აუცილებელი იყო. შესაბამისად, "ჰერტასთან" მატჩში უკვე მთავარი მწვრთნელი გახლდით, რითაც ფეხბურთელებს ვაგრძნობინე, რომ მათ გვერდით ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ თამაშამდე არანაირი გავლენა არ მქონია.

**- იცოდით თუ არა, რომ თქვენთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ HSV-ს ხელმძღვანელები ფელიქს მაგათთანაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს? და იცოდით თუ არა, რომ ფანები სწორედ მაგათის დაბრუნებას ითხოვდნენ?**

- გაზეთებს ვკითხულობ და ცხადია, ყველაფერი ვიცოდი. და რა თქმა უნდა, რომ დანიშვნის შემდეგ ყველა მეკითხება, თავიდან ფავორიტი იყავით, მერე კი უცებ სათადარიგო ვარიანტი აღმოჩნდით და ამ ყველაფრის შემდეგ თავს როგორ გრძნობთო. მაგრამ მე ასეთი დისკუსიები არ მაინტერესებს. აქ მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაწვრთნის გუნდს - მთავარია, რომ "ჰამბურგი", რომელიც ერთადერთი გუნდია, ვინც ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა, მეორე ლიგაში არ დაქვეითდეს.

გოტფრიდ ლენცი



ბარსელონა ფრენკ ლემპარდის დავიწყებას არ აპირებს

ბარსელონა

# ულტიმატუმი სავიოლას

## ბეგირისტაინმა ინგლისში ლემპარდი ნახა

ინგლისისა და ესპანეთის ამხანაგურ მატჩს "ბარსელონის" დელეგაცია დაესწრო. კატალონიელთა სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი ფრენკ ლემპარდს** დააკვირდაო, გვარწმუნებენ ინგლისური ტაბლოიდები. "სანის" ცნობით, უახლოეს მომავალში "ბარსა" ოფიციალურად დაუკავშირდება "ჩელსის" და ფეხბურთელის გაყიდვას შესთავაზებს. არა ერთხელ დაიწერა, რომ ფიფას ახალი კანონმდებლობით, 28 წლის ლემპარდის შეძენა 8.5 მილიონი გირვანქად იქნება შესაძლებელი. ვარსკვლავის ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ფრენკი "არისტოკრატებთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

მოგეხსენებათ, "ბარსელონა" **კრისტიანო რონალდოსაც** აკვირდება. ამ მიზნით, ბეგირისტაინი ბრაზილია-პორტუგალიის გუშინწინდელ შეხვედრაზეც იმყოფებოდა. კატალონიელ ჩინოვნიკს სამომავლო გეგმებზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ამასობაში, "ბარსამ" **ხავიერ სავიოლას** აგენტის შეცვლა მოსთხოვა. არგენტინელ თავდამსხმელს განუცხადეს, რომ ახალ კონტრაქტს იმ დრომდე არ შესთავაზებენ, სანამ მისი ინტერესების დამცველი **ალფრედო კაბრერა** იქნება. კაბრერას დაძაბული ურთიერთობა აქვს ბეგირისტაინსა და "ბარსელონის" ფინანსურ დირექტორ **ფერან სორიანოსთან**. კატალონიური გრანდის ემისრებს ამ პიროვნებასთან საუბარი შეუძლებლად მიაჩნიათ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სად ითამაშებს ვუდგეიტი?

## რეალმა ინგლისელ მცველზე უარი თქვა. რიგში მიდლსბრო, ჩელსი, არსენალი და პორტსმუთი დგანან

**ჯონათან ვუდგეიტი** "რეალში" არ დაბრუნდება. ინგლისელ მცველს განუცხადეს, რომ სამეფო კლუბი მის სამსახურს აღარ საჭიროებს. მადრიდელებმა ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნეს, რომ მზად იყვნენ, ფეხბურთელი "მიდლსბროში" გაეყიდათ, ხოლო ვუდგეიტს სამომავლოდ დიდი წარმატებები უსურვეს.

ჯონათანმა ეს ამბავი სანაკრებო ვარჯიშის დასრულებისას შეიტყო. ის იმდენად გაოცდა, რომ კომენტარის გაკეთებაც კი ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, მისმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვუდგეიტი "ბოროში" სეზონის ბოლომდე დარჩება (საიჯარო კონტრაქტის ამოწურვამდე), შემდეგ კი ყველა დაინტერესებულ კლუბს მოუსმენს. ამგვარად, მისი მომავალი კარიერის მოწყობაზე "რეალი" კი არ იზრუნებს, არამედ ის თვითონ, საკუთარი ადვოკატების დახმარებით.

ვუდგეიტს "არსენალი" აკვირდება. ლონდონელებს მხოლოდ ის აშფოთებთ, რომ ფეხბურთელს ქრონიკული ტრავმები აქვს. ჯანმრთელობის პრობლემების გამო ბოლო წლებში მას ძალიან ბევრი გაუცდა და მადრიდში ყოფნისას, "რეალის" შემადგენლობაში თითქმის არ უთამაშია. 26 წლის ვუდგეიტი ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. მისი კვალიფიკაციის ფონზე, ფეხბურთელის ფასი საკმაოდ დაბალია - სულ რაღაც 6 მილიონი გირვანქა. "მიდლსბროს" ოთხწლიანი კონტრაქტი გამზადებული აქვს. ვუდგეიტი, რომელიც ნაკრებში სამწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება სეზონის ბოლომდე მოიცდის.

"რეალის" განცხადებას კიდევ ერთი გამოხმაურება მოჰყვა. გუშინდელმა "მირორმა" გვაუწყა, რომ ვუდგეიტმა "ჩელსის" ყურადღებაც მიიპყრო. "არისტოკრატებს" ბოლტონელი **ტალ ბენ ჰაიმი** აღარ აინტერესებთ. სამაგიეროდ, სეზონის დასრულებისთანავე ვუდგეიტს შესთავაზებენ კონტრაქტს. ლონდონური გრანდების გარდა, ჯონათანს "პორტსმუთიც" ეპატიჟება.



მადრიდელები ვუდგეიტს გამოემშვიდობნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რიკელმე: იჯარით ბოკაში?

**ხუან რომან რიკელმე**, შეიძლება, "ბოკა ხუნიორსში" ვიხილოთ. ბაირესულ გიგანტს სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ ერთი ნახევარმცველის დამატების უფლება მისცეს. და აი, პრეზიდენტი **მაურისიო მაკრი** ვილიარეალელ ფლეიმეიქერს ეპატიჟება. არგენტინული გაზეთების მტკიცებით, პერსონალური დეტალები შეთანხმებულია. ესპანური მედია ამ ინფორმაცია არ ფლობს და რიკელმეს სეზონის ბოლომდე "ელ მადრიგალის ტრიბუნაზე ჯდომას უწინასწარმეტყველებს. თუ ასე მოხდება, ფეხბურთელი წლიურ ანაზღაურებას 2 მილიონი ევროს ოდენობით უსაქმურობაში მიიღებს.

## დუშერი ლიონში მიდის

"ლიონმა" წინასწარი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა "დეპორტივოს" ნახევარმცველ **ალდო დუშერთან**. არგენტინელს გალისიური ხელშეკრულება ივნისში უმთავრება. საზაფხულო არდადეგების შემდეგ ის საფრანგეთს უკომპენსაციოდ მიაშურებს. დუშერით ინგლისური კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მას "ბოკა ხუნიორსსა" და "რივერ პლეიტშიც" იწვევდნენ, მაგრამ ფინანსურად ყველაზე მიმზიდველი პირობები ლიონელებმა წარმოადგინეს. ამიტომ ფეხბურთელს არჩევანის გაკეთება არ გასჭირვებია.

## ფონ ჰეეზენს გაიდეკი შეცვლის

როგორც იცით, გადაწყვეტილია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ **თომას ფონ ჰეეზენი** ბილეფელდის "არმინიის" მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება. ამ სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და დიდი ხანია, რაც ხელმძღვანელებს ახალ ხელშეკრულებაზე უარი უთხრა. გუშინ გადაწყდა, რომ "არმინიას" მომავალ სეზონში **ფრანკ გაიდეკი** უხელმძღვანელებს. 39 წლის გაიდეკი ახლა სწორედ ფონ ჰეეზენის ასისტენტად მუშაობს.

სკანდალი

# დიეგოს მამა ექვმიტანილია

## მიზეზი: ეჭვიანობა! ჰქონდა თუ არა ბრემენელი ვარსკვლავის დედას რომანი მსხვერპლთან?

"ვერდერის" 21 წლის ბრაზილიელი გამთამაშებლის, **დიეგოს** მამა გუშინწინ პოლიციამ დააკავა. 52 წლის **დიაირ კუნია** მკვლელობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. როგორც ირკვევა, ბრემენული კლუბის ვარსკვლავის მამა თავისი ავტომანქანით განგებ დაეჯახა ვინმე **რომილსონ რიბეიროს**, რომელიც იმ დროს მოტოციკლეტს მართავდა. გამოცემა "გლობო" იტყობინება, რომ კუნიამ ეს ეჭვიანობის ნიადაგზე გააკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ მსხვერპლს, რომელიც ახლა მძიმე მდგომარეობაშია და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, დიეგოს დედასთან რომანი ჰქონდა. რიბეირო "ვერდერის" ფლეიმეიქერის დედის, **სესილიას** ფიტნესმწვრთნელი და მასაჟისტი გახლავთ. დიეგოს მამის ადვოკატი **ლუის ჟერალდო** ამტკიცებს, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო და რომ მის კლიენტს რიბეიროს მოკვლა არ სურდა.

გამოძიება ახმაურებს ფაქტს, რომლის მიხედვითაც, დიეგოს მამა უკვე დიდი ხანია ეჭვობს, რომ რიბეიროს მის ცოლთან რომანი ჰქონდა. ამის საფუძველი კუნიას პირველად შვიდი თვის წინ მიეცა და მას მერე ეს უკანასკნელი ცოლის მასაჟისტს არაერთხელ დაემუქრა მოკვლით. რიბეიროს ჩვენებაში ნათქვამია, რომ სამი კვირის წინ დიაირ კუნიამ ის ხელკეტებით შეიარაღებულ დაჯგუფებას აცემინა. თვითონ დიეგო კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობს. "ვერდერის" მენეჯერი **კლაუს ალოფსი** კი იმედოვნებს, რომ ეს ფაქტი ფეხბურთელის თამაშზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს.



დიეგო მშობლებთან ერთად

# სუპერაგენტი: ვინ არის პინი ზაჰავი?



პინი ზაჰავი



ავი კოენი

*დასასრული. დასაწყისი იხ. ლელო N 29-30*

## შემთხვევა აეროპორტში

აგენტის რანგში პირველი გარიგება ზაჰავიმ ჟურნალისტობის პერიოდი, 1979 წელს მოახერხა. ეს იყო თელ-ავივის "მაქაბის" მცველ **ავი კოენის** "ლივერპულში" გადასვლა, რაც მერსისაიდელებს 200 ათასი გირვანქა დაუჯდათ. *"მაშინ, ყველაფერი სხვაგვარად იყო და მე, უბრალოდ, მიყვარდა ფეხბურთი. მაგრამ ამ გარიგებამ მიჩვენა, თუ როგორ შეიძლება ფეხბურთში ფულის შოვნა"*.

იმ გარიგებაში მეტი წილი იღბალზე მოდიოდა, მაგრამ ეს გარემოება ხაზს უსვამს ზაჰავის სწრაფ აზროვნებას. *"ყოველ ოთხ კვირაში ერთხელ, რუევენ რივლინთან ერთად, ფეხბურთზე დავდიოდი. ერთხელ, "ჰითროუს" აეროპორტში, უამინდობის გამო შევფერხდით. იქვე, "ლივერპულის" მდივანი პიტერ რობინსონი შევნიშნე და ვკითხე: "ნუთუ არ დაინტერესდებით ერთი კარგი ებრაელი ფეხბურთელით?" მათ ავი კოენის საქმეში ნახვისთვის საკუთარი სკაუტი ტომ სანდერსი გამოგზავნეს და მალე ფეხბურთელიც ჩავიდა ინგლისში სინჯებზე. ბობ პეისლის, "ლივერპულის" მაშინდელ მწვრთნელს, მოეწონა კოენი და გარიგებაც შედგა"*.

კოენი გულთბილად იხსენებს მეგობარს: *"პინი ზაჰავის გაზეთ "იედოთიდან" ვიცნობდი. ყოველ შაბათს ის "მაქაბის" თამაშებს აშუქებდა და ჩემზე არც ისე ცოტას წერდა. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა ურთიერთობა. ის ძალიან კეთილი, პატიოსანი კაცია, ამავე დროს, კარგი მოსაუბრეც გახლავთ"*.

კოენი "მაქაბიში" 1981 წელს დაბრუნდა, 1987-ში კი "რეინჯერსში" თამაშობდა **გრემ საუნესთან**, ზაჰავის კიდევ ერთ ახლო მეგობართან.

დიდი დრო გავიდა, ვიდრე 1990-ში ზაჰავი მნიშვნელოვან გარიგებას მოახერხებდა. მისი შემწეობით, ებრაელი თავდამსხმელი **რონი როზენტალი** ლიეჟის "სტანდარდიდან" "ლივერპულში" გადავიდა. რატომ არ აფორმებდა ზაჰავი ამდენ ხანს მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს? *"მე ჯერ კიდევ ვჟურნალისტობდი, თანაც ისრაელში თითქმის არ იყო ფეხბურთელი, რომელსაც უცხოურ კლუბებში გავყიდდი. ამას დაემატა ჟურნალისტთა მხრიდან ხშირი გამოხდომები, რომლის გამოც აგენტურული მოღვაწეობა რამდენიმე წლით შევაჩერე. თუმცა, როცა საქმე ფულს, ადამიანებსა და ახალ ამბებს ეხება, ჟურნალისტთა უმეტესობაც ხომ ვაჭარს ემსგავსება. უბრალოდ, მე არ მაპატიეს ლიად მოქმედება"*.

80-იან წლებში ის გულმოდგინედ "აგებდა ხიდებს". ისრაელში, ნაკრებთა დონეზე, ამხანაგურ მატჩებს მართავდა. **კენი დალგლიში** და გრემ საუნესი, "ლივერპულის" მაშინდელი ვარსკვლავები, შვებულების გასატარებლად ეილატში დაპატიჟა. ისინი მერე ყოველ ზაფხულს ჩადიოდნენ იქ. თავისუფლად მოქმედ და მეტად უნარიან ზაჰავის "ლივერპულის" საწვრთნელ ბაზაზე, მელვუდში, ფეხბურთელებისა და პერსონალისთვის ფორთოხალი ჩაჰქონდა...

როზენტალის მოწყობის შემდეგ, ზაჰავის ავტორიტეტი გაიზარდა. განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაში, სადაც სხვადასხვა ფეხბურთელის გარდა, ჩილელი ფორვარდის **მარსელო სალასის** ინტერესებსაც იცავდა. მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კიდევ ერთი ებრაელი ნახევარმცველის **ეიალ ბერკოვიჩის** გადასვლას "საუთჰემპტონიდან" "ვესტ ჰემში", 1997 წელს, რადგან სწორედ ამ გარიგების პროცესში ზაჰავიმ ახალგაზრდა რიო ფერდინანდი შეამჩნია. *"როცა ის პირველად ვნახე მოედანზე, მაშინვე მივხვდი, რომ ამ ამპლუაში ის მსოფლიოში საუკეთესო იქნებოდა. ამისთვის, მას ყველაფერი გააჩნდა"*.

ზაჰავი მისი აგენტი გახდა. დღეს, ფერდინანდი, რომელიც კვირაში 110 ათას გირვანქას იღებს, თუ არ ჩავთვლით სარეკლამო შემოსავალს, "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. გასულ წელს, პაპარაცების ობიექტივმა, ფერდინანდი, ზაჰავი და პიტერ კენიონი ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში მაშინ დააფიქსირა, როცა "მანჩესტერ იუნაიტედთან" მის კონტრაქტს გახანგრძლივება სჭირდებოდა. ზაჰავი ყველა ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ეს ჩვეულებრივი შეხვედრა იყო...

## 26-საათიანი სამუშაო დღე

პინი ზაჰავი თელ-ავივიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20 მილის დაშორებით, 10-ათასმოსახლიან პატარა ქალაქ ნეს-ზიონში დაიბადა. მაღაზიის მფლობელის შვილი, საბავშვო ბაღსა და დაწყებით სკოლაში ჰაიფას "მაქაბის" ამჟამინდელ პრეზიდენტ **იაკობ შაჰართან** ერთად დადიოდა. შაჰარი დღემდე მისი უახლოესი მეგობარია. "ოსერთან" საევროსათასო მატჩის დროს, ჰაიფაში, მათ შეამჩნევდით ლოჟაში სვენ გორან ერიქსონთან ერთად, რამაც წარმოშვა ხმები იმის შესახებ, რომ შვედი სულ მალე შეცვლის **ალან პარდიუს** "ვესტ ჰემის" მწვრთნელის პოსტზე. *"ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს ნეს-ზიონის სპორტულ ცენტრში და ეს იყო ჩვენი ვნება, - ამბობს შაჰარი, - სწორედ მაშინ შეიმჩნეოდა პინის ლტოლვა კალმისა და ფურცლისკენ"*...

ზაჰავი ადასტურებს: *"ფეხბურთი ჩემი ბავშვობისდროინდელი სიყვარულია. ადგილობრივ გუნდში ვთამაშობდი. ჯარში წასვლის წინ კი, მთელი ორი წელი, მის ახალგაზრდულ შემადგენლობას ვწვრთნიდი"*. პინი 22 წლის იყო, როცა ჟურნალისტური კარიერა დაიწყო. *"როცა "იედოთ აჰრონოთში" მივედი, იქ სპორტს მხოლოდ ორ სვეტს უთმობდნენ, მაგრამ მე მოცულობა სამ გვერდამდე გავზარდე, შემდეგ ექვსამდე და ბოლოს ცხრამდეც"*.

კოლეგა **შაულ იზენბერგის** თქმით, ზაჰავი უაღრესად შრომისმოყვარეა: *"პინი საუცხოო ჟურნალისტი იყო, ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო. ის გატაცებით მუშაობდა. მისი სამუშაო დღე 26 საათს ითვლიდა, რისთვისაც ის ორი საათით ადრე ილვიძებდა. მაოცებს მისი წარმატება? რა თქმა უნდა, არა"*.

ზაჰავი, ამჟამად ქვრივი ორი ბავშვით, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის პერიოდში დაუახლოვდა ფეხბურთში მოღვაწე ხალხთა წრეს: *"ეს ტურნირი ძალიან დამეხმარა. სწორედ მაშინ გავიცანი ბევრი ადამიანი და დავუმეგობრდი"*. 90-ანი წლების დასაწყისში მან დიდი კავშირები გააბა. *"გრემ საუნესი, კენი დალგლიში, ტერი ვენეიბლზი და რონ ატკინსონი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან, ისევე, როგორც ამჟამინდელი ინგლისელი მწვრთნელების 90 პროცენტი. გარდა ამისა, ბევრ ფეხბურთელსაც დავუახლოვდი და ახლა ძმებივით ვართ. მეოთხედი საუკუნის წინ ინგლისელმა მწვრთნელებმა არაფერი იცოდნენ მოთამაშეებზე კონტინენტიდან, გაზეთებში კი ევროპის ეროვნული ჩემპიონატების მატჩების ერთ შედეგსაც ვერ იპოვნიდით. მათთვის სულერთი იყო, რა ხდებოდა მსოფლიო ფეხბურთში. ისინი მე შევცვალე"*.

ზაჰავის თელ-ავივის ოფისების ქსელიც ეკუთვნის, მაგრამ სიმდიდრის მიუხედავად, უბრალო, 200 ათას გირვანქად ღირებულ ბინაში ცხოვრობს დედაქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ზღვის სანაპიროსთან. გარდა ამისა, ქირაობს ბინას ლონდონის ცენტრში, მარბლ არჩზე. იქ, ბუხრის თავზე, სასტუმრო ოთახში მოთავსებულია ფოტო, როგორც მისი და სერ **ალექს ფერგიუსონის** მეგობრობის ძეგლი. ისინი ერთმანეთს ეხვევიან...

## ფეხბურთის მომავალი აფრიკასა და სამხრეთ ამერიკისაა

ზაჰავი სულ გზაშია, მოგზაურობს ხან უკრაინაში, ხანაც სამხრეთ ამერიკაში, ახალ გეგმებს ადგენს. ფეხბურთის გარდა, მას ცხოვრებაში არაფერი აინტერესებს. სპორტის სხვა სახეობებს საერთოდ არც უყურებს. თელ-ავივში ყოფნისას, მას დაძაბულობა ეტყობოდა, რადგან "ვესტ ჰემის" მფლობელის შეცვლის პროცესი მისი სცენარით არ მიმდინარეობდა.

ზაჰავის საქმოსნური ინტერესები მართლაც ჩახლართულია. როგორც ზემოთ ვთქვით, მას ეკუთვნის კომპანია "გლობალ სპორტს ეიჯენსი", რომელიც გიბრალტარზეა დარეგისტრირებული და პორტუგალიურ და სამხრეთევროპულ მიმართულებებზე ზრუნავს, თანაც, ამავდროულად, ცდილობს მეორე "კორინთიანსი" შექმნას ვარშავულ კლუბ კსპ-სგან.

მის განკარგულებაშია სკაუტებისა და პარტნიორების უდიდესი ქსელი, რომელიც მთელ მსოფლიოშია მიმობნეული, განსაკუთრებით აფრიკაში. აფრიკას კი ზაჰავი მნიშვნელოვან საფეხბურთო ზონად მიიჩნევს. *"არა მგონია, რომ ევროპაში ოდესმე ამდენი ტალანტი დაიბადება. საუკეთესო ფეხბურთელები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში იბადებიან. ამიტომაც ვმუშაობ ბევრს ბრაზილიასა და არგენტინაში"*.

ზაჰავი ამბობს, რომ ინგლისში რუსი ოლიგარქების მომრავლება მას ძალიან დაეხმარა. *"რას წარმოადგენდა "ჩელსი" რომანის გამოჩენამდე? - სვამს რიტორიკულ კითხვას, - რამდენიმე დღეც და კლუბი გაკოტრდებოდა. სიტუაცია კატასტროფული იყო. "ჩელსის" მაშინდელი აღმასრულებელი დირექტორი ტრევორ ბერჩი მოვიდა ჩემთან და პირდაპირ მთხოვა - დამეხმარე, ხელფასების გაცემა არ შეგვიძლიაო... ახლა კი "ჩელსი" ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია მსოფლიოში. იგივე "პორტსმუთს" ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა ქვესკნელამდე. კლუბი მზად იყო, პირველ დივიზიონში კი არა, მეორეში ან მესამეში გადასასვლელად. ახლა კი ყველაფერი რიგზეა. ვილაც წერს, რომ რუსებით მოყვანით საშინელება ჩავიდინე. მაგრამ რაც გავაკეთე, ეს იყო კარგი ინვესტორების მონახვა. მაჩვენეთ თუნდაც ერთი ინგლისური კლუბი, რომელსაც მხოლოდ ბრიტანელები მართავენ და რომელიც არ ითვლება კომერციულ ორგანიზაციად. ასეთი არ არსებობს. ფეხბურთი ბიზნესია. როცა მოთამაშე მწვრთნელთან საუბრისას ხელფასის საკითხს ეხება, მას ეუბნებიან: "ვწუხვართ, მაგრამ ამდენს ვერ გადაგიხდით. არ დაგავიწყდეს, ჩვენ ხომ კომერციულ ორგანიზაციას ვმართავთ". დიახ, ისინი ყოველთვის ასე ამბობენ. ამიტომ, როცა ვინმე იტყვის, რომ კლუბი ბიზნესია, არ დაუჯეროთ, ეს ტყუილია"!*

...ზაჰავი ჩერდება, ბოლოს და ბოლოს, კარლუშ ალბერტო დაილალა "ამბასადორის" ბარში ლოდინით. პინი ახალ სიგარას აბოლებს, მოსაუბრეს ემშვიდობება და გზად ამბობს: *"არ გაუშვათ ხელიდან "ვესტ ჰემი". გპირდებით, ყველაფერი კარგად იქნება. ფანებისთვის სულერთია, ვინაა კლუბის მფლობელი. მათთვის მთავარი შედეგებია. იაპონიაში, კორეაში, არგენტინაში, კოლუმბიასა და აფრიკაში... ყველგან ერთნაირადაა საქმე"*.

ზაჰავი კვლავ იღიმის. აი, ჯურაბჩიანიც, კარლუშ ალბერტუ და კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც ბორისს ეძახიან, მაგრამ ეს **ბორის ბერეზოვსკი** არ არის. მოგვიანებით, ჭიქა "კრისტალით" რომ ისიამოვნონ, ანდა ბლექ-ჯეკის პარტია ან სულაც "რულეტკა" ითამაშონ, კერძო სათამაშო დარბაზში, ზაჰავის კამპანიას გაუწევენ აბრამოვიჩი ან ვინმე **პაპუჩადუ**, რომელიც "ვესტ ჰემში" მისვლას აპირებს. ჩანს, პინი ზაჰავის სამყაროში არაფერია შეუძლებელი, მისი ავტორიტეტი უსაზღვროა...

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

კალათბურთი. ლეგიონერები



სერგო ათუაშვილი

## ათუაშვილი ლიტვაში

223 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილი** მეხუთე ქართველია, ვინც უცხოურ კლუბს შუა სეზონში შეუერთდა. იგი ლიტვის ქალაქ კლაიპედას "ნეპტუნასში" იანვრის შუაში ჩაირიცხა და მას შემდეგ ხუთი მატჩის ჩატარება მოასწრო.

ლიტვაში დაგვიანებით ჩასულ ქართველ ცენტრს სათამაშო დროს მეტისმეტად უზღუდავენ, თუმცა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან გუნდთან შესაგუებლად და ტაქტიკური მონახაზის სათანადოდ ასათვისებლად სერგოს დრო სჭირდება.

"ნეპტუნასი" ლიტვის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გარდა, ბალტიის თასზეც თამაშობს. ლიტვის პირველობაზე ათუაშვილს დებიუტი "რიტასთან" მოგებულ მატჩში (78:72) ჰქონდა, მხოლოდ 3 წუთი ითამაშა, ფარქვეშიდან 2 ტყორცნა გააცუდა და ერთი დაფარება მიითვალა. მეორე მატჩში, 27 იანვარს, სერგოს "ნეპტუნასმა" "პანევეჟისთან" 81:98 წააგო. ქართველმა ცენტრმა მოედანზე ამჯერადაც 3 წუთი გაატარა...

კლაიპედელები ლიტვის ცხრაგუნდიან ჩემპიონატში მეხუთე პოზიციაზე არიან (5 მოგება, 5 წაგება) და ერთი საფეხურით უსწრებენ **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისს" (5 მოგება, 6 წაგება).

"ნეპტუნასი" ცხრილის შუაშია (მეოთხე პოზიციაზე, 4 მოგება, 2 წაგება) ბალტიის ლიგის მეორე ჯგუფშიც. ამ ტურნირზე სერგო ათუაშვილს სამი შეხვედრა აქვს ჩატარებული ("ნევეჟისთან", "ლიეპაიასა" და "ატლეტასთან"), საშუალოდ 4 წუთში 1 მოხსნას, 0.7 პასსა და 0.3 დაფარებას აგროვებს. საინტერესოა, რომ ჩვენიანს ბალტიის თასზე მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია.

ბალტიის ლიგის მორიგ ტურში "ნეპტუნასს" სერიოზული გამოცდა ელის - ჯგუფის ლიდერ "ტარტუ როკს" ეთამაშება. მანამდე **გიორგი ცინცაძე** სრულად გამოჯანმრთელდება (ვირუსისგან) და წესით, ქართული დუელი უნდა ვიხილოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



დავით ბარბაქაძე (18)

## ოლიმპია თასიდან მოკვეთეს

გუშინ სლოვენიურ პრესაში საინტერესო, მაგრამ ჩვენთვის ნაკლებად სასიამოვნო ინფორმაცია გამოქვეყნდა: "სლოვენიის თასის დაწყებამდე ორი დღით ადრე, ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ "ოლიმპია" გათამაშებიდან მოკვეთა. მიზეზი მარტივია - დავალიანება ოთხი გუნდის მიმართ ("ჰელიოსი", "როლგა", "იანჩე" და "აიდოვჩინა"). გუნდი ტურნირზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ოლიმპიელები ვალს თასის მატჩების დაწყებამდე ერთი დღით ადრე გადაიხდიან."

მეტი თვალსაჩინოებისთვის დავძენთ, რომ "ოლიმპიას" ოთხი კლუბის ვალი მას შემდეგ დაუგროვდა, რაც "ჰელიოსიდან", "როლგადან", "პანჩედან" და "აიდოვჩინადან" ოთხი კალათბურთელი იყიდა... უფრო სწორად, ნისიად აიყვანა.

სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას რამდენიმე საათით ჩამორჩა "ოლიმპიას" პრეზიდენტის არჩევა. სპეციალურმა საბჭომ გუნდის პრეზიდენტის პოსტი ჩააბარა **იურე იეზს**, რომელიც მთავარი სპონსორის, "პივოვარნას" წარმომადგენელია. ახალი არჩევნები მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც **დაგ კრალიმ** "ოლიმპიას" ვალების გამო პრეზიდენტის პოსტი თვითნებურად დათმო.

იმედი დავიტოვოთ, რომ ახალი მმართველი, იურე იეზი პრობლემებს სწრაფად მოაგვარებს და **მანუჩარ მარკოიშვილის** "ოლიმპია" 8 თებერვალს სლოვენიის თასზე "ნოვა გორიცას" წინააღმდეგ ითამაშებს

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ორნი აზერბაიჯანში

"ავიამშენის" ფორვარდი **დავით ბარბაქაძე** და გამთამაშებელი **გიორგი მამაცაშვილი** კარიერას ბაქოს "ნტდ-დევონში" გააგრძელებენ. მათ კლუბში ერთი ქართველი დახვდათ - **დავით მუშკუდიანი**, რომელმაც სეზონს დასაწყისში დადიანის მემორიალი ითამაშა და "დევონს" ამის შემდეგ მიაშურა. სტატისტიკის მიხედვით, დათო კლუბის ლიდერია.

ლიდერია "ნტდ-დევონიც", რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონატის ცხრილის სათავეშია და ორი ქულით უსწრებს მეორეადგილოსან "გალას". როგორც ჩანს, რიმას კურტინაიტისის "გალადან" წასვლის შემდეგ აზერთა მთავრობამ კლუბს დაფინანსება შეუმცირა და ლიდერის მანტია "დევონმა" გადაიბარა.

ასე რომ, ბარბაქაძე და მამაცაშვილი საჩემპიონო გუნდში გადავიდნენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბარბაქაძე აზერბაიჯანის ნაკრების წევრია და "გალასთან" ერთად შარშან ჩემპიონიც გახდა, ხოლო გიორგი მამაცაშვილს თითქმის მთელი ევროპა აქვს მოვლილი, შარშან პარიზის "რასინგში" **გორდონ ჰერბერტთან** ვარჯიშობდა. მიმდინარე სეზონის დასაწყისში ლატვიის ასკ-ში ემზადებოდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა და მამაცაშვილი კარიერას აზერბაიჯანში გააგრძელებს.

## ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ

**გრიგოლ კოხრეიძემ** და **გიორგი ხანიაშვილმა** კადეტთა შორის ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვეს. ამ ტურნირსკენ პირველი ნაბიჯი კანარის კუნძულების ჩემპიონატი იყო, სადაც ქართველები "არონას" მაისურით ასპარეზობდნენ. კანარების პირველობის დასრულების შემდეგ შედგა კუნძულების ნაკრები, რომელშიც კოხრეიძე და ხანიაშვილიც მოხვდნენ.

საუკეთესო კანარელები ჩაერთვნენ ესპანეთის თანატოლთა ჩემპიონატში, რომლის დასკვნითი ეტაპი, რვა გუნდის მონაწილეობით, სევილიაში გაიმართა. ორი ქართველით გაძლიერებულმა კანარელებმა ფინალამდე იოლად მიაღწიეს, სადაც კატალონიის ნაკრები მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს. როგორც ხანიაშვილი, ასევე კოხრეიძე გუნდში 20-25 წუთს თამაშობდნენ.

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

## ნავსი უნდა გატყდეს!

**საქართველოს ხელბურთელთა ჩემპიონატში მონაწილე კლუბები სეზონის განახლებისთვის სამზადისს განაგრძობენ. ქვეყნის 16-გზის ჩემპიონ სტუ-"შევარდენის" შესახებ უკვე გიამბეთ. ახლა კი ვნახოთ, რა ხდება მისი ყველაზე რეალური კონკურენტის, "თბილისის" ბანაკში. გვესაუბრება "თბილისის" მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე.**



მამუკა მჟავანაძე

- მოგეხსენებათ, ჩემპიონატში ორი კლუბით გამოგვყავს - "თბილისი" და "იმედი". ზამთრის პაუზის შემდეგ, ხელბურთელები შვებულებიდან დაბრუნდნენ და ტრადიციულად, არმიის სპორტული კომპლექსის დარბაზში ვაგრძელებთ სამზადისს. თვის ბოლოს კი ბაქოში მივდივართ, სადაც ერთკვირიან შეკრებას გავივლით და იქაურ კლუბებთან საკონტროლო მატჩებსაც ჩავატარებთ.

**- შემადგენლობებში ცვლილებები ხომ არაა?**

- არა, ყველაფერი უცვლელად დარჩა. საბედნიეროდ, არც ტრავმიანობა გვაწუხებს მაინც და მაინც. ერთადერთი, "თბილისის" ხელბურთელი ლაშა სამარლანიშვილია დაშავებული.

**- "თბილისის" ამბიციები იგივეა?**

- რა თქმა უნდა. გვინდა, ბოლოს და ბოლოს, გავტეხოთ ნავსი და ჩემპიონები გავხდეთ. შემადგენლობაც კარგი გვყავს, პირობებსაც არ ვემდურით და ვნახოთ...

**- რეალურად, საჩემპიონო ბრძოლა თქვენსა და სტუ-"შევარდენს" შორის გაიმართება. მეტოქეს მეორე წრეში ალბათ ის ხელბურთელებიც დაემატებიან, წინა წრეში რომ ვერ ათამაშებდნენ.**

- მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანი მაინც უცვლელია. პირიქით, კარგიცაა, რომ "შევარდენი" უფრო გაძლიერდება. ყველაზე მეტად ისეთი შეხვედრის მოგებაა კარგი, რომელიც დაძაბული და უშეღავათოა.

**კობა ხატისაშვილი**

პროფესიული კრივი

**ზამთრის პაუზის შემდეგ, ვერის ბაღში დღეს განახლდება პროფესიონალ მოკრივეთა სარეიტინგო ორთაბრძოლები. ამის შესახებ უკვე გაცნობეთ, მაგრამ მას შემდეგ რამდენიმე ცვლილება მოხდა. გვესაუბრება საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე.**

სარეიტინგო ორთაბრძოლები

## რვა ორთაბრძოლა და ორი აზერბაიჯანელი

- უპირველეს ყოვლისა, ერთ სასიამოვნო სიახლეს გაგაცნობთ. უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას აზერბაიჯანის კრივის ფედერაციასთან, რომლებიც ხუთშაბათისთვის ორ მოკრივეს გამოუშვებენ. შესაბამისად, რაც პროფესიული ორთაბრძოლების ჩატარება დავიწყეთ, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველებთან ერთად, უცხოელებიც იჩხუბებენ. რა თქმა უნდა, ამაზე შეჩერებას არ ვაპირებთ და სამომავლოდ, კიდევ უფრო ბევრ ქართველს მივცემთ სამშობლოშივე ჩაატარონ ბრძოლები უცხოელ მეტოქეებთან.

**- აზერბაიჯანელები რა დონის მოკრივეებს უშვებენ?**

- ანარ შირინოვი (62 კგ) და სულთან სულთანოვი (72 კგ) ახლახან გადმოვიდნენ მოყვარულებიდან პროფესიონალებში და, შასაბამისად, ჩვენი მოკრივეებისნაირი გამოცდილება ჯერ არ აქვთ. თუმცა, საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენები არიან და მათთან იოლი გასეირნება ალბათ არ გვექნება.

**- აზერბაიჯანელთა სტუმრობა ორთაბრძოლების განრიგს შეცვლიდა...**

- რა თქმა უნდა. ანარ შირინოვს ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი კანდელაკის სეხნიასა და მოგვარესთან ვაჩხუბებთ, რომელიც თავდაპირველი ვარიანტით, თანამემამულეს უნდა შეხვედროდა. სულთანოვთან შესახვედრად კი თავიდანვე შალვა ჯომარდაშვილს ვამზადებდით. კიდევ ერთი ცვლილება ის არის, რომ 54 კილოგრამში ავადმყოფობის გამო, მალხაზ ბერკაცაშვილი ვერ იჩხუბებს. მის ნაცვლად კახა ტოკლიკიშვილს კახა ავეტისიანი შეხვდება. დანარჩენი წყვილები კი უცვლელია - 62 კილოგრამში გარი აბაჯიანი გიორგი გოგებაშვილს დაუპირისპირდება, ამავე წონაში, გიორგი კურტანიძე შეხვდება ნიკა ავეტისიანს.

66 კილოგრამში ორი ბრძოლა შედგება: კობა ქარქაშაძე - ალექსანდრე ბენიძე და გიორგი უნგიაძე - გიორგი ზალიკანიანი. რაც შეეხება მძიმე წონას, აქ ვლადიმერ ჭანტურიასა და პაატა ბერიკაშვილს ორთაბრძოლას ვიხილავთ.

ყველა შეხვედრა ვერის ბაღში, ჩვენი ფედერაციის დარბაზში გაიმართება. რაკილა საკმაოდ ბევრი, რვა ბრძოლა დაგვიგროვდა, ჩვეული 18 საათის ნაცვლად, 17 საათიდან დავიწყებთ. სამი შეხვედრა ოთხრაუნდიანი იქნება, დანარჩენები კი ექვსრაუნდიანები.

აქვე კიდევ ერთი ცვლილების შესახებაც გეტყვით. როგორც იცით, 10 თებერვალს, ჩვენს ორ მოკრივეს - სანდრო სიფრომშვილსა და არმენ აზიზიანს სარეიტინგო ბრძოლები უნდა ჩაეტარებინათ პოლონეთში. თუმცა, ახლახან, მასპინძლებმა გვაცნობეს, რომ ეს შეხვედრები 24 თებერვლისთვის გადაიდო. მიზეზად, ჩვენი მოკრივეების მეტოქეთა ავადმყოფობა დაასახელეს.

**- საქართველოს ქამრების გათამაშებას როდის დაიწყებთ?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ შემდეგი ხუთშაბათიდან, ორთაბრძოლებს გადავიტანთ ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში. რაც შეეხება საქართველოს ქამრების გათამაშებას, მას დავიწყებთ თვის ბოლოს. ყოველ ხუთშაბათს გავათამაშებთ ერთი წონითი კატეგორიის ქამარს.



**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჩოგბურთი

დევისის თასი. 9-11 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია

# განსაცვიფრებელი პრელუდია

ხვალიდან საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებები დევისის თასის გათამაშებაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. იქამდე, დღეს, 12 საათზე სპორტის დეპარტამენტში მატჩისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია და წილისყრა გაიმართება - დადგინდება ვინ ვის, როგორი რიგითობით შეხვდება...

ეს პროცედურა ჩვეული რამ გახლავთ ნებისმიერი სახეობისთვის, მაგრამ დევისის თასის გათამაშებაში არსებობს ერთი ფრიად განსხვავებული წესი: მასპინძელი სტუმარს მატჩის დაწყებამდე ორი დღით ადრე ოფიციალურ ბანკეტზე იწვევს.

გუშინ საღამოს სწორედ ასეთი შეხვედრა გაიმართა რესტორან "ფაეტონში". ორივე ქვეყნის ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა, აქვე იყვნენ არბიტრებიც. მყუდრო გარემოში წმინდა ქართული სიტუაცია იყო შექმნილი, რომელიც უფრო ჩვენებურ ქეიფს მოგაგონებდათ, მაგრამ ამან ოფიციალური სურათი ოდნავადაც არ შეცვალა, ხოლო ქართულმა სუფრამ, არ გადავაჭარბებ, აშკარად გააოგნა სტუმრები.

სუფრამდე, ეზოში, არაყის სახდელში "ზაოდობა" იყო გაჩაღებული. სტუმრებს სახელდახელოდ გამოხდილი არაყი დააგემოვნებინეს, ზედაც გუდის ყველი და წნილი მიირთვეს და ისე გახალისდნენ, გეგონებოდათ, ასეთი რამ მათთვის ჩვეული რამ არისო...

თუმცა აქ გასტრონომიულ ამბებზე ხომ არ ვილაპარაკებთ - ეს სხვა პროფესიის ხალხის საქმეა.

პირველი სიტყვა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილმა მესხმა** აიღო. მასთან ერთად სიტყვა წარმოთქვა მატჩის მთავარმა არბიტრმა, იტალიელმა **კარმელო დი დიომ**. გამომსვლელები ორივე გუნდს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს, შემდეგ კი სუვენირები გაცვალეს.

ბატონმა **პავლე ნადიბაიძემ** კი ერთი "საიდუმლო" გაახმოვანა - კარმელო დი დიოსთვის საქართველო-პორტუგალიის მატჩი დევისის თასის გათამაშებაში მთავარი არბიტრის რანგში საიუბილეო, 30-ე ყოფილა. ეს კარგი, მაგრამ თურმე მთავარი სიურპრიზი თვით კარმელოსგან გველოდა: - *დღეს ორმაგი იუბილე მაქვს - დევისის თასის გათამაშებაში ჩემი პირველი მატჩი მთავარ არბიტრად 9 წლის წინ, სწორედ საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებთა დაპირისპირება იყო!*

ეს შეხვედრა პორტუგალიაში გაიმართა და მასპინძელთა უპირობო გამარჯვებით - 5:0 დასრულდა. იმედია, ამჯერად სულ სხვა და ქართველთათვის სასურველ შედეგს მივიღებთ.

მოკლედ, პრელუდია გუშინ იყო და იქნება ეპილოგიც: კომპანია "ბაგრატიონის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი გეგეშიძე** მონაწილეებს დაჰპირდა: - *მატჩის დასრულების შემდეგ ჩემი კომპანიის სახელით გიწვევთ მეგობრულ ვახშამზე და იქ საფუძვლიანად დავლოცავთ ორივე იუბილეს. იმედია, სტუმრებს საქართველოზე და ქართველ ხალხზე, ჩვენს კულტურაზე გარკვეული შთაბეჭდილება შეგექმნებათ და კმაყოფილნიც დარჩებით.*

უთუოდ კარგი საღამო იქნება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართველებს საქეიფო ხალისი გვქონდეს - ეს კი მხოლოდ გამარჯვების მერე იქნება შესაძლებელი.

ვუსურვოთ საქართველოს ნაკრებს წარმატება!

**ზვიად შათირიშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ქვაცაბაია მერვედფინალშია

18 წლის ჩოგბურთელმა **სოფიო ქვაცაბაიამ** საქართველოს ჩემპიონობაც (2005 წ.) მოასწრო და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაც, თუმცა ბათუმის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, რომელიც სექტემბერში გაიმართა, არსად უთამაშია. სოფიო რეიტინგ-ლისტიდანაც ამოვარდა (ზუსტად ერთი წლის წინათ 1091-ე პოზიციაზე იყო). მისი დაბრუნება ამ დღეებში ესპანეთში, მალიორკის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) შედგა. სოფიომ რთულ ამოცანას თავი ბრწყინვალედ გაართვა, მან უკვე ზედიზედ მეოთხე მატჩი ისე მოიგო, ერთი სეტიც არ დაუთმია. მალიორკის ტურნირის საკვალიფიკაციო წინალობის გადალახვის შემდეგ, ქართველი პირველ წრეში ესპანელ **კაროლინა პრატსს** ხვდებოდა, ტურნირში "უაილდ ქარდით" მოხვედრილ თინეიჯერს. ასაკში სხვაობამ თავისი გაიტანა, სოფიომ ოთხი წლით უმცროსი პრატსი გაანადგურა - 6:1, 6:1. მერვედფინალში ქვაცაბაიას მეტოქე ალბათ იქნება მე-4 ნომრად განთესილი გერმანელი **ტატიანა პრიახინი** (502), რომელიც პირველ წრეში "უაილდ ქარდით" დაშვებულ ესპანელ **ბეატრის ვალ-კავას** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო ქვაცაბაია

## კრივი




მწვრთნელი ზაურ ანთია (ქვედა რიგში) თავის ირლანდიელ მოწაფეებთან

ზაურ ანთია, ქართველი მწვრთნელი ირლანდიაში

# უვადო კონტრაქტი, მაგრამ ნოსტალგია...

**ფოთელი ზაურ ანთია მეოთხე წელია, რაც ირლანდიაში იმყოფება და იქაურ მოკრივეთა ეროვნულ ნაკრებში საკმაოდ წარმატებულად მუშაობს. ამაზე მხოლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ იქაურ ფედერაციასთან უვადო კონტრაქტი აკავშირებს. ბატონ ზაურს გუშინ, დუბლინში შევეხმიანეთ. მწვრთნელი დეტალურად მოგვიყვა თავის კარიერასა და ირლანდიურ ყოფაზე.**

- ფოთელი ვარ, ამ ქალაქს კი კრივში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. მოკრივეობაც იქ დავიწყე და 1985 წლამდე მივდევდი აქტიურ სპორტს. ვიყავი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მომიგია არაერთი საკავშირო ტურნირი. კარიერის დასრულების შემდეგ, მწვრთნელობას მივყავი ხელი და ბევრი ცნობილი მოკრივე აღვზარდე. სხვადასხვა წლებში, ჩემი შეგირდები იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ევროპის ჩემპიონატისა და ევროპის თასის პრიზიორები: ზურაბ სარსანია, ლაშა გეგენავა, კახა ბებურია, დავით ხურცილავა, ლაშა ოჩიგავა, ლევან ღვამიჩავა და ნიკოლოზ იზორია. ხურცილავამ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა, იზორია კი ათენში გამოდიოდა. ირლანდიაში წასვლამდე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი.

**- ირლანდიაში როგორ მოხვდით?**

- 2003 წელს მომივიდა მოწვევა. მაშინ ქართულ კრივს არც ისე ულხინდა, კარგი პირობებით განებივრებული არ ვიყავით და გადავწყვიტე, საზღვარგარეთ მეცადა ბედი. ჩავედი დუბლინში და გავიარე ტესტირება-ინტერვიუ. ამგვარი ტესტები კიდევ ბევრ უცხოელ სპეციალისტს ჩაუტარეს და საბოლოოდ კონკურსში გავიმარჯვე. შესაბამისად, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს. ამჟამად ვარ ირლანდიის ნაკრების უფროსი ასისტენტი და მწვრთნელ-ექსპერტი. როგორც ჩანს, აქაურები ჩემი შრომით კმაყოფილები არიან. მათ უვადო კონტრაქტი გამიფორმეს და ირლანდიის ნაკრებში მუშაობა იქამდე შემიძლია, სადამდეც ამის სურვილი მექნება.

**- რა წარმატებები გაქვთ ირლანდიაში?**

- ჩემს ირლანდიელ შეგირდებს ყველა ასაკში აქვთ მოპოვებული მედლები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. ერთი მოკრივე ათენის ოლიმპიადაზეც გვყავდა. პეკინის ოლიმპიადისთვის ორ-სამ ლიცენზიას ვგეგმავთ, რაც სავსებით რეალურად გვეჩვენება.

**- ირლანდიური კრივის დონეზე რას იტყვით, რამდენად ჯობია ქართულს?**

- საქართველოსგან განსხვავებით, აქ კრივის სკოლები არაა - კლუბური სისტემაა განვითარებული. საკმაოდ კარგი პირობებია და, შესაბამისად, დიდი წარმატებებიც აქვთ. ირლანდიელ მოკრივეებს, სხვადასხვა წლებში, ყველა სინჯის 12 ოლიმპიური მედალი აქვთ მოპოვებული. ყველაზე დიდი პრობლემა კი ის არის, რომ აქაური მოკრივეები ხშირად გადადიან პროფესიონალებში და საზღვარგარეთ მიდიან. ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურებენ ხოლმე, სადაც ირლანდიელ მოკრივეებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. ასე რომ, დღეს რომ გყავდეს ძლიერი გუნდი, ხვალ არ გაქვს იმის გარანტია, რომ შემადგენლობას შეინარჩუნებ.

**- როგორ შეეწყვეთ მანდაურობას?**

- საქართველო, რა თქმა უნდა, ძალიან მენატრება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ირლანდია ცივი ქვეყანაა და აქ ცხოვრება მიჭირს. აქ ჩვენსავით ლამაზი ბუნებაა და მდიდარი კულტურაც აქვთ. ხალხიც ქართველებივით ფრიად სტუმართმოყვარე და მამაცია. ერთი ეგ არის, სამზარეულოთი აშკარად ვჯობივართ, მაგრამ არც ეგაა პრობლემა. აქ ბევრი ქართველი ვცხოვრობთ, ყველა ვმეგობრობთ და ქართული რესტორანიც კი გვაქვს.

**- დუბლინში ოჯახით ცხოვრობთ?**

- დიახ, მეუღლე და ორი ვაჟი აქ მყავს, ქალიშვილი კი დაოჯახებულია და საქართველოში ცხოვრობს. დათო უფროსი ვაჟია - 17 წლის და ჩემს კვალს მისდევს. თავის ასაკში ირლანდიის ჩემპიონი და ირლანდიის ნაკრების წევრია. გიორგი კი 15 წლისაა და ფეხბურთელობას აპირებს. იგი ადგილობრივ კლუბ "როვერსის" 15-წლამდელთა გუნდში თამაშობს.

**- საქართველოს ნაკრებში მუშაობა რომ შემოგთავაზონ თუ დაბრუნდებით?**

- არა მგონია, სამუდამოდ ირლანდიაში დავრჩე. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებში მუშაობას, ეს იმაზეა დამოკიდებული, რა პირობებს შემომთავაზებს საქართველოს კრივის ფედერაცია.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U 18

# ჭაბუკთა კვარტეტი

გუშინ მეხუთე ტურის პარტიები გათამაშდა და ქალთა შორის კვლავ ერთპიროვნული ლიდერი გვყავს - **მირანდა მიქაძემ** შავებით **მერი ყორყოლიანი** დაამარცხა. ჭაბუკებში კი კვინტეტი ლიდერობს, თუმცა, მანამდე გოგონებზე ვთქვათ. მირანდა რომ ალმავლობით თამაშობს, ნათელია და ალბათ პირველობასაც დაისაკუთრებს, თუმცა დღეს გადამწყვეტი პარტიის თამაში მოუწევს - **თამარ გახოკიძე** ძლიერი ოსტატია და გასულ წლებში წარმატებით უასპარეზია მსგავს ტურნირებში. თუკი მიქაძე გახოკიძეს დაამარცხებს, ტურნირის დასრულებამდე 3 ტურით ადრე ალბათ ყველა კითხვას უპასუხებს.

გახოკიძე ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება. 4 ქულა აქვს **ქრისტინე მჟავიასაც**, 3.5 - **ქეთი წანალაშვილსა** და **თეონა მესხს**.

ჭაბუკებში ისეთი სიმჭიდროვეა, პროგნოზის გაკეთება ფუჭი საქმეა. მეხუთე ტურის შემდეგ ლიდერთა ხუთეული **თორნიკე სანიკიძემ, ლუკა პაიჭაძემ, შოთა აზალაძემ, გიორგი ნიკოლიშვილმა** და **გაიოზ ნიგალიძემ** შეადგინეს. ამით სამნახევარი ქულით 8 მოჭადრაკე მოსდევს. ამათ შორისაა **სოფიკო გურამიშვილიც**, რომელმაც გუშინ მძიმე გამოცდა ჩააბარა - სოფიკო ერთ-ერთ ფავორიტს, **გიორგი მარგველაშვილს** ხვდებოდა თეთრებით. პარტია ქულის გაყოფით დამთავრდა, მაგრამ გურამიშვილმა აშკარად მოსაგები პოზიცია გაუშვა ხელიდან - აჩქარდა და არაზუსტი სვლა გააკეთა.

პირველ დაფაზე ლუკა პაიჭაძემ და შოთა აზალაძემ ყაიმით ითამაშეს, მეორეზე თორნიკე სანიკიძემ შავებით **სიმონ ხაჟალია** დაამარცხა, მეოთხეზე **გაიოზ ნიგალიძემ** შავებით მოუგო **დავით ბენიძეს**. სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოასწორა **დავით ჯოჯუამ**, რომელმაც თეთრებით **კახაბერ წერეთელი** დაამარცხა.

მეექვსე ტურში: ჭაბუკები: სანიკიძე (4)-პაიჭაძე (4); აზალაძე (4)-ნიკოლიშვილი (4); ნიგალიძე (4)-ჯოჯუა (3.5); მარგველაშვილი (3.5)-ჯავახაძე (3.5); ლომსაძე (3.5)-გურამიშვილი (3.5); დავარაშვილი (3.5)-ბერაია (3.5); ბერაძე (3)-ჯანიაშვილი (3.5).

გოგონები: მიქაძე (5)-გახოკიძე (4); წანალაშვილი (3.5)-მჟავია (4); ბოკუჩავა (3)-მესხი (3.5); სირაძე (3)-ყორყოლიანი (3); ხუციძე (3)-ხაჟომია (3); თოფურიძე (3)-მახათაძე (").

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფედერაციის ყრილობის წინ

# სამბო, რომელიც გერის როლშია

## და არ დაგავიწყდეთ ქართულიც!

**დღეს, 14 საათზე, სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სამბოს ფედერაციის მორიგი ყრილობა გაიმართება. ძირითადი საკითხი ახალი პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნებია. კანდიდატურაც შერჩეულია - სახალხო ბანკის მმართველი გიორგი გოგუაძე. მოლოდინისამებრ, მას არჩევნებში კონკურენტი არ გამოუჩნდა და დღეს ერთხმად აირჩევენ.**

შეგახსენებთ, რომ ვადამდელი არჩევნები მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა იანვარში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ბადრი ბიწაძემ** დატოვა. უფრო სწორად, სამბისტებმა გარკვევით უთხრეს, მოვალეობას ვერ ასრულებ და გადადექიო. ჩვენში დარჩეს, მას ეს თანამდებობა ისედაც იძულებით აჰკიდეს - თავის დროზე „ზემოდან" წამოსულ თხოვნას უარი ვერ შეაგება და ახლა სიამოვნებითაც კი დატოვა ფედერაცია. პრეზიდენტი იმ 10 ათასი ლარის მოუძიებლობას გადაჰყვა, რომელიც საპრემიო ფონდისთვის უნდა ეშოვა. შარშან ქართველმა სამბისტებმა იმდენი მედალი მოიპოვეს, მთავარი სპონსორისგან პრემიებისთვის გამოყოფილი თანხა არ ეყოთ და პრეზიდენტისგან დეფიციტის შევსებას ამაოდ ელოდნენ.

მთავრობასთან დაპირისპირებით და ხმაურიანი საპროტესტო აქციებით ცნობილმა სამბისტებმა გავლენიანი პატრონის ძებნაში ხელისუფლებიდან ბიზნესში გადაინაცვლეს და მორიგ მფარველად გიორგი გოგუაძე შეიგულეს. ცხადია, შუამავალი ამჯერადაც დღევანდელი ქართული სამბოს მთავარი მოჭირნახულე, ეროვნული ნაკრების დაუღალავი თავკაცი **ოლეგ იაძე** იყო. სამბისტები ახალი პრეზიდენტისგან წარმოუდგენელ თანხებს არ ითხოვენ - დამატებითი ხარჯებისთვის საჭირო 30-40 ათას ლარს.

მთავარი სპონსორისგან (მის ვინაობას არ ვამხელთ, რადგან თავად არ სურს ეს) და სპორტის დეპარტამენტისგან ფედერაცია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობის თუ მათთვის მოსამზადებლად საჭირო თანხებით უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს არაა საკმარისი. ზემოაღნიშნული თანხაც დამატებითი ხარჯებისთვისაა საჭირო, თუმცა რაღა დამატებითი - ჯერ ის თანხები მოსამზადებელ პერიოდს ისედაც მიზერულად მოიცავს და შინაურ შეჯიბრებებს ხომ ნაკლებად ითვალისწინებს. არადა, შიდატურნირების გარეშე საზღვარგარეთ ჭიდაობა რამდენად წარმატებული იქნება, თავადაც მიხვდებით. ამას ემატება ოფისის შენახვის ხარჯები, ამასთან მსაჯების, მწვრთნელთა თუ სპორტსმენთა ხელფასებიც გაუმჯობესებას მოითხოვს.

წინასწარი მონაცემებით, გოგუაძე თანხმაა ამ ვალდებულებების შესრულებაზე და გაცილებით მეტსაც გეგმავს. იმედია, დაპირებებს მართლაც შეასრულებს და სამბისტებიც ერთხელ და სამუდამოდ მოისვენებენ. არადა, ძველი პრეზიდენტივით მოსვლას აჯობებს, საერთოდ არ მოვიდეს.



სამწუხაროდ, ამ კონტექსტში გულისტკივილით იმაზეც უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანაში სპორტისადმი მიდგომა ჯერაც მედლების ჩხრიალით იზომება. უფრო კონკრეტულად - ოლიმპიური პერსპექტივით და, ცხადია, ეს ყველაფერი დაფინანსებაზეც აისახება. ამ მხრივ არაოლიმპიური სახეობები მართლაც ცუდ დღეში ჩავარდნენ. გვესმის, ეს ყველაფერი თავად სპორტის დეპარტამენტის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარეობს (აქ არ ვლაპარაკობთ ოლიმპიურ კომიტეტზე, რომელიც არასახელმწიფო სტრუქტურაა და, სახელწოდებიდან გამომდინარე, ოლიმპიურ სახეობებს პატრონობს), მაგრამ...

კონკრეტულად სამბოზე თუ ვისაუბრებთ, მიგვაჩნია, რომ იგი მეტ ყურადღებას იმსახურებს. სამბო ყოველთვის უზრდიდა კადრებს ძიუდოისტთა ნაკრებს და ახლაც ასეა. ვფიქრობ, ჭიდაობის ყველა მოყვარულმა იცის, **ნესტორ ხერგიანმა** ვარჯიში სამბოში რომ დაიწყო. დასამალი არც ისაა ვინმესთვის, რომ ძიუდოისტთა ნაკრებში **გიორგი ბაინდურაშვილი** 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში სტაბილურ მეორე ნომრად იქცა, თუმცა გადაჭრით ჯერ კიდევ ვერავინ იტყვის, რომელია იქ პირველი. ამათ სხვებიც დავუმატოთ - **მინდია ბოდაველი** (90), **რევაზ ჩიკოიძე** (100), **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე)... ეს ის ხალხია, რომლებიც სადღეისოდაც სტაბილურად ხვდებიან ძიუდოისტთა ნაკრებში, თორემ აქეთ-იქით მოსიარულე მოჭიდავეები კვლავაც ბევრია, ისტორიას რომ თავი დავანებოთ. მოკლედ, სამბოს განვითარება იგივე ძიუდოსთვის დახმარებაა და მართლაც არ მგონია სწორი იმით შემოფარგვლა, რომ ეს არაა ოლიმპიური სახეობა და ამიტომ სხვაზე ნაკლებს უნდა დსჯერდეს.

აქვე არ შეიძლება ქართული ჭიდაობის სავალალო დღევანდელობასაც არ შევეხოთ, რადგან იგი საქართველოში გავრცელებული ჭიდაობის ყველა სახეობის - იაპონური ძიუდოს, ამერიკული „თავისუფლის", ბერძნულ-რომაული „ანტიკურის" თუ რუსული სამბოსთვის ერთნაირად მძლავრ და ნაყოფიერ საძირკველს ქმნიდა. სწორედ მისი დამსახურებით, ჩვენი ძიუდოისტები იაპონელებს ღირსეულად მეტოქეობდნენ. იმდენად ღირსეულად, რომ ამ 15-20 წლის წინათ ქართული ჭიდაობის შესწავლას საგანგებოდ შეუდგნენ და აქაური მწვრთნელები მიიწვიეს. ალბათ, ბევრს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ლამის ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული იაპონელი ოპერატორებიც კარგად ახსოვს, საგანგებოდ რომ იღებდნენ ქართველთა გამოსვლებს.

ქართულ-იაპონური დაპირისპირების კლასიკური მაგალითი ძიუდოისტთა წლევანდელ მსოფლიო თასზეც ვიხილეთ - 90-ის ფინალში **ირაკლი ცირეკიძისა** და **იუტა იაზაკის** შეხვედრაში. ვიდრე ცირეკიძე "ქართულად", გადავლებით ეჭიდავებოდა, მეტოქე მუდმივ წნეხში ჰყავდა და წინაც იყო. როგორც კი ეს სტილი შეცვალა და იაზაკის გამართულად დგომის საშუალება მისცა, წმინდად წააგო. საერთოდ, იაპონელების და ევროპელი ძიუდოისტებისთვისაც ქართველების ჭიდაობა მუდამ მიუღებელი იყო, მოუხერხებელი, როგორც ტექნიკური. ამ ტექნიკის საფუძველს სწორედ ქართული ჭიდაობა შეადგენდა.

ამიტომ, უცხოელების მუდმივ საზრუნავს ძიუდოს წესების იმგვარი ცვლილება შეადგენდა, რაც ქართულ სტილს შეზღუდავდა. თუმცა ახლა ეს დიდად არცაა საჭირო, რადგან ქართული ჭიდაობა საქართველოშიც დავიწყებას ეძლევა - არ დარჩა სექციები, სპორტსმენები, მწვრთნელები... შედეგად, თვით ქართულ ჭიდაობაში ჩატარებულ ტურნირებზეც კი რაღაც განსხვავებულ, „თავისუფალისა" და ძიუდოს ნაზავ ქართულს ჭიდაობენ, რადგან შეჯიბრებებში იქიდან "ნათხოვარი" ფალავნები გამოდიან. არადა, არც ისე დიდი ხნის წინათ პირიქით, ქართული ჭიდაობიდან მიდიოდნენ სხვებში. მართალია, ქართული ჭიდაობის ფედერაციაში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, აქა-იქ ჯგუფები და კლუბებიც კი შეიქმნა, მაგრამ აშკარაა, გაცილებით მკვეთრი რეფორმებია ჩასატარებელი. აქ სახელმწიფო მიდგომა მკვეთრად უნდა გამოიხატოს და მისი აღორძინება, როგორც ეროვნული საგანძურისა, სწორედ ხელისუფლებამ უნდა ითავოს, როგორც უზბეკეთში და მთელ რიგ ქვეყნებში.

**ირაკლი თავაძე**

---

### წიგნის თარო

# ფალავნები ერთ კრებულში

გაბრიელ ბარჯაძეს კარგად იცნობს ქართული სპორტის, განსაკუთრებით ჭიდაობის, რაგბის და ლელობურთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი. ამ სპორტულმა ჟურნალისტმა არაერთი წიგნსა თუ ბროშურაში უკვდავყო ჩვენი ათლეტებისა, თუ გუნდების უკვე ისტორიადქცეული წარსული.

სულ ახლახან გ. ბარჯაძემ სპორტული ლიტერატურის მოყვარულთა წიგნის თარო კიდევ ერთი მშვენიერი გამოცემით გაამდიდრა. "ჭიდაობის სამყარო" - ასე ჰქვია ახალ კრებულს, რომელშიც ჭიდაობის ქრონიკები გადმოცემულია 2007 წლის 1 იანვრამდე. ილუსტრირებულ ცალკე თავებადაა წარმოდგენილი ქართველი ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობების ოლიმპიურ სახეობებში. მაგრამ ცალკე თავი ეთმობა სამბოსა და სუმოში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონებს და პრიზიორებს, საბჭოთა კავშირის და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩემპიონებს და პრიზიორებს, საქართველოს ჩემპიონებს (2001 წლიდან) ჭიდაობის ყველა სახეობაში. აქვე გაეცნობით თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს და პრიზიორებს, საქართველოს ფალავნებს ქართულ ჭიდაობაში, ფილას ორდენოსნებს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ლაურეატ მოჭიდავეებს, ფაქტებს და მოვლენებს წლების მიხედვით. ბოლოს, ავტორი მკითხველს სთავაზობს აგრეთვე ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებში გამარჯვებულებს - აღორძინებული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს 1896 წლიდან მოყოლებული.




გამოცემის დასკვნით ნაწილში რუბრიკით "რიტმი, ძალა, ხერხი" მოტანილია ნაწყვეტები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან.

გარეკანის პირველ გვერდს ამშვენებს მხატვარ გიგო გაბაშვილის ფერწერული ნახატი.

**ცოტნე ბაქრაძე**

---

### თარიღი

# დიტო შანიძე



**08.02.1937, დერჩი, წყალტუბო - დაიბადა დიტო შანიძე. ძალოსნობა (60 კგ). 1968 წლის მეხიკოსა და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი (1973) და მეორე პრიზიორი (1974). მსოფლიოს ჩემპიონატში აკვრაში მოიგო მცირე ოქროს მედალი (1969). ევროპის ჩემპიონი (1972) და ოთხგზის მეორე პრიზიორი (1968, 69, 71, 74). ევროპის ჩემპიონატებში მოგებული აქვს ოქროს სამი მცირე მედალი (1972 - ატაცსა და აკვრაში, 1973 - აკვრაში). სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1969-74) და ორგზის მეორე პრიზიორი (1968, 75). დამყარებული აქვს მსოფლიოს სამი რეკორდი: ორი აკვრაში - 153.5 კგ (1971), 156.0 კგ (1972) და ერთი სამჭიდში - 402.5 კგ (1972). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 70 წელს ულოცავს გამოჩენილ ძალოსანს, ოლიმპიური თამაშების ორგზის (1968, 1972) ვერცხლის პრიზიორს, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების მრავალგზის ჩემპიონს, პრიზიორსა და რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დიტო შანიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმოხილვა

# ...კი, მაგრამ ტოპალოვი?

## ვეიკ-ან-ზეედან ლინარესამდე

ბოლო ხანს, ჭადრაკის სამყაროში არა ერთი, ფრიად საყურადღებო ამბავი მოხდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს **გარი კასპაროვის** ნებაყოფლობითი "გადადგომა". მართალია, 2000 წლიდან მოყოლებული ის უკვე მსოფლიო ჩემპიონი აღარ იყო, მაგრამ საუკეთესო რეიტინგული მაჩვენებლების გამო, მაინც ინარჩუნებდა თანამედროვეობის წამყვანი დიდოსტატის რეპუტაციას. მაშინვე დაისვა საკითხი, ვის უნდა შეეცვალა კასპაროვი: მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ **ვლადიმირ კრამნიკს**, რომელიც სისტემატურად ავადმყოფობდა და დაბალი სატურნირო შედეგებიც ჰქონდა, თუ "ინდოელ გენიოსად" წოდებულ **ვიშვანათან ანანდსა** და შესამჩნევად მომძლავრებულ ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს**. კასპაროვის წასვლის შემდეგ, მნიშვნელობით მეორე მოვლენა იყო ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება არგენტინის ქალაქ სან-ლუისში, რომელიც ტოპალოვმა პირდაპირ ფიშერისებული სტილით მოიგო და მეორე პრიზიორი ანანდი საგრძნობლად ჩამოიტოვა. შარშან, ფიდეს პრეზიდენტ **კირსან ილუმჟინოვის** (რომელსაც მთელი საჭადრაკო სამყარო უჭერდა მხარს) ძალისხმევით, მოხდა ძალზე სასურველი და დადებითი რამ: კარგა ხნის პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, მოხერხდა ე.წ. გამაერთიანებელი მატჩის გამართვა. ასე იყო თუ ისე, კრამნიკმა, რომელიც სულაც არ ითვლებოდა ფავორიტად, ყაიმით (6:6) დამთავრებული "ძირითადი დროის" შემდეგ, დამატებით სწრაფ პარტიებში ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება ტოპალოვს და გახდა (ამდენი ხნის გაურკვევლობის შემდეგ) მსოფლიოს ერთადერთი (!) ჩემპიონი, თუმცა რეიტინგით მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

გვეტყვიან, რომ ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი და ასეცაა, ამიტომ, უფრო საინტერესოა, როგორ იქნება საქმე ხვალ, ზეგ... როგორც ჩატარდება მსოფლიო პირველობის ახალი გათამაშება, რომელიც 11 სექტემბრისთვისაა დანიშნული მექსიკაში, სადაც ამ ბოლო ხანებში ჭადრაკისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ.

უპირველეს ყოფლისა, უნდა ვთქვათ, რომ არაფერი გამოვიდა ჭადრაკის ბულგარელი მესვეურების ცდიდან, მოეწყოთ კრამნიკ-ტოპალოვის მატჩრევანში. თუმცა თვით ბულგარეთის პრეზიდენტი იყო გარანტი 2-მილიონიანი ჰონორარისა, რომელიც მონაწილეებს თანაბრად უნდა გაენაწილებინათ. საქმე ის არის, რომ ამ ახალი ორთაბრძოლის წინააღმდეგ გაილაშქრა თვით კრამნიკმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჭადრაკში ფული სულაც არ არის მთავარი, და ამდენად, არ აპირებს რაღაც "სერიალების" გამართვას. ფიდემ მხარი დაუჭირა მსოფლიო ჩემპიონს და დაადასტურა, რომ მტკიცედ დაიცავს ჯერ კიდევ შარშან მიღებულ გეგმას, შესარჩევი ტურნირების გზით ღირსეული პრეტენდენტების გამოვლენის შესახებ. ამიტომ, ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველს გავაცნობთ, როგორია ამ შესარჩევი შეჯიბრებების სქემა.

მისი პირველი ეტაპი იქნება მატჩები იმ 16 დიდოსტატს შორის, რომლებიც ფიდემ საგანგებოდ შეარჩია. აი ისინიც: უნგრელი **პეტერ ლეკო**, რომელსაც უკვე აქვს ნათამაშები მატჩი მსოფლიო პირველობაზე კრამნიკთან, ყოფილ ხარკოველ, ახლა კი ბელგიის წარმომადგენელ **მიხაილ გურევიჩს** ხვდება; ბოლო წლებში დაწინაურებული **ლევონ არონიანი** (ყმაწვილობაში ლევ არონოვის გვარ-სახელით თამაშობდა) უაღრესად ნიჭიერ, სულ რაღაც 16 წლის ნორვეგიელ **მაგნუს კარლსონს** დაუპირისპირდება; **იუდით პოლგარი** (უნგრეთი), რომელმაც მეორე შვილის შეძენის შემდეგ კვლავ განაახლა გამოსვლები, ხვდება რუსეთის წარმომადგენელ **ევგენი ბარეევს**. დიდ ინტერესს იწვევს დანარჩენი მატჩებიც: **ალექსეი შიროვი** (ესპანეთი)-**მაიკლ ადამსი** (ინგლისი), **რუსლან პონომარიოვი** (უკრაინა)-**სერგეი რუბლიოვსკი** (რუსეთი), **ეტიენ ბაკრო** (საფრანგეთი)-**გატა კამსკი** (აშშ, რომელიც ათწლიანი განშორების შემდეგ, არც ისე დიდი ხნის წინათ კვლავ დაუბრუნდა ჭადრაკს), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი)-**ვლადიმირ მალახოვი** (რუსეთი) და **ბორის გელფანდი** (ისრაელი)-**რუსტამ კასიმჟანოვი** (უზბეკეთი).

საინტერესოა, რატომ არ მოხვდნენ ამ განრიგში ისეთი გამოჩენილი დიდოსტატები, როგორებიც არიან: 20 წლის **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი), ევროპის ექსჩემპიონი **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), კონტინენტის კიდევ ერთი ჩემპიონი **ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ** (რუმინეთი). შეიძლებოდა, კიდევ რამდენიმეს დასახელება. მიზეზი კი ის არის, რომ ზოგს რეიტინგმა უმტყუნა, ზოგიც წინასწარმა შეჯიბრებებმა "დაჩაგრა".

ერთი სიტყვით, ეს 16 დიდოსტატი ჯერ მერვედფინალურ მატჩებში შეხვდება ერთმანეთს, 8 გამარჯვებული კი მერვედფინალში გააგრძელებს რბოლას. ეს ორივე ეტაპი მაისის განმავლობაში უნდა გაიმართოს. ოთხი მოგებული კი სექტემბერში იმ ოთხეულს შეუერთდება, რომელიც შემოდგომაზე დიდ მატჩ-ტურნირში ითამაშებს მსოფლიო პირველობაზე. აქ კი, გვინდა თუ არ გვინდა, ერთ კურიოზს უნდა შევეხოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ორი წლის წინათ, მსოფლიოს პირველობის დიდ მატჩ-ტურნირში (8 დიდოსტატი ორ წრედ, სამართლიანი და ლოგიკური სისტემაა, რადგან გადაწყდა, რომ დიდი ორთაბრძოლები მსოფლიო პირველობაზე ამიერიდან აღარ გაიმართება) პირველი ოთხი ადგილი ასეთი თანმიმდევრობით დაიკავეს ტოპალოვმა, ანანდმა, სვიდლერმა და მოროზევიჩმა. მაისში გამარჯვებულ ოთხეულს კი შეუერთდებიან ანანდი, სვიდლერი და მოროზევიჩი, მაგრამ... ტოპალოვი სადღაა? თურმე ნუ იტყვით და, რაკი შარშან კრამნიკთან მატჩი წააგო, ახლა საერთოდ "თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოჩნდა. მის ადგილს კრამნიკი დაიკავებს, ბულგარელმა კი, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგში პირველია, 16 დიდოსტატთან შორისაც ვერ მოიპოვა ადგილი და მთელი ორი წელიწადი უნდა იცადოს. გვითხარით ერთი, სადაური ლოგიკაა?



ვესელინ ტოპალოვი

სექტემბრამდე, საჭადრაკო სამყარო ფხიზლად მიადევნებს თვალს იმ დიდოსტატთა გამოსვლებს, რომლებიც მსოფლიო პირველობაზე აპირებენ ბრძოლას. ამის საუკეთესო საშუალება კი ის სუპერტურნირებია, რომლებიც, როგორც წესი, უძლიერეს შემადგენლობას იკრებს. მაგალითად, 28 იანვარს დამთავრდა პირველი ასეთი ასპარეზობა ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია), რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი დიდოსტატი მონაწილეობდა. მის შედეგებს მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ. აქ მხოლოდ ერთს ვიტყვი: კრამნიკმა შარშან ტოპალოვი კი დაამარცხა, მაგრამ კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ როგორც სატურნირო მებრძოლი, ბულგარელსაც ჩამოუვარდება და ზოგიერთ სხვასაც. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სექტემბერში მას სწორედ ასეთი ტიპის შეჯიბრში მოუხდება თავისი წოდების დაცვა, და არა ტრადიციულ მატჩში მსოფლიო პირველობაზე. რისი შეცვლა შეუძლია მას სექტემბრამდე?

ვეიკ-ან-ზეეს გარდა, კიდევ უნდა გაიმართოს სამი სუპერტურნირი: ლინარესში (ესპანეთი), სადაც მარტში 8 დიდოსტატი ორ წრედ შეხვდება ერთმანეთს, მაისში - სოფიაში (ბულგარეთი) და ივლისში - დორტმუნდში (გერმანია). ჩავთვალოთ, რომ ეს სამი შეჯიბრი მსოფლიო პირველობის თავისებური რეპეტიციაა.

**გივი გამრეკელი**

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ბოსტონი 2:3 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბოჩენსკი-3 (სავარი-49), 1:1 ლეიჩი-6, 2:1 ფერი-2 (ზედნიკი-10, გრინი-7), 2:2 პ. ბერჟერონი-17 (სავარი-50, ხარა-27).

**ბულიტები გაიტანეს:** სიომინი (ვაშინგტონი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი), კესელი (ბოსტონი)

**ატლანტა-ბაფალო 3:4 (ბ)**

1:1, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრიერი-22 (პაეტში-12, დრიური-23), 1:1 კოვალჩუკი-31 (რუჩინი-16, მაკარტი-11), 2:1 სიმი-14 (ჯ. სლეიტერი-12, სატონი-8), 2:2 ვანეკი-26 (ტ. ნუმელინი-17, მილერი-2), 2:3 ბრიერი-23 (პაეტში-13), 3:3 მელანბი-10 (მარიან ჰოსა-36, ვიაჩ. კოზლოვი-37).

**ბულიტები გაიტანეს:** ბრიერი (ბაფალო), კოტალიკი (ბაფალო).

**კოლამბუსი-ფინიქსი 0:3**

0:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 რაინპრეხტი-4 (ჟოვანოვსკი-18, ნადი-31), 0:2 დოენი-18, 0:3 ზიგომანისი-9 (ლარაკი-15, საპრიკინი-19).



პეთ თრიკის ავტორი დანიელ სედინი

**ედმონტონი-ვანკუვერი 2:5**

1:1, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰორკოფი-11 (ჯ. სმიტი-7, ჰეიდა-6), 1:1 დ. სედინი-21 (ჰ. სედინი-43, ნესლუნდი-27), 1:2 ნესლუნდი-17 (დ. სედინი-31, ჰ. სედინი-44), 2:2 სტორტინი-1 (სიკორა-23, ჰეიდა-7), 2:3 პიატი-16 (ჰ. სედინი-45, დ. სედინი-32), 2:4 დ. სედინი-22 (ჰ. სედინი-46, მიტჩელი-4), 2:5 დ. სედინი-23.

**კალგარი-ჩიკაგო 2:3 (ბ)**

0:0, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ფრიზენი-2 (მ. ნილსონი-7, იელი-8), 2:0 ჰუსელიუსი-24 (ლენგკოუ-33, ფანოფი-22), 2:1 ჰავლატი-18 (ვრბატა-22, ტ. რუუტუ-16), 2:2 ჰავლატი-19 (სალმელაინენი-9, ოკუანი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰავლატი (ჩიკაგო), ჯ. ჰამილტონი (ჩიკაგო).

**კოლორადო-ფლორიდა 5:4 (ო)**

1:2, 1:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ვოლსკი-18 (სკრასტინსი-6, საკიკი-35), 1:1 ო. იოკინენი-23 (გრეტონი-9, გ. რობერტსი-16), 1:2 ჰორტონი-16 (პელტონენი-12), 1:3 გრეტონი-8 (ო. იოკინენი-32), 2:3 არნასონი-13 (ჰეიდუკი-18), 2:4 შტუმპელი-16 (გრეტონი-10, ვან რინი-15), 3:4 ბ. კლარკი-5 (ლაპერიერი-14, მაკლინი-12), 4:4 შჩასტნი-15 (არნასონი-21, საკიკი-36), 4:5 საკიკი-23 (პ. შჩასტნი-28, ბ. კლარკი-25).

**დალასი-მინესოტა 4:2**

1:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 პ. ნუმელინი-3 (გაბორიკი-8, დემიტრა-24), 0:2 დუპუი-10 (შულტცი-8, ბაკსტრიომი-1), 1:2 ბუშე-15 (ი. იოკინენი-16, მიეტინენი-7), 2:2 მოდანო-11 (დელეი-7, მიეტინენი-8), 3:2 ზუბოვი-9 (ი. იოკინენი-17, ჰაგმანი-8), 4:2 ბარნსი-9 (ლუნდკვისტი-2, ჰალპერნი-14).

**სენტ ლუისი-ტორონტო 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-14 (სუნდინი-27, ტ. კაბერლე-35), 1:1 რ. ჯონსონი-7 (მაიერსი-8, ბრიუერი-13), 1:2 სტინი-11 (ო'ნილი-20, სტაიანი-21).

**მონრეალი-კაროლინა 1:2**

0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯასტინ უილიამსი-27 (ე. სტაალი-25, ბრინდამორი-42), 1:1 კოვალიოვი-13 (პლეკანეცი-16), 1:2 ფ. კაბერლე-1 (რეი უიტნი-39, ბრინდამორი-43).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 4:7**

1:2, 0:4, 3:1

**გოლები:** 0:1 მოენი-8 (პალსონი-13), 0:2 პალსონი-8 (რ. ნიდერმაიერი-9, ს. ნიდერმაიერი-35), 1:2 გრიერი-11 (ბელი-4, კ. ბრაუნი-8), 1:3 ე. მაკდონალდი-16 (კუნიტცი-24, პრონგერი-35), 1:4 რ. ნიდერმაიერი-5, 1:5 პენერი-18 (მარჩანტი-13, პრონგერი-36), 1:6 მოენი-9 (რ. ნიდერმაიერი-10, ბოშემენი-10), 2:6 მარლო-28 (ქლოუ-12, ვლასიჩი-15), 3:6 ჩიჩუ-17 (მარლო-33, ჯ. ტორნტონი-53), 4:6 ჩიჩუ-18 (მარლო-34, ჯ. ტორნტონი-54), 4:7 გეტცლაფი-20.

**პიტსბურგი-ნეშვილი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ნიკოლი-7 (ბრუკბენკი-1, ჰარტნელი-14), 1:1 ჯ. სტაალი-19 (კროსბი-60, რეკი-32), 2:1 მალკინი-26 (რეკი-33, კროსბი-61), 3:1 რეკი-18 (მალკინი-33), ი. რუუტუ-4 (კ. არმსტრონგი-14, გონჩარი-34).

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 3:2 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პ. მარტინი-2 (გომესი-33, ელიაში-32), 1:1 რახუნეკი-3 (ნიულანდერი-40, ეივერი-19), 2:1 პარიზე-21 (ლანგენბრუნერი-22, ოდუია-5), 2:2 იაგრი-20.

**ბულიტები გაიტანეს:** ჯონტა (ნიუ ჯერსი).

**ტამპა ბეი-ლოს ანჯელესი 3:2 (ბ)**

2:0, 0:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-34 (კრეიგი-13, ბ. რიჩარდსი-26), 2:0 ბ. ჯონსი-1 (ა. რუა-2, ტ. ტეილორი-3), 2:1 ვივერი-1 (დ. არმსტრონგი-28, დ. ბრაუნი-17), 2:2 დ. არმსტრონგი-9 (ვივერი-3, დ. ბრაუნი-18).

**გოლები:** ლეკავალიე (ტამპა ბეი), ბ. რიჩარდსი (ტამპა ბეი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), სენტ ლუისი (ტამპა ბეი).



როჯერ ფედერერი

ჩოგბურთი

ვარსკვლავი

# ფედერერი კიდევ ხუთი წელი ითამაშებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** იმედოვნებს, რომ კიდევ ხუთი წელი შეძლებს საუკეთესოს სახელის შენარჩუნებას. სწორედ ამდენ ხანს აპირებს ჩოგბურთში დარჩენას, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ უფრო დიდხანსაც ითამაშოს.

*"მიყვარს კორტზე პაექრობა და გარწმუნებთ, ვარჯიშებიც მსიამოვნებს. კარგია, როცა შენი თამაშით ხალხს სიამოვნებას ანიჭებ და ისინიც ტაშით გაჯილდოებენ. ტურნირების მოგებით მიღებულ სიამოვნებას კი არაფერი შეედრება. ვიმედოვნებ, რომ კიდევ ხუთი წელი შევძლებ ამ დონეზე თამაშს"*, - ამბობს 25 წლის შვეიცარიელი, ვინც ახლახანს, მელბურნში, მესამედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა.

დიდი სლემის ერთადერთი ტურნირი, რომელიც მას ჯერ არ მოუგია, საფრანგეთის ღია პირველობაა, თუმცა არაერთხელ უთქვამს, რომ ურჩევნია, კიდევ ერთხელ მოიგოს უიმბლდონი. მით უმეტეს, რომ ალბიონური საბალახო სუპერტურნირის კიდევ ერთხელ მოგების შემთხვევაში, ის ლეგენდარული შვედი **ბიორნ ბორგის** მიღწევას გაიმეორებს - ბორგმა ეს ტურნირი 1976-80 წლებში ზედიზედ ხუთჯერ მოიგო.

*"ბორგის მიღწევის გამეორება ოცნებად მაქვს გადაქცეული. თუმცა, უიმბლდონამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა. ამიტომ, ამ ეტაპზე, ჩემი მთავარი მიზანია, ტრავმა არ მივიღო"*, - ამბობს ფედერერი, რომელმაც ამერიკელ გოლფმენ **ტაიგერ ვუდსთან** და ფრანგ ფეხბურთელ **ტიერი ანრისთან** ერთად, დუბაიში მონაწილეობა მიიღო კომპანია "ილეტის" მიერ ორგანიზებულ სარეკლამო კამპანიაში.

შეგახსენებთ, რომ ფედერერს დიდი სლემის ათი ტიტული აქვს მოპოვებული, რომელთაგან ოთხი უიმბლდონზე მოდის, სამ-სამი კი აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობაზე. და თუ ამ სეზონში საფრანგეთის ღიასაც მოიგებს, მაშინ დიდ სლემსაც შეასრულებს და იმის შანსიც გაუჩნდება, რომ ოთხივე ტურნირი ერთ სეზონში მოიგოს.

*"სეზონი შესანიშნავად დავიწყე. ოზი ოუპენი სეტის წაუგებლად მოვიგე, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. ახლა ჩემთვის მთავარი საფრანგეთის ღიასთვის კარგად მომზადებაა. თუ როლან გაროსსაც მოვიგებ, სლემიც შესრულდება და ერთ სეზონში ოთხივე დიდი ტურნირის მოგების შანსიც გამიჩნდება"*, - ამბობს ფედერერი, ვისაც კიდევ ერთი მიზანი აქვს - მოიპოვოს დიდი სლემის 14 ტიტული, რაც აქამდე მხოლოდ ერთმა კაცმა, ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** შეძლო.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სელტიქსი გუნდი აღარ არის

**დეტროიტი-ბოსტონი 109:102**

25:20, 31:20, 33:27, 20:35

**დეტროიტი:** ბილაპსი (24 ქ. 7 პ. 4 მ), მაკდაიესი (18 ქ), უებერი (17 ქ. 6 მ. 6 პ. 4 ჩ), პრინსი (17 ქ. 6 მ. 4 პ), რ. ჰამილტონი (10 ქ. 11 პ. 5 მ. 2 ჩ), დელფინო (10 ქ).

**ბოსტონი:** გომესი (19 ქ), ტელფეირი (13 ქ. 7 პ), ჯ. გრინი (12 ქ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (10 ქ. 9 მ. 2 დ), დელონტე უესტი (10 ქ), შჩერბიაკი (10 ქ).

"სელტიქსის" კიდევ ერთი წაგება და გუნდს ზედიზედ დამარცხებათა სამარცხვინო გრაფაში სიმბოლური რიცხვი - 16 ჩაიწერება. სიმბოლური იმიტომ, რომ სწორედ ამდენჯერ იყო "სელტიქსი" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი. ერთ დროს დიდი გუნდი, სადღეისოდ ყველაზე უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს, "ბოსტონის" ბოსები კი ჯიუტად არ ათავისუფლებენ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **დოკ რივერს**.

"სელტიქსს" მხოლოდ და მხოლოდ **პოლ პირსი** აკლია. ამ უნივერსალისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, გუნდი მასთან ერთად ისეთ პროგრესს ნამდვილად ვერ განიცდიდა, როგორც ბევრს ჰგონია. პრობლემა მხოლოდ პოლის ტრავმიანობა არ გახლავთ.

გუნდს არ ჰყავს ნორმალური გამთამაშებელი. **დელონტე უესტი** უფრო მსროლელია, ვიდრე ფლეიმეიქერი და თანაც საკმაოდ არასტაბილურიცაა. რაც შეეხება **სებასტიან ტელფეირს**, იმათ ჭკუაში ჩამახედა, ვინც ამ ბიჭს **აიზიატომასობა** დააბრალა.

გუნდი არაფრის დიდებით არ ელევა პირსს. მართალია, პოლის გარეშე თავიდან გაუჭირდებოდათ, მაგრამ იმაზე უარესი მდგომარეობა ნამდვილად არ შეიქმნებოდა, ვიდრე ახლაა. პირსის გაშვებით, "ბოსტონი" სახელფასო ფონდში დაახლოებით წლიურ 16 მილიონ დოლარს გამოათავისუფლებდა, ამ თანხით კი მინიმუმ ერთი კარგი ცენტრისა და არანაკლებ ძლიერი გამთამაშებლის აყვანაა შესაძლებელი. თანაც, პირსს ძალიან ბევრი მსურველი ჰყავს. იგივე "მინესოტა", მასში **მარკ ბლაუნტსა** და **რენდი ფოიეს** იძლეოდა. დაგვეთანხმეთ, ერთიცა და მეორეც გუნდს ულაპარაკოდ გააძლიერებდა.

დოკ რივერსმა თავისი დიდი სამწვრთნელო პოტენციალი "ორლანდო მეჯიქში" ნაყოფიერი შრომით დაამტკიცა, მაგრამ "სელტიქსში" მუშაობა მაინც სულ სხვაა. ფლორიდაში მისგან შედეგს არავინ ითხოვდა, რადგან მოთამაშეთა იმ კონტინგენტით, თუნდაც 20 მატჩის მოგებაც, გმირობის ტოლფასი იქნებოდა, დოკმა კი ზუსტად ორჯერ მეტი მოიგო, რისთვისაც რეგულარულის დასრულებისთანავე, იგი დამსახურებულად დაასახელეს წლის საუკეთესო თავკაცად. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რივერსმა "ბოსტონში" ზეწოლას ვერ გაუძლო და ძალიან გაუმართლებს, სეზონის ბოლომდე კვლავ ამ გუნდის სამწვრთნელო სავარძელში თუ დარჩება.



ბოსტონს სძინავს

უნდა გაუშვან **უოლი შჩერბიაკიც**, რომელსაც დიდ ხელფასს წელსაც ინერციით უხდიან. ეს ბიჭი წელიწადში 12 მილიონის ღირსი აშკარად არ არის. უოლი "მინესოტაში" **კევინ გარნეტთან** ერთად თამაშით ხეირობდა და "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილედაც აირჩიეს.

ეს მარტო ჩვენი მხრიდან დანახული ხარვეზებია, ხოლო რივერსი კი, ამაზე ბევრსაც ხედავს, თუმცა სიტუაციის გამოსწორებას მაინც ვერ ახერხებს. "ბოსტონმა" უკანასკნელი გამარჯვება 5 იანვარს მოიპოვა, როდესაც მასსავით უბილო "მემფისი" 128:119 დაამარცხა. ბოლო 5 მატჩში კი, "სელტიქსი" მეტოქეებს სტაბილურად აგროვებინებს მინიმუმ 100 ქულას.

ორი სიტყვით აღნიშნული შეხვედრაც მიმოვიხილოთ.

სტუმართა მინუსებზე ვისაუბრეთ, მატჩმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **კრის უებერის** დამატებით, "დეტროიტი" აღმოსავლეთში მინიმუმ პირველ სამ უძლიერესში შედის. მის გარდა, კონფერენციის საუკეთესოს წოდებისთვის ულაპარაკოდ იბრძოლებენ "ვაშინგტონი" და "ჩიკაგო".

როგორც იქნა, **ფლიპ სონდერსს** ეღირსა ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე ისეთი კალათბურთელი, რომელიც ნებისმიერ იერიშს კონსტრუქციული ქმედებით გააგრძელებს და გადამწყვეტ მომენტში თანაგუნდელთა ნდობასაც დაიმსახურებს.

უძლიერესი დამცველის, მაგრამ უსუსტესი შემტევის - **ბენ უოლასის** წასვლით, "დეტროიტმა" ვეღარ შეინარჩუნა ის დაცვითი ხაფანგი, რომლიდან თავის დაღწევასაც, წინა წლებში ერთეულები თუ ახერხებდნენ. ამან გუნდს ერთი ჩემპიონობა და ერთიც ფინალისტობა არგუნა, ახლა კი ფინალში გასვლა საკმაოდ რეალურად მოჩანს. ჩემპიონობამდე "პისტონზს" ბევრი უკლია, მაგრამ კონფერენციაში საუკეთესოს წოდება რეალურზე რეალურია.

**პორტლენდი-ფინიქსი 102:109 (ო)**

22:34, 25:17, 24:24, 25:21, 6:13

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (33 ქ. 10 მ), როი (27 ქ. 5 პ. 2 ჩ), ტ. აუთლო (10 ქ. 6 მ. 3 ჩ), უდოკა (10 ქ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (36 ქ. 9 მ. 2 დ), ბარბოსა (25 ქ. 7 პ. 6 მ. 4 ჩ), რ. ბელი (15 ქ. 6 პ. 4 მ), მერიონი (12 ქ. 13 მ. 5 ჩ. 3 პ).

სტუმრებმა ტრავმირებული **სტივ ნეშის** გარეშეც მოახერხეს მოგება, **ლეანდრო ბარბოსამ** (4-დან 3 ზუსტი სამქულიანი) კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ სეზონის საუკეთესო რეზერვისტისთვის დაწესებული პრიზის მთავარი ფავორიტია.

**ნ. იორკი-კლიპერსი 102:90**

18:29, 24:25, 27:11, 32:26

**ნიუ იორკი:** კარი (23 ქ. 8 მ. 3 პ), ჯ. კროუფორდი (23 ქ), ლი (16 ქ. 10 მ), მარბერი (15 ქ. 7 პ. 4 მ. 2 ჩ), კ. რიჩარდსონი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**კლიპერსი:** ბრენდი (22 ქ. 13 მ. 5 პ), ტიმ ტომასი (22 ქ. 3 პ), კამანი (14 ქ. 6 მ), კასელი (13 ქ. 3 ჩ), ლივინგსტონი (13 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ).

**მემფისი-ჰიუსტონი 90:98**

21:25, 22:29, 31:25, 16:19

**მემფისი:** გასოლი (30 ქ. 13 მ. 5 პ. 5 დ), მ. მილერი (12 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), რობერტსი (10 ქ. 8 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (33 ქ. 8 პ. 6 მ), ჯუვან ჰოვარდი (17 ქ. 5 მ), ბეტიე (14 ქ. 6 მ), ალსტონი (12 ქ. 6 პ), ჰედი (11 ქ), მუტომბო (1 ქ. 13 მ. 3 დ).

**მილუოკი-ორლანდო 116:111**

28:26, 35:33, 25:23, 28:29

**მილუოკი:** პატერსონი (27 ქ. 7 მ. 6 პ. 3 ჩ), ბოიკინსი (24 ქ. 6 პ. 4 ჩ), ვილიანოვა (22 ქ. 9 მ), ჩ. ბელი (20 ქ. 6 მ), მო უილიამსი (13 ქ. 8 პ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (21 ქ. 11 მ), ბოგანსი (19 ქ), თურქოღლუ (18 ქ. 4 პ), აროიო (14 ქ. 7 პ), ბეტი (11 ქ).

**ზურაბ თალაკვაძე**

### აღმოსავლეთი

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ტორონტო* | 48 | 25 | 23 | 52.1 |
| ნიუ ჯერსი | 49 | 22 | 27 | 44.9 |
| ნიუ იორკი | 50 | 22 | 28 | 44.0 |
| ფილადელფია | 49 | 16 | 33 | 32.7 |
| ბოსტონი | 47 | 12 | 35 | 25.5 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი* | 47 | 29 | 18 | 61.7 |
| ჩიკაგო* | 49 | 28 | 21 | 57.1 |
| კლივლენდი* | 48 | 27 | 21 | 56.3 |
| ინდიანა* | 48 | 26 | 22 | 54.2 |
| მილუოკი | 49 | 19 | 30 | 38.8 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი* | 47 | 28 | 19 | 59.6 |
| ორლანდო* | 49 | 25 | 24 | 51.0 |
| მაიამი* | 48 | 23 | 25 | 47.9 |
| ატლანტა | 47 | 18 | 29 | 38.3 |
| შარლოტი | 48 | 18 | 30 | 37.5 |

### დასავლეთი

**სამხრეთ-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 48 | 39 | 9 | 81.3 |
| სან ანტონიო* | 48 | 32 | 16 | 66.7 |
| ჰიუსტონი* | 48 | 31 | 17 | 64.6 |
| ნიუ ორლეანი | 48 | 21 | 27 | 43.8 |
| მემფისი | 49 | 12 | 37 | 24.5 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 49 | 32 | 17 | 65.3 |
| დენვერი* | 46 | 23 | 23 | 50.0 |
| მინესოტა | 48 | 22 | 26 | 45.8 |
| პორტლენდი | 50 | 20 | 30 | 40.0 |
| სიეტლი | 48 | 17 | 31 | 35.4 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 49 | 39 | 10 | 79.6 |
| ლეიკერსი* | 49 | 30 | 19 | 61.2 |
| კლიპერსი* | 48 | 24 | 24 | 50.0 |
| გ. სტეიტი | 49 | 23 | 26 | 46.9 |
| საკრამენტო | 46 | 20 | 26 | 43.5 |

*შენიშვნა:* * - ფლეი ოფის ზონა

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 31.0 |
| არენასი (ვაშ) | 29.4 |
| აივერსონი (ფილ) | 28.9 |
| უეიდი (მაი) | 28.8 |
| ბრაიანტი (ლეი) | 28.8 |
| რედი (მილ) | 27.7 |
| რ. ალენი (სიე) | 26.7 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 26.6 |
| ჯ. ჯონსონი (ატლ) | 25.7 |
| კარტერი (ნ-ჯერ) | 25.0 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| გარნეტი (მინ) | 12.4 |
| კემბი (დენ) | 12.2 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.0 |
| ბუზერი (იუტ) | 11.8 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 11.5 |
| ოკაფორი (შარ) | 11.3 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.8 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.8 |
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 10.5 |
| ზ. რენდოლფი (პორ) | 10.4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.8 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 9.1 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 8.8 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.7 |
| პოლი (ნ-ორლ) | 8.6 |
| ა. მილერი (დენ) | 8.3 |
| უეიდი (მაი) | 7.9 |
| ბილაპსი (დეტ) | 7.7 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 7.6 |
| აივერსონი (დენ) | 7.5 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.3 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 2.2 |
| უეიდი (მაი) | 2.2 |
| მერიონი (ფინ) | 2.2 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 2.1 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| არენასი (ვაშ) | 1.9 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 1.9 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| ჯინობილი (ს-ანტ) | 1.7 |
| ტინსლი (ინდ) | 1.7 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| კემბი (დენ) | 3.1 |
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 3.1 |
| ოკაფორი (შარ) | 2.9 |
| მოურნინგი (მაი) | 2.8 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.6 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.4 |
| გასოლი (მემ) | 2.3 |
| მინი (ჰიუ) | 2.2 |
| დალემბერი (ფილ) | 2.2 |
| ბრენდი (კლი) | 2.2 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## სლემ-დანქის მონაწილეები ცნობილია

NBA-ის ხელმძღვანელებმა "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდზე გასამართი ჩატენვების კონკურსის მონაწილეები დაასახელეს. 17 თებერვალს, ლას ვეგასში, შარშანდელი ტიტულის დაცვას შეეცდება "ნიუ იორკის" ფორვარდი **ნეიტ რობინსონი**. მასთან ერთად პირველობისთვის იბრძოლებენ - **ჯერალდ გრინი** ("ბოსტონი"), **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო") და **ტაირუს ტომასი** ("ჩიკაგო").

ეს კონკურსი 1984 წლიდან ტარდება და იქედან მოყოლებული, ზედიზედ ორჯერ მისი მოგება მხოლოდ ორმა მოთამაშემ - **მაიკლ ჯორდანმა** (1987-88) და **ჯეისონ რიჩარდსონმა** (2002-03) შეძლეს. გასულ წელს, ნეიტ რობინსონმა ფინალში ფილადელფიელი **ანდრე იგუოდალა** დაამარცხა.

წლევანდელი კონკურსის წესებში ცვლილებაა: კალათბურთელს თითო ცდის შესრულებაზე ორ წუთზე მეტი არ მიეცემა, მსაჯებს კი, საკამათო სიტუაციებში ვიდეოგამეორებების ხილვა შეეძლებათ. ჩატენვების კონკურსის მსაჯები იქნებიან - **მაიკლ ჯორდანი, დომინიკ უილკინსი, კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი** და **ჯულიუს ირვინგი**.

## იუტა ფორვარდს იმატებს

"იუტა ჯაზმა" 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ლუის ემანდსონთან**. თუ კლუბის მწვრთნელებს კალათბურთელის ფიზიკური ფორმა დააკმაყოფილებთ, მაშინ ემანდსონთან სრულფასოვან კონტრაქტს დადებენ.

ამ ფორვარდს NBA-ში არასოდეს უთამაშია. წლევანდელი სეზონის წინ, ემანდსონმა 6 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა "საკრამენტოს" რიგებში.

## ირმებს გაძურიჩი დაემტვრათ

"მილუოკი ბაქსს" თვენახევრით გამოაკლდა სარეზერვო ცენტრი - **დენ გაძურიჩი**. ამ კალათბურთელმა "მაიამისთან" მატჩში მხარი დაიზიანა.

ამ სეზონში, 29 წლის გაძურიჩმა 44 მატჩში ითამაშა და საშუალოდ თითოში 3.8 ქულასა და 3.6 მოხსნას აგროვებდა.

## ნოჩიონი ოლ სტარის შემდეგ დაბრუნდება

როგორც გუშინდელ ნომერში გატყობინებდით, ტერფის ტრავმის გამო, "იუტას" წინააღმდეგ ვერ ითამაშა "ჩიკაგო ბულზის" ფორვარდმა **ანდრეს ნოჩიონიმ**. დეტალურმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ არგენტინელი კალათბურთელი 7-10 დღეს ვერ შეძლებს თამაშს.

ასე რომ, ნოჩიონი მოედანზე დაბრუნებას მხოლოდ იმ პაუზის შემდეგ შეძლებს, რომლის დროსაც ლას ვეგასში "ყველა ვარსკვლავის მატჩია" დაგეგმილი.

## პაპადოპულოსი იანვრის MVP გახდა

მოსკოვის "დინამოს" ცენტრალური თავდამხსმელი **ლაზაროს პაპადოპულოსი** იანვარში, ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. გასული თვის განმავლობაში, რუსული კლუბის ბერძენი ლიდერი საშუალოდ მატჩში 15.2 ქულას, 6.0 მოხსნას, 3.3 შედეგიან გადაცემას, 1.8 ჩაჭრასა და 0.8 დაფარებას აკეთებდა. თავად "დინამომ" კი, იანვარში 5-დან 5 შეხვედრა მოიგო.

ამ შედეგის წყალობით, "დინამომ" ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ნილისყრისას პირველ კალათში მოიპოვა ადგილი.

ჰოკეი

## ლატვიელმა რეკორდი გაიმეორა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "კოლორადოს" ლატვიელმა მცველმა **კარლის სკრასტინშმა** ზედიზედ ჩატარებული მატჩების რაოდენობით, NHL-ის რეკორდი გაიმეორა.

"ეველანშის" ვეტერანი ზედიზედ 483 მატჩი გადიოდა ყინულზე, რაც მცველებს შორის საუკეთესო მიღწევად ითვლება. აქამდე, ამ რეკორდის ერთპიროვნული მფლობელი იყო ტორონტოელი ტიმ ჰორტონი შეძლო, რომელმაც ზედიზედ 486 შეხვედრა 1961-68 წლებში ჩაატარა.

## მონრეალი სამსონოვს იშორებს

"მონრეალ კანადიენსმა" ტრანსფერზე დააყენა რუსი ფორვარდი **სერგეი სამსონოვი**. კლუბის ამ გადაწყვეტილებაზე თავად ჰოკეისტმაც იქონია გავლენა, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა "მონრეალში" თავისი მდგომარეობით და სხვა კლუბში გაცვლა მოითხოვა. სამსონოვი ბოლო ორ ტურში სათადარიგოთა სკამიდან არ ამდგარა.

*"როცა ორი მატჩის განმავლობაში ერთი წუთითაც არ გიწევს თამაში, ასეთ სიტუაციაში ორივე მხარისთვის ტრანსფერზე დაყენება საუკეთესო გამოსავალია. ასე რომ, კმაყოფილი ვარ და სხვა კლუბში გადასვლას ველოდები"*, - განაცხადა რუსმა ჰოკეისტმა.

## კალგარიმ ვერნონი დააფასა

გუშინ, "კალგარი ფლეიმზის" არენის თაღზე ლეგენდარული მეკარის - **მაიკ ვერნონის** 30-ნომრიანი მაისურა დაკიდეს.

ამ ჰოკეისტმა "კალგარის" რიგებში 13 სეზონი ჩაატარა და 1989 წელს, ამ კლუბს სტენლის თასი მოაგებინა. ვერნონი "ფლეიმზის" რეკორდსმენია ჩატარებული (526) და მოგებული მატჩების (262) რაოდენობით.

აქამდე "კალგარის" მოთამაშეებიდან, მსგავსი პატივი მხოლოდ ერთ ჰოკეისტს - **ლენი მაკდონალდს** ღირსებია.

## ბოსტონს საუკეთესო სნაიპერი დაემტვრა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტური გამოტოვა "ბოსტონ ბრუინზის" საუკეთესო სნაიპერმა - **გლენ მიურეიმ** (26 გოლი). მან "ვაშინგტონის" წინააღმდეგ საზარდულის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ასევე ტრავმის გამო არ თამაშობს ბოსტონელთა გერმანელი ცენტრფორვარდი **მარკო შტურმი**.

სწორედ ამიტომაც, "ბრუინზის" ხელმძღვანელობამ ფარმ-კლუბიდან სასწრაფოდ უხმო თავდამხსმელ **ჯერემი რეიხს**.

ექსტრიმი

## რბოლა ცათამბჯენში

ნიუ იორკში გაიმართა ტრადიციული გარბენი, რომლის დროსაც, სპორტსმენები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცათამბჯენის - Empire State Building-ის კიბეებზე სირბილში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 86-სართულიანი (1576-საფეხურიანი) დისტანცია ყველაზე სწრაფად, 22 წლის გერმანელმა **ტომას დოლდმა** დაფარა. ფინიშზე მისი დრო იყო 10 წუთი და 56 წამი. ქალებს შორის პირველობა მოიპოვა 33 წლის სინგაპურელმა **სიუზი უოლშემმა** - 13 წუთი და 12 წამი.

შეჯიბრების ყველაზე ასაკოვანი მონაწილე იყო - 77 წლის **ალ პუმა**, რომელსაც მუხლზე ოთხი ოპერაცია აქვს გადატანილი. მან სახურავზე ასვლა 27 წუთსა და 16 წამში მოახერხა.


გერმანიამ მაღალი კლასი აჩვენა

## ევრო 2008. შესარჩევი მატჩი

**D ჯგუფი**

**სან მარინო–ირლანდია 1:2**

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ალბანი, მიკელე მარანი, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ბონინი (76. ვანუკი), დომენიკონი (88. ბუგლი), გასპერონი (66. ანდრეინი), მუჩიოლი, მანუელ მარანი, სელვა.

**ირლანდია:** ჰენდერსონი, დანი, ფინენი, ჰარტი (74. ჰანტი), ო'ში (46. მაკშეინი), კარსლი, დაფი, ირლანდი, კილბეინი, რობი კინი, ლონგი (80. სტოუკსი).

გოლები: 0:1 კილბეინი (49), 1:1 მანუელ მარანი (86), 1:2 ირლანდი (90)

მაყურებელი: 3 294

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 4 | 3 | 1 | 0 | 19-2 | 10 |
| 2. ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-2 | 10 |
| 3. ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 10-8 | 7 |
| 4. სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12-9 | 6 |
| 5. კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-12 | 4 |
| 6. უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 7. სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-27 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**რუმინეთი–მოლდოვა 2:0**

**რუმინეთი:** კომანი (46. ლობონტი), კონტრა, ტამაში (46. გოიანი), გიონეა (46. რადუ), მარინი (77. პულაკი), ფ. პეტრე (46. ნიკოლიტა), ო. პეტრე (46. კოდრეა), კოჩიში (73. ბუგა), როსუ (46. ა. კრისტეა), მარიცა (62. მაზილუ), მუტუ.

**მოლდოვა:** პაშჩენკო (46. კალანჩეა), გოლოვატენკო, ეპურაენუ, ლაშჩენკოვი, კომლიონოკი (65. ბერკო), ივანოვი, გატკანი, ბუგაიევი (46. ალექსეევი), ნამასკო, ტაგარლასი (58. ბულგარუ), ფრუნზა (46. როგაჩოვი).

გოლები: 1:0 მაზილუ (75), 2:0 მუტუ (87)

მაყურებელი: 10 000

**უნგრეთი–ლატვია 2:0**

**უნგრეთი:** ფულოპი, ჩიყმადია, ბალოგი, ვასკო, პოლაკი, ფილკორი (89. ბ. ტოტი), ჟიდაი, ტოჟერი (90+2. როდენბუხერი), კანტა (69. შანდორი), ფარკაში (89. ტიჟა), პრისკინი (90+4. ჰრეპკა).

**ლატვია:** კოლინკო, კლავა, გორკსი, ივანოვსი,ზირნისი (კაცანოვსი), ვისნაკოვსი, მოროზსი, ასტაფიევსი, სოლონიცინსი (84. სურმინსი), ვერპაკოვსკისი (46. პაჰარსი), რიმკუსი (46. კარლსონსი).

გოლები: 1:0 პრისკინი (31), 2:0 პრისკინი (53-პენ)

მაყურებელი: 120

**მალტა–ავსტრია 1:1**

**ავსტრია:** მახო (46. მანინგერი), შტანდფესტი (77. სარიარი), შტრანცლი, ჰიდენი, იბერტსბერგერი (46. ფუხსი), აუფჰაუზერი, პრეგერი (46. კიცენებნერი), ვაისენბერგერი (66. გარიჩი), ლინცი (73. აქაგუნდუზი), ივანშიტცი, კულიჩი.

გოლები: 1:0 აგიუსი (8), 1:1 ივანშიტცი (48)

**ეგვიპტე–შვედეთი 2:0**

**ეგვიპტე:** ელ-ჰადარი, ფათჰი, გომაა, საეედი, მუავადი (72. შალაბი), აჰმედ ჰასანი (78. ჰასან მუსთაფა), შავკი, აბდე-რადუ, მიდო (61. გამალი), მოტები, ზაქი (61. ზიდანი).

**შვედეთი:** ისაქსონი (46. შააბანი), მ. ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, ედმანი (46. ფონ შლებრიუგე), ლინდეროტი, ა. სვენსონი, კალსტრიომი (66. ბაკირჩიოგლუ), ვილჰელმსონი (71. იოჰანსონი), პრიკა, ოლბაკი (75. როსენბერგი).

გოლები: 1:0 ზაბი (43), 2:0 ფათჰი (88)

**გერმანია–შვეიცარია 3:1**

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, კ. მეცელდერი, ლამი, ფრინგსი (74. ჰიტცლშპერგერი), ბალაკი (46. ბოროვსკი), კ. ფრიტცი, შვაინშტაიგერი (74. იანსენი), გომესი (58. ჰანკე), კურანი (83. შლაუდრაფი).

**შვეიცარია:** ბენალიო, ფ. დეგენი, სენდეროსი, გრიშტინგი, მანინი (59. ჯემაილი), ბეჰრამი, ფოგელი (57. შტრელერი), მარგაირაზი (78. ინლერი), ბარნეტა (70. დ. დეგენი), ჰ. იაკინი (57. ფონლანტენი), ფრაი (57. შპიხერი).

გოლები: 1:0 კურანი (7), 2:0 გომესი (30), 3:0 ფრინგსი (66), 3:1 შტრელერი (76)

მაყურებელი: 51333

**ხორვატია–ნორვეგია 2:1**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, შიმიჩი, ვეიჩი (80. ჟივკოვიჩი), ბაბიჩი, კრანჩარი, ი. ლეკო (80. პრანიჩი), მოდრიჩი, სრნა, ბალაბანი (62. ბუდანი), პეტრიჩი (46. ედუარდო).

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, მ. იონსენი (46. მოენი), ანდერსენი, ჰაესტედი (90. ლარსენი), პედერსენი (39. გრინდჰეიმი), რამბეკი (80. ბიორკოი), რიისე, კარუ (46. აარსტი), სოლსკიაერი (64. ივერსენი).

გოლები: 1:0 პეტრიჩი (26), 2:0 მოდრიჩი (38), 2:1 მოენი (86)

მაყურებელი: 8 000

**პოლონეთი–სლოვაკეთი 2:2**

**პოლონეთი:** ბორუცი (64. კოვალევსკი), ვასილიევსკი, ჟევლაკოვი (64. რადომსკი), ბაკი, ბრონოვიცკი, იელენი (46. მატუსიაკი), ლევანდოვსკი, კაჟმიერჩაკი, დდკა (46. ლობოდჟინსკი), გრდელაკი (46. კრინოვკე), რასიაკი (71. გრუელაკი).

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, სინგლარი, დურიცა, შკრტელი, გრეშკო, ჟოფჩაკი (81. ჰამსიკი), ბორბელი, სვენტო, ვიტეკი, იაკუბკო (65. შებო), ჰოლოშკო (77. შტრბა).

გოლები: 0:1 იაკუბკო (1), 0:2 შკრტელი (45), 1:2 ჟევლაკოვი (48), 2:2 მატუსიაკი (78)

**ბელგია–ჩეხეთი 0:2**

**ბელგია:** სტიინენი (70. ვანდებუშე), ფელაინი, ჰოფკენსი (46. ვანდენ ბორე), ვან ბუიტენი, ვან დერ ჰეიდენი (46. ვან დამი), ვერმაელენი (34. სიმონსი), დაერდენი, მარტენსი (73. ვანდენბერგი), მუდინგაი, დეფური, პიერონი (60. დემბელე).

**ჩეხეთი:** პ. ჩეხი, იანკულოვსკი, ირანეკი, როზენალი (46. კოვაჩი), უიფალუში, გალაშეკი (70. მატეიოვსკი), პოლაკი, როსიცკი (46. პუდილი), სიონკო (46. პლასილი), ბაროში (54. კულიჩი), კოლერი (85. ლაფატა).

გოლები: 0:1 კოლერი (6), 0:2 კულიჩი (75)

გაძევება: ვანდენ ბორე (73)

მაყურებელი: 12 000

**ინგლისი–ესპანეთი 0:1**

**ინგლისი:** ფოსტერი, ფერდინანდი. ფ. ნევილი (74. დაუნინგი), გ. ნევილი (64. რიჩარდსი), ვუდგეიტი (64. კარაგერი), ქერიქი, დაიერი, ჯერარდი (46. ბერი), ლემპარდი (78. ბარტონი), რაიტ-ფილიპსი (70. დეფო), კრაუჩი.

**ესპანეთი:** კასილიასი, კაპდევილა, პაბლო იბანიესი, პუიოლი (46. ხავი ნავარო), სერხიო რამოსი (46. ანხელი), ალბელდა, დავიდ სილვა (65. არისმენდი), ჩავი, ანგულო (56. ინიესტა), მორიენტესი (46. ფერნანდო ტორესი), ვილია (74. ფაბრეგასი).

გოლი: 0:1 ინიესტა (63)

მაყურებელი: 58 247

**ჰოლანდია–რუსეთი 4:1**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ბუმა, იალიენსი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი (63. მენდეში), ლანდზაატი (46. სნეიდერი), ზეედორფი (78. დე კლერი), ვან დერ ვაარტი, კუიტი (46. ბაბელი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (78. ჰუნტელაარი).

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი (69. ვ. ბერეზუცკი), კოლოდინი, ბილიალეტდინოვი (46. სიჩოვი), ბისტროვი, სემშოვი, ტიტოვი (58. ალდონინი), ჟირკოვი, არშავინი (72. პავლიუჩენკო), საენკო.

გოლები: 1:0 ბაბელი (68), 2:0 სნეიდერი (71), 2:1 ბისტროვი (76), 3:1 მატიისენი (80), 4:1 ვან დერ ვაარტი (89-პენ)

მაყურებელი: 22 000

**სლოვენია–ესტონეთი 1:0**

გოლი: 1:0 ლავრიჩი (34-პენ)

**ბულგარეთი–კვიპროსი 3:0**

გოლები: 1:0 ბერბატოვი (45-პენ), 2:0 გეორგიევი (68), 3:0 ბერბატოვი (87)

**ალბანეთი–მაკედონია 0:1**

გოლი: 0:1 რისტიჩი (33)

**ირანი–ბელარუსი 2:2**

გოლები: 1:0 ჰატიბი (5), 1:1 ვ. გლები (53), 1:2 ვ. გლები (60), 2:2 რაჯაბზადე (88)

**ჩინეთი–ყაზახეთი 2:1**

გოლები: 0:1 ჩიჩულინი (19), 1:1 პენგი (33-პენ), 2:1 ჟინიუ (50)

**უზბეკეთი–აზერბაიჯანი 0:0**

**ლუქსემბურგი–გამბია 2:1**

გოლები: 0:1 ჟარჟუ (15), 1:1 ხოაკიმი (65), 2:1 საგრამოლა (83)

**ალჟირი–ლიბია 2:1**

გოლები: 0:1 ჩიბანი (49), 1:1 საიფი (64), 2:1 მენირი (68)

**მაროკო–ტუნისი 1:1**

გოლები: 1:0 შამახი (29), 1:1 ჟემაა (64-პენ)

**ანდორა–სომხეთი 0:0**

**ტოგო–კამერუნი 2:2**


ბაბელმა ჰოლანდიელთა თამაში გამოაცოცხლა



ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპორტული ბანვარჯიში**

### ოლიმპიური ჩემპიონი ბრუნდება

2004 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **პოლ ჰემმა** დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა. როგორც სააგენტო AP იტყობინება, 2007 წელს, პოლო და მისი ტყუპისცალი - **მორგანი** რამდენიმე ტურნირში ისპარეზებენ, რათა სპორტული ფორმა აღიდგინონ და კოლეჯი დაამთავრონ.

პოლ ჰემმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მრავალჭიდში გაიმარჯვა.

**ამერიკული ფეხბურთი**

### სუპერბოულის ახალი რეკორდები

ორი დღის წინ გამართულმა ამერიკულ ფეხბურთის ჩემპიონატის ფინალმა (სუპერბოული), აშშ-ის ტელევიზიის ისტორიაში ტელეაუდიტორიის რაოდენობით მეორე შედეგი დააფიქსირა.

საერთო ჯამში, "ინდიანაპოლისისა" და "ჩიკაგოს" შეხვედრას, რომელიც სამსაათნახევარი გაგრძელდა, თავიდან ბოლომდე 93 მილიონმა ადამიანმა უცქირა (სულ კი, ფინალს 140 მილიონი მაყურებელი ჰყავდა). ტელეაუდიტორიის 90 პროცენტი ამერიკის ტერიტორიიდან იყო, დანარჩენი 10 - საზღვარგარეთიდან.

თუმა, ეს არ არის აბსოლუტური მსოფლიო რეკორდი. ცნობილი კომედიური სერიალის - M*A*S*H-ის საშუალო აუდიტორია 106 მილიონს შეადგენდა. თუმცა, მასაც ბევრი უკლია საუკეთესო მიღწევამდე. ყველა დროის რეკორდი დამყარებული აქვს მსოფლიო ჩემპიონატის შარშანდელ ფინალს - საფრანგეთისა და იტალიის დაპირისპირება ტელევიზორით 715 მილიონმა ადამიანმა იხილა.

წლევანდელ სუპერბოულში სარეკორდო იყო ტელერეკლამის ფასიც. მაყურებლებმა 20 კომპანიის რეკლამა იხილეს. თითოეულმა ფირმამ, 30-წამიან რგოლში 2.6 მილიონი დოლარი გადაიხადა. შედარებისთვის: NBA-ის ფინალში 30-წამიანი რეკლამა 1.1 მილიონი ღირს. ამასთან, კალათბურთის ფინალური სერია შეიძლება შვიდ მატჩამდე გაიწელოს, ამერიკულ ფეხბურთში კი, საუკეთესო გუნდი ერთ შეხვედრაში ვლინდება.

**ფორმულა 1**

### შუმახერი ჯერაც გაურკვევლობაშია

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი - **მიხაელ შუმახერი** აქამდე ვერ გარკვეულა "ფერარიში" თავისი მომავალი საქმიანობის გარშემო. ამიტომაც, "წითელი ბარონი" ჟურნალისტებთან საუბრისას, ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვან პასუხებს იძლევა.

*"მხოლოდ ზრდილობის გამო რაიმე პოსტის გაკავება არ მსურს. სასიამოვნოა, როცა მთელი გუნდი დაინტერესებულია შენი სამსახურით. მაგრამ, განსაკუთრებით ის მახარებს, რომ "ფერარი" საბოლოო არჩევანის გაკეთების უფლებას მიტოვებს. თუმცა, როგორი იქნება ეს არჩევანი, ზუსტად ჯერ არ ვიცი"*, - ამბობს ლეგენდარული გერმანელი პილოტი.

## TV სპორტი

**8 თებერვალი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
**09:35** მძლეოსნობა.
**10:02** სპორტინფორმი.
**10:15** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**11:09** სპორტინფორმი.
**11:20** სპორტკლუბი.
**11:35** ბურთის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. რუსეთი.
**13:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
**16:32** ფეხბურთი. ინგლისის თასი. მიმოხილვა.
**16:58** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ნასიონალი.
**18:41** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სანტოსი-ბლუმინგი.
**20:25** სპორტდოსიე.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:42** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ფინიქსი.
**22:25** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**22:40** სპორტინფორმი.
**22:55** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**23:22** სპორტკლუბი.
**23:28** ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1962 წელი. ფინალი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.
**01:30** სპორტინფორმი.
**01:41** კრივი. ნოკაუტების დრო.
**04:16** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ნასიონალი.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-მონრეალი (LIVE).
**07:05** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-არგენტინა.
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ანტოლცი. იტალია.
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. კომბინაცია. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
**17:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ანტოლცი. იტალია (LIVE).
**18:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სლალომი. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
**20:00** ბოულსი. უელსის ღია პირველობა. ლანელი.
**21:30** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ანტოლცი. იტალია.
**23:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები.
**00:00** კრივი. WBA. ნ. ვალუევი (რუსეთი)-ჯ. მაკლეინი (აშშ). ბაზელი. შვეიცარია.
**02:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ანტოლცი. იტალია.
**03:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
**03:30** კიკ-ბოქსინგი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. საფრანგეთი-არგენტინა.
**13:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
**14:30** მულტისპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
**18:00** ლაკროსი.
**19:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. პოლონეთი-სლოვაკეთი.
**20:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
**00:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვიბორგი (დანია).
**01:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. პოლონეთი-სლოვაკეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
**03:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| **ჩაკვეტაძე**-პუჩკოვა | 6:2, 6:0 |
| **მედინა გარიგესი**-ბრემონი | 6:2, 7:5 |
| **საფინა**-პინი | 2:6, 6:2, 7:6 |
| **გოლოვინი**-კორნე | 6:2, 6:2 |
| **ანენ არდენი**-ლუა | 3:6, 6:2, 6:2 |
| კუზნეცოვა-**სრებოტნიკი** | 6:7, 6:4, 7:6 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| როდიონოვა-**ბამერი** | 2:6, 5:7 |
| კუდრიავცევა-**სანტანჯელო** | 2:6, 4:6 |
| **მირზა**-ტანასუგარნი | 6:4, 2:6, 6:1 |
| **პენგი**-ოპრანდი | 6:7, 6:1, 6:3 |

ბიატლონი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# სიზუსტე გამარჯვების საწინდარია

იტალიის სამთო კურორტ ანტჰოლც-ანტერსელვაში მიმდინარე ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ქალთა ინდივიდუალური რბოლა ნორვეგიელი **ლინდა გრუბენის** ტრიუმფით დასრულდა. მან ყველა სროლა ზუსტად შეასრულა და უკან მოიტოვა ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი **ფლორან ბავერელ-რობენი**, რომელმაც ასევე ყველა სამიზნის დაზიანება შეძლო.

გრუბენმა წუთზე მეტით აჯობა თავის ტიტულოვან მეტოქეს და წუთნახევრით გერმანელ **მარტინა გლაგოვს**, ვინც ერთი სროლა გააფუჭა და ამიტომ, წუთიანი ჯარიმით "დაუმძიმდა" შედეგი. ამჯერად მეტად უზუსტოდ ისროდა მსოფლიო თასის კლასიფიკაციის ლიდერი, შვედი **ანა კარინ ოლოფსონი**, რომელმაც ოთხი სროლა გააფუჭა, თუმცა იმდენად სწრაფი იყო, რომ გრუბენს "მხოლოდ" ორი წუთით ჩამორჩა. არადა, ბოლო სასროლეთზე ზუსტად რომ შეესრულებინა სროლები, მაშინ გრუბენს თითქმის წამს მოუგებდა. ოლოფსონს დასამშვიდებლად ისიც ეყოფა, რომ ის უსწრაფესი იყო რბოლის მონაწილეთა შორის. მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა ინდივიდუალურ რბოლაში აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი, გერმანელი **ანდრეა ჰენკელი**.

27 წლის ნორვეგიელისთვის ეს კარიერაში მოპოვებული ოქროს მეორე მედალია. პირველი მან სამი წლის წინათ, ნორვეგიის ნაკრებთან ერთად, 4X7.5 კილომეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა.

*"ამ გამარჯვებას ზუსტი სროლის წყალობით მივაღწიე. სხვა მხრივ კი მეტად დაძაბული პაექრობა გვქონდა. ბოლო მომენტამდე არ ვიყავი დარწმუნებული გამარჯვებაში. მერე კი, როცა გავიგე, რომ ანა კარინმა ორი სროლა გააფუჭა, მივხვდი, რომ ჩემპიონი გავხდებოდი. ასეც მოხდა"*, - ნარბოლევს განაცხადა ჩემპიონმა, ვინც სისწრაფით არასოდეს გამოირჩევა, თუმცა მიზანს ზუსტი სროლების წყალობით მიაღწია. სხვათა შორის, ბავერელ-რობენმაც განაცხადა, დიდი სისწრაფე არც მე მაქვს და აქცენტი სიზუსტეზე გავაკეთეო.

რბოლის ფავორიტთა შორის იყო გერმანელი **კატი ვილჰელმი**, მაგრამ მეორე სასროლეთის შემდეგ მან ასპარეზობა შეწყვიტა, რის მიზეზადაც მოგვიანებით მუცლის გვრემა დაასახელა.

ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია)
ქალები. ინდ.რბოლა (15 კმ)

1. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) 46.24.3 (0+0+0+0); 2. ფლორან ბავერელ-რობენი (საფრანგეთი) +1.05.5 (0+0+0+0); 3. მარტინა გლაგოვი (გერმანია) +1.35.6 (1+0+0+0); 4. ტორა ბერგერი (ნორვეგია) +1.44.9 (0+0+1+0); 5. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) +1.59.4 (0+2+0+2); 6. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) +2.11.2 (1+1+0+1)...



ლინდა გრუბენი

ოლიმპიზმი

პეკინი 2008

# პეკინი ბილეთებს აფასებს და ანაწილებს




პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 2008 წლის ოლიმპიადის ბილეთების გაყიდვა გაზაფხულზე დაიწყება და მათი ფასი 3.82-დან 638 დოლარამდე იქნება. სულ კი გასაყიდად 7 მილიონზე მეტ ბილეთს გამოიტანენ.

პეკინის თამაშების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ბილეთების დაახლოებით 58 პროცენტის ფასი 12.75 დოლარი ან ნაკლები იქნება. ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ ოლიმპიადაზე დასწრების საშუალება ჩინეთის საშუალო ფენის მოსახლეობასაც ჰქონდეს. ამასთან, ბილეთების გაყიდვებთან დაკავშირებული დეტალები, გაყიდვების დაწყებამდე გამოქვეყნდება.

სხვათა შორის, პეკინელებისგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ითხოვს, რომ ბილეთები ხელმისაწვდომი იყოს საშუალო ჩინელებისთვის. ამის საპასუხოდ, პეკინელები აცხადებენ, რომ მათ გაითვალისწინეს პეკინისა და მთლიანად, ჩინეთის მოსახლეობის შესაძლებლობანი და ბილეთების ფასებიც სწორედ ამის მიხედვით განსაზღვრეს.

ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, პეკინში მცხოვრები მოსახლეობის საშუალო თვიური ანაზღაურება შარშან 365 დოლარი იყო. ამ მხრივ, ქვეყანაში შანხაის მცხოვრებთა საშუალო ხელფასი გამოირჩევა, რომელიც დაახლოებით 417 დოლარს შეადგენს.

პეკინის ოლიმპიადაზე ბილეთები ყველაზე ძვირი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ელირება. გრანდიოზული დადგმის ნახვის მსურველებს მინიმუმ 25 დოლარის გადახდა მოუწევთ, მაქსიმუმი კი 638 დოლარი იქნება. დახურვის ცერემონიალზე კი ბილეთების ფასი 19-დან 382 დოლარამდე იქნება.

ბილეთებზე დაბალი ფასების დადგებას პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორები იმ ფაქტით ხსნიან, რომ ჩინეთი განვითარებადი ქვეყანაა და ამიტომ, სპორტის მოყვარული საშუალო ჩინელი გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას ღებულობს, ვიდრე სიდნეელი, ან ათენელი მოსახლეობა. სწორედ ამიტომაა, რომ ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებზე ბილეთების მაქსიმალური ფასი, ათენის ოლიმპიადის შესაბამის ბილეთებთან შედარებით, დაახლოებით 50 პროცენტით ნაკლები ელირება.

სპორტის 28 სახეობის ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთების ფასები 3.82-დან 127.50 დოლარამდე ითამაშეს, ეს კი ათენის ოლიმპიადის დასასწრებ ბილეთებზე დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლებია.

ოლიმპიადის ორგანიზატორები ბილეთების დაახლოებით 14 პროცენტს ჩინელი სტუდენტებისთვის შეინახავენ. გარდა ამისა, ოლიმპიადაზე გამოსაშვები ბილეთების მინიმუმ ნახევარი ჩინეთშივე გაიყიდება. დანარჩენი ბილეთები კი სპონსორებს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, მსოფლიოს ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და სპორტის ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებს გაუნაწილდებათ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კრივი

დიდი ბრძოლის წინ

# მეივეზერი თავის ამპლუაში



მეივეზერს ბრძოლისწინა ბაქი-ბუქი სჩვევია

ყველა მოუთმენლად ელის ორი დიდი მოკრივის - **ოსკარ დე ლა ჰოიასა** და **ფლოიდ მეივეზერის** დაპირისპირებას, რომელიც 5 მაისს ჩატარდება. ამ შეხვედრის პრომოუშენის ფარგლებში, ორივე მოკრივეს მონაწილეობა უნდა მიეღო ერთობლივ პრესკონფერენციაზე, მაგრამ დე ლა ჰოიამ ამაზე უარი განაცხადა, თავისი გადაწყვეტილება კი იმ გარემოებით ახსნა, რომ მეივეზერი მის მიმართ თავაზიანობით არ გამოირჩევა, მას კი არ სურს ასეთებთან საუბარი.

მეივეზერმა კი პრესასთან შეხვედრაზე უარი არ თქვა და სანამ რინგზე ავიდოდეს, თავის მომავალ მეტოქეს სიტყვიერად შეუტია. მან "ოქროს ბიჭს" მშიშარა და ხარბი უწოდა.

*"ოსკარს ჩემს მიმართ შიში აქვს და ალბათ ამიტომაც არ მოვიდა აქ. ის შეიძლება კარგი საქმოსანია, მაგრამ სიხარბითაც გამოირჩევა. მამაჩემს რომ ჩემს მწვრთნელობაში ექვსი მილიონი მოეთხოვა, არც დავფიქრდებოდი, მაშინვე დავთანხმდებოდი. ოსკარმა კი ორი მილიონიც არ გაიმეტა. არადა, მის კუთხეში რომ მამაჩემს ემუშავა, ოსკარს ცოტა შანსი მაინც ექნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ მამაჩემი და ბიძაჩემი საუკეთესო მწვრთნელები არიან მსოფლიოში"*, - ამბობს უმცროსი ფლოიდ მეივეზერი.

შეგახსენებთ, რომ უმცროს ფლოიდს ბიძამისი, **როჯერ მეივეზერი** წვრთნის, **ფლოიდ მეივეზერ უფროსი** კი დე ლა ჰოიას მწვრთნელია. ამან თავისი შვილის წინაალმდეგ ოსკარის გაწვრთნაში ორი მილიონი დოლარი მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. ყოველივე კი "ოქროს ბიჭმა" იმით ახსნა, რომ მას არ სურს თავისი მწვრთნელის ოჯახში განხეთქილების შეტანა.

*"ისე, გვერდში მამაჩემი რომც ჰყავდეს, ის მაინც არაა ჩემი მომგები, რადგან სახელი ძველი ჩემპიონების ცემით გაითქვა, ჩემსავით ძლიერებს კი არასოდეს შეხვედრია"*, - ამბობს მეივეზერი, ვისაც პროფესიულ რინგზე ჯერ წაგების სიმწარე არ უგრძვნია და თავის თავს კრივის ისტორიაში საუკეთესო მოკრივედ მოიხსენიებს.

რა თქმა უნდა, მას ჰკითხეს, თუ რატომ უწოდებს თავის თავს საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, რაზეც ფლოიდმა უპასუხა: *"შუგარ რეი რობინსონზე ამბობენ, საუკეთესოაო, მაგრამ ქვემძიმე წონაში რომ გადავიდა, იქ წააგო. ზოგი შუგარ რეი ლეონარდს უწოდებს საუკეთესოს, მაგრამ მას ხომ უფრო მსუბუქი წონიდან გადასულმა რობერტო დიურანმა აჯობა? ბევრისთვის საუკეთესო კი მუჰამედ ალია, მაგრამ მან ხომ ისეთ მეტოქესთან წააგო, ვისაც მანამდე სულ შვიდი ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული. მე კი, როცა კარიერას დავასრულებ, ყველა დროის საუკეთესო ვიქნები"*.

ჰო, მართლა, ადრე რომ ამბობდა, დე ლა ჰოიასთან ბრძოლის შემდეგ, ხელთათმანებს ლურსმანზე ვკიდებო, ფლოიდმა თავისივე ნათქვამი მალევე დაივიწყა. დე ლა ჰოიას გარდა, ის ბრიტანელ **რიკი ჰატონსაც** გადასწვდა, ვისაც "ჩასუქებული" უწოდა და დასძინა, რომ თავის სპარინგ-პარტნიორადაც არ აიყვანდა.

*"ის ამბობს, რომ ამერიკაში 5 000-ადგილიან დარბაზს ავსებს. მერე რა? ამდენი ბილეთი ჩემს ბრძოლაზე წუთში გაიყიდება, ჩავალ ბრიტანეთში და იქ საფეხბურთო სტადიონის ტრიბუნებსაც გავავსებ. რატომ? იმიტომ, რომ ხალხს საინტერესო ბრძოლების ყურება უყვარს და არა სავარჯიშო ტომრებისა. თუ მას შევხვდები, მუშტებით ლუდით გაბერილ მუცელს შევუნგრევ და ეგ იქნება"*, - ასე აბუჩად იგდებს ჰატონს მეივეზერი. არადა, ბრიტანელს მასსავით ჯერ პროფესიულ რინგზე ბრძოლა არ წაუგია.

სხვათა შორის, გუშინ, BBC-სთან საუბრისას, ლეგენდარულმა **შუგარ რეი ლეონარდმა** მეივეზერთან შესაძლოა შეხვედრის შემთხვევაში, ჰატონს მიანიჭა უპირატესობა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ორი მოკრივე მერმის მაინც შეხვდება ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ჰატონს რომ ხშირად ახსენებს, შესაძლოა, ეს იმას ნიშნავდეს, რომ ფლოიდი მასთან შეხვედრას აპირებსო.

*"თუ რიკი ისევე იბრძოლებს, როგორც კოსტია ცზიუსთან, მაშინ მეივეზერის დამარცხებასაც შეძლებს. ასეთ მობილიზებულ მოკრივეებს იშვიათად ნახავ. თანაც, ის ძალიან გამძლეა და ძლიერი დარტყმაც აქვს"*, - ამბობს ლეონარდი, ვისაც მეივეზერივით, ოთხ სხვადასხვა წონაში აქვს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის სარტყელი.

რაც შეეხება მეივეზერისა და დე ლა ჰოიას მომავალ შეხვედრას, ლეონარდის ფავორიტი "ოქროს ბიჭია": *"ადრე მიმაჩნდა, რომ ბრძოლას ფლოიდი მოიგებს, მაგრამ კარგად რომ ავწონ-დავწონე მათი შესაძლებლობანი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოსკარი უფრო ძლიერი და გაწონასწორებული მოკრივეა. ამიტომ, ალბათ ის მოიგებს. ფლოიდი სუპერ-სწრაფია, მაგრამ ოსკარს დიდი გამოცდილება აქვს და გამჭრიახი ქმედება ახასიათებს, თავისი მუშტებით კი ნებისმიერი მეტოქისთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია"*.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ლელო
ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, აწ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა